# საერთო გაზეთი

№17 (370) • 18 მაისი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.




## ბუტაფორია მიშას „ოპერისთვის“ ანუ რას ბურჭალობს ბურჭულაძე?




## პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ IV ყრილობა

**თამაზ მეჭიაური:**
ვრჩებით მეგობრებად და თანაოაზრეებად ყველა საკითხში, გარდა ერთისა!

**ნანა დევდარიანი:**
„ნაცმოძრაობის“ საარჩევნო კამპანია „კმარას“ სტილში მიმდინარეობს

**იოსებ ჯუღელი:**
„ატკატი“ – კორუფციული სქემა, რითაც „ნაციონალები“ მილიონებს იჟიბავდნენ

**ეს სამარცხვინო**
რუკა ისე წარუდგენს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს, თითქოს საქართველო ერთი დიდი ბორდელია

ძაღლი შინ არ ვარგოდაო, უკრაინას გარბოდაო!

**არ გადაუხადოთ**
„ონლაინ-სესხებს“ იმაზე მეტი, რაც ჩაგირიცხეს

**მსოფლიო**
ბეწვის ხიდზე

## ვახტანგ ხარჩილავა:

# ბუტაფორია მიშას „ოპერისთვის“, ანუ რას ბურჭალობს ბურჭულაძე?

მიშა ოდესელი საარჩევნოდ ახალი პოლიტიკური ოპერის დადგმას აპირებს, რომლის კომპოზიტორიც, ლიბრეტოს ავტორიც და დირიჟორიც თვითონ არის.

მომღერლები შერჩეულია, დეკორაციები დამზადებულია და, რაც უპირველესია, მთავარ როლზე უკვე დამტკიცებულია ცნობილი რუსული ბანი პაატა ბურჭულაძე.

ამ ამბავს მიშა ოდესელი და სხვა ნაციონალებიც საიდუმლოდ ინახავდნენ და მთავარ როლზე ბურჭულაძის დანიშვნის ფაქტს კატეგორიულად უარყოფდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბატონი პაატა პოლიტიკური განცხადებით წარსდგა ქართველი ხალხის წინაშე, ყველაფერი ნათელი გახდა და ნაცების და ბურჭულაძის საიდუმლო „სიყვარულს“ ფარდა აეხადა.

საქმე ის არის, რომ ეს განცხადება, რომელსაც ბურჭულაძე თავისად მიიჩნევს, სულაც არ არის მხოლოდ ბურჭულაძის – ის, ფაქტობრივად, სააკაშვილის და ნაციონალების სხვა ლიდერების მიერ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გაკეთებილი განცხადებებიდან ამოკრეფილი და ოდნავ სახეცვლილი ციტატების ერთგვარი კოლაჟია, ეს ყველაფერი კი ისე უნიჭოდ, ისე უგერგილოდ და კუსტარულად არის გაკეთებული, რომ ყოველგვარი პროფესიონალური ექსპერტიზისა და კრიმინალისტური კვლევაძიების გარეშეც ცხადია, საიდან და როგორ არის შეკოწიწებული ბურჭულაძის განცხადების ტექსტი.

„შეუძლებელია, ვერ დაინახოს ადამიანმა, რომ ამ 25 წელმა გაიარა, ეს ეპოქა დასრულდა, დამთავრდა, ის წარსულია, ის უკან აღარ დაბრუნდება. ეს გამარჯვებებითა და მარცხით სავსე 25 წელი, რა თქმა უნდა, მშენებლობის, მაგრამ, იმავდროულად, ადამიანის უფლებების სრული იგნორირების 25 წელი, ადამიანების საარჩევნოდ ყიდვის და მერე გაყიდვის, სიცრუის, მაგრამ იმავდროულად გმირობის, თავდადების, ნამდვილი პატრიოტიზმის, სიყვარულის 25 წელია. ეპოქა დასრულდა, და ყველა, ვინც ცდილობს, ეს ეპოქა ვირტუალურად უკან დააბრუნოს, წარსულში გვაცხოვროს, წარსულით გამოგვკვებოს, მტრის ხატით შეგვაშინოს, არის იმ 25 წლის საკუთრება, მისი მძევალი და ასეთი ხალხი პოლიტიკიდან უნდა წავიდეს“, – ამბობს ბურჭულაძე.

კი, მაგრამ, განა ზუსტად იგივეს არ ამბობენ „ნაციონალები“, რომლებიც პირაქაფებულნი მოგვიწოდებენ, დავივიწყოთ ყველა ის არაკაცობა, რაც მათ ამ ცხრა წლის განმავლობაში ჩაუდენიათ, დავივიწყოთ ქუჩებში დახვრეტილი ადამიანები, დავივიწყოთ მათ მიერ ციხეებში გამოკეტილი ათასობით და ათიათასობით ადამიანის ტრაგიკული ბედი, დავივიწყოთ, როგორ გაძარცვეს, როგორ გაყვლიფეს საქართველო და როგორ გაზიდეს მილიარდები ქვეყნიდან, დავივიწყოთ, როგორ დაკარგეს ქვეყნის ტერიტორიის თითქმის მესამედი და დამარცხებულები როგორ ზეიმობდნენ „გამარჯვებას“, დავივიწყოთ, როგორ მოაოხრეს ქართული სოფელი, როგორ გაყიდეს და გაასხვისეს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები და ა. შ.

დავივიწყოთ ეს ყველაფერი, ბატონო პაატა და ქვეყნის მშენებლობა „სუფთა ფურცლიდან“ დავიწყოთ?

„ნაციონალებიც“ სიტყვასიტყვით განა იგივეს არ ამბობენ, რასაც თქვენ ახმოვანებთ თქვენს განცხადებაში – თავი დაანებეთ ჩვენს მოხსენიებას მტრებად და მოღალატეებად, ხაზი გადავუსვათ გუშინდელ დღეს და ყველამ ერთად ახალი დღიდან დავიწყოთ ქვეყნის ბედზე ზრუნვაო.

სულ ახლახან „ნაციონალებმა“ ისიც კი განაცხადეს – ხელისუფლებაში რომ მოვალთ, მეორე დღესვე პოლიტიკურ ამნისტიას გამოვაცხადებთ და ყველას ყველაფერი ეპატიებაო.

როგორც ჩანს, საკუთარი თავისთვის აპირებენ „ნაციონალები“ ამნისტიის გამოცხადებას და საკუთარი თავისთვის ყველა დანაშაულის ჩამოწერას, თორემ „ქართულ ოცნებას“ საამნისტიო არაფერი დაუშავებია.

„ნაციონალების“ ფარულ ქომაგად და ადვოკატად მოვლენილი თუ საიდანღაც მოვლინებული პაატა ბურჭულაძე ცდილობს ერთ ეპოქად მონათლოს განვლილი 25 წელი, ყველა ერთ ქვაბში ჩაყაროს და ერთად მოხარშოს – ზვიად გამსახურდიას პერიოდი, ედუარდ შევარდნაძის „მეფობის“ ხანა, „ნაცმოძრაობის“ რეჟიმიც და „ქართული ოცნებაც“.



„იმერეთში იტყვიან, ბავშვი ბურჭალობს, ანუ ბავშვი ცელქობს, თამაშობსო. ბურჭულაძეც ბურჭალობს და მისი პოლიტიკოსობაც ბავშვის ცელქობას და თამაშს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზული ადამიანის სერიოზულ ქმედებებს“.

იცის ბატონმა პაატამ, განა არ იცის, რომ ამ ოთხი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პერიოდის ერთ „ეპოქად“ შეკვრა, ერთ ეპოქად მონათვლა და ამ პერიოდში მოღვაწე პოლიტიკოსების ერთმანეთთან გათანაბრება და გაიგივება, მტყუვნების და მართლების ერთ თარგზე მოჭრა, მკრეხელობა და ფარისევლობაა, რომელიც დანაშაულის ტოლფასია.

იცის ეს ყველაფერი ბურჭულაძემ, მაგრამ რა ქნას, ასეთი დავალება აქვს მიღებული და დავალების მაგისტრალურ ხაზს ხომ ვერ გადაუხვევს?

დავალების არსი კი ასეთია – როგორმე ხელისუფლებათა საერთო მარაქაში გააპაროს „ნაცმოძრაობაც“ და „საერთო“ ეპოქის ნაწილად გამოაცხადოს, რომელსაც ამ ეპოქისთვის ნიშანდობლივი საერთო ღირებულებები და საერთო ნაკლი ჰქონდა თურმე და მეტი არაფერი.

კეთილსინდისიერი და ობიექტური ადამიანი ბურჭულაძისგან აბსოლუტურად განსხვავებულად მოიქცეოდა და იმ 25-წლიანი პერიოდიდან აუცილებლად ცალკე გამოყოფდა „ნაცმოძრაობის“ მმართველობის 9-წლიან რეჟიმს და ამ რეჟიმის დამმარცხებლის „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდს, რომელიც თავისი ჰუმანური, ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკით ისე განსხვავდება „ნაციონალებისგან“, როგორც ცა დედამიწისგან.

კეთილსინდისიერი ადამიანი, ცხადია, ასე მოიქცეოდა, ბურჭულაძემ კი „ნაცმოძრაობას“



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

„მიდის ოპერა „ლაკმე“,
[illegible]
განა ეს არის საქმე,
მე სულ სხვას
ვფიქრობ ეხლა“.

გალაკტიონი

უტიფრად გადააკერა „ქართული ოცნებაც“ და ორივეს წარსული დაარქვა, რომელსაც უნდა დავემშვიდობოთ.

„დასაწყისისთვის დავემშვიდობოთ წარსულს, უნდა გავიგოთ, რომ ეს ეპოქა დასრულდა, დამთავრდა, წარსულს ჩაბარდა და თან გაიყოლა ყველა ის პოლიტიკოსი, რომლიც ამოცანა იყო სხვა პოლიტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლა და არა ქვეყნის აღზევება“, – ბრძანებს პატივცემული ბურჭულაძე და იქვე აგრძელებს:

„მსოფლიოს რუკაზე არსებობს ქვეყანა, რომელსაც არ აქვს მიზანი, რომელსაც არ აქვს მიმართულება, რომელიც არ გეგმავს მომავალს, რომელიც არ ცდილობს იყოს თავმოყვარე, ღირსეული, მებრძოლი, გავლენიანი. ჩვენ ამ ხელისუფლების პირობებში მივიღეთ ქვეყანა, რომელმაც არ იცის, რა უნდა, გარდა იმისა, რომ მედია თურმე უნდა იყოს თავისუფალი და ბიზნესი ხელშეუხებელი. 21-ე საუკუნეში ეს არ შეიძლება იყოს ქვეყნის ამოცანა, ეს უთავმოყვარეო, უმიზნო, უსაგნო პოლიტიკის ამოცანაა. პოლიტიკა უნდა გვთავაზობდეს, ჩვენ კი უნდა ვირჩევდეთ ჩვენს მომავალს, ისეთს, როგორიც მოგვწონს. ამისთვის ცხოვრობს პენსიონერი, რომ შიმშილით და ავადობით არ მოკვდეს?! ეს არის ჩვენი ოცნება, რომ მედია იქნება დამოუკიდებელი, რომ სახელმწიფო ბიზნესს არ შეუქმნის პრობლემებს? ამისთვის გავჩნდით? ეს გაგვხდის ბედნიერს“?

ალბათ, დამეთანხმებით, რომ აბსოლუტურად „ნაციონალების“ რიტორიკაა, თითქოს მიხეილ სააკაშვილი გველაპარაკება ოდესიდან პაატა ბურჭულაძის პირით, რომელიც მისთვის ჩვეული დემაგოგიით ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „ქართული ოცნების“ ხელში „გაუბედურებულ ქვეყანას ის მოუტანს ბედნიერებას, ის დაუბრუნებს მიზანს, ღირსებას, ის მოგვრის შვებას და სიხარულს.

**ცრუობს „რუსული ბარიტონი“, როცა ამბობს, რომ საქართველოს არ აქვს მიზანი, არ აქვს მიმართულება, არ გეგმავს მომავალს.**

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებას და, შესაბამისად, ქვეყანასაც, მიზანიც აქვს, მიმართულებაც და მომავალსაც გეგმავს, უბრალოდ, ამის დანახვა უნდა გინდოდეს, ამის დანახვა კი მხოლოდ მაშინ მოგესურვება, როცა პოლიტიკანობას და სხვისთვის ნამუსის მოწმენდას თავს დაანებებ და რეალობას პატიოსნად შეაფასებ, ხოლო ამას თუ გააკეთებ, არ შეიძლება არ შეამჩნიო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არა მარტო ბიზნესი დ მედია გაათავისუფლა, არამედ ტერორით და რეპრესიებით დათრგუნული ადამიანები გაათავისუფლა შიშისგან, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მასობრივი ფსიქოლოგიური ზეწოლის, ფსიქოლოგიური ძალადობისგან.

მერე რა, რომ „ნაციონალებივით“ ხმამაღლა არ ყვირიან და არ აპიარებენ, განა ფაქტი არ არის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ ოთხ წელიწადში ორჯერ და სამჯერ მეტი საქვეყნო საქმე გააკეთა, ვიდრე „ნაცმოძრაობამ“ მთელი ცხრა წლის განმავლობაში.

განა ფაქტი არ არის, რომ „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა ჯანდაცვის სფეროში ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა, ისე, როგორც იხსნა მათი ოჯახები ეკონომიკური განადგურებისგან და გაჩანაგებისგან, როგორც ეს „ნაციონალების“ „ბედნიერ ეპოქაში“ ხდებოდა.

განა ფაქტი არ არის, რომ დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სულ სხვა ვითარებაა და იქ მოხვედრილ ადამიანებს ნორმალურ, ადამიანურ გარემოში უწევთ სასჯელის მოხდა, ისე, რომ მათ არავინ ამცირებს, არავინ აწამებს, არავინ შეურაცხყოფს.

რა ვქნათ ახლა, ბატონო პაატა, რადგან თქვენს ოდესელ დირიჟორს ასე სურს, ეს ყველაფერი ჩამოვწეროთ, გადავფხიკოთ, გადავშალოთ, წარსულს ჩავაბაროთ და სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენად „სუფთა“ იქნება ეს გადაფხეკილ-გადაშლილ-გადაღებილი ფურცელი, თქვენ რომ გვაჩეჩებთ ხელში?

სუფთა ფურცელია თუ პალიმფსესტი, სადაც „ნაცმოძრაობის“ ავკაცობის ამსახველი ძველი ტესქტი საღებავის სქელი ფენით იქნება დაფარული, ზედ კი მსხვილი ასოებით დაეწერება ბურჭულაძის დევიზი „სახელმწიფო ხალხისთვის“, რომელმაც რატომღაც ლენინი და პროლეტარიატის დიქტატურა გამახსენა.

ერთი შეხედვით, სად ლენინი და სად ბურჭულაძე, მაგრამ თუ ყურადღებით წაიკითხავთ ბურჭულაძის „პოლიტიკურ მანიფესტს“, ადვილად მიხვდებით, რომ არც მთლად უმაგისობაა.

ესაა დროის კონტექსტიდან ამოგლეჯილი, შარლატანური, პოპულისტური იდეებით გაჯერებული ტექსტი, რომლის ავტორი თვითონვე იხლართება და იბლანდება ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებში.

ერთადერთი რამ, რაც „მანიფესტის“ ავტორმა ზუსტად იცის, ისაა, რომ როგორმე გაათეთროს და პასუხისმგებლობა მოუხსნას უამრავ დანაშაულში ბრალდებულ „ნაცმოძრაობას“, თუმცა ამასაც ძალზე უნიჭოდ და უხეიროდ აკეთებს.

ამ მცირე ხნის განმავლობაში უკვე ნათელი გახდა, რომ პაატა ბურჭულაძისგან პოლიტიკოსი ვერ დადგება.

ამ მცირე ხნის განმავლობაში მან მოასწრო და იმდენი საჩოთირო და გულუბრყვილო (არ მინდა ვთქვა, სულელური) განცხადება გააკეთა, ნათელია, რომ მისგან პოლიტიკოსი ვერ დადგება.

არადა, არჩევნებამდე კიდევ დიდი დროა და მან თუ ასე გააგრძელა, არჩევნებზე ნულოვანი რეიტინგით მივა.

იმერეთში იტყვიან, ბავშვი ბურჭალობს, ანუ ბავშვი ცელქობს, თამაშობსო.

ბურჭულაძეც ბურჭალობს და მისი პოლიტიკოსობაც ბავშვის ცელქობას და თამაშს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზული ადამიანის სერიოზულ ქმედებებს.

12 მაისს გავრცელებული მისი პოლიტიკური „უსტარის“ შინაარსიდან ბევრმა აზრი ვერ გამოიტანა, რადგან ეს აზრი, ჩამოყალიბებული, აწონილ-დაწონილი აზრი, შიგ არ არის.

ბურჭულაძის სასოწარკვეთილი მცდელობა – გაეჟღერებინა „ნაციონალური“ რიტორიკა ისე, რომ არ გაშიფრულიყო და თან დამკვეთის დავალებაც შეესრულებინა, სრული კრახით დამთავრდა.

მართლაცდა, რას ბურჭალობს ბურჭულაძე, სირცხვილი არ არის?

* * *

ბურჭულაძის პოლიტფანები და ვირეშმაკობაში დაოსტატებული მედიასაშუალებები საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ბურჭულაძის პოლიტიკაში შემოსვლით ორი დიდი ქველმოქმედი უპირისპირდება ერთმანეთს.

ამ ორი ქველმოქმედიდან ერთი, ბიძინა ივანიშვილი, ნამდვილად ვიცი, მაგრამ მეორეს ვერა და ვერ ვიხსენებ.

საქმე ის არის, რომ პაატა ბურჭულაძე არასოდეს ყოფილა ქველმოქმედი – ის არის საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზატორი და მენეჯერი.

საერთოდ, ბიძინა ივანიშვილთან პაატა ბურჭულაძის, როგორც ქველმოქმედის, ხსენება სასაცილოა და მეტი არაფერი.

„ნაციონალების“, ზოგიერთი სინდისგარეცხილი ოპოზიციური პარტიების და მათ ხმას აყოლილი ქართველთა მცირე ნაწილის გარდა, საქართველოში, ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, ვინც არ დაადასტურებს, რომ საქართველოს, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, არასოდეს ჰყოლია ბიძინა ივანიშვილის მასშტაბის ქველმოქმედი და მეცენატი.

დიდი უმადური და დიდი უნამუსო უნდა იყო, რომ ეს უარყო.

სამწუხაროდ, უმადურობა და უნამუსობა ზოგიერთმა პროფესიად გაიხადა და პროფესიონალ უნამუსოდ იქცა...

დასანანი იქნება, თუ მათ რიცხვს პაატა ბურჭულაძეც შეემატება.

არადა, მას ამის დიდი შანსი აქვს, თუ ხშირ-ხშირად გაიმეორებს „ნაცმოძრაობის“ მიერ შემოგდებულ ფრაზებს, მაგალითად, ასეთს: „არ გვინდა, რომ ქვეყანას ჰყავდეს არაფორმალური ბატონი და მისი გემოვნებით ვცხოვრობდეთ, მისივე გემოვნებით შექმნილ სამყაროში“.

ამ არაფორმალურ ბატონში, ბურჭულაძე, ცხადია, ბიძინა ივანიშვილს გულისხმობს.

– ჰოდა, არ შეხვიდე ამ არაფორმალური ბატონის მიერ გაახლებულ ოპერაშიო, – მოუწოდებენ მოქალაქეები სოციალური ქსელებიდან სააკაშვილის „ოპერაში„ გადაბარგებულ ბარიტონს.

მოქალაქეები ისეთ მკვახე და მწარე შეფასებებს აძლევენ ბურჭულაძის გაპოლიტიკოსებას, მათი გამეორება უხერხულად მიმაჩნია.

ღირდა კი ეს ყველაფერი „ნაცმოძრაობისთვის“ ბანის აყოლებად?

აქა-იქ უკვე გაისმა მოთხოვნა, გაირკვეს, რა ხდებოდა იმ საქველმოქმედო ფონდებში, რომლებსაც პატივცემული პაატა ხელმძღვანელობდა.

იმავე სოციალურ ქსელებში ფონდ „იავნანას“ „იავნანას“ მაფიად მოიხსენიებენ და ეჭვს გამოთქვამენ, რომ იქ შავი ფული ირეცხებოდა, ხოლო თანხის დიდი ნაწილი ქველმოქმედებას კი არა, სულ სხვა კომერციულ საქმეებს ხმარდებოდა და გაჭირვებულთა და უპოვართა დასახმარებლად კი არა, სულ სხვა მიმართულებით მიედინებოდა.

ახლა, როცა ბატონმა პაატამ ქველმოქმედის მანტია მოიხსნა და პოლიტიკოსობა გადაწყვიტა, შესაბამისი ორგანოები, უფრო ზუსტად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ვალდებულნი არიან, გამოწვილვით შეისწავლონ და საზოგადოებას ამცნონ, როგორც ერთი, ისე მეორე ფონდის საქმიანობის დეტალები, რომ ცუდად აგორებული ეჭვი ან დადასტურდეს, ან გაქარწყლდეს!.



დაბოლოს, ეს წერილი მინდა დავამთავრო ამავე თემისადმი მიძღვნილი ჩემი ერთი წერილის ფრაგმენტით:

„ნაცმოძრაობა“ გვარბევდა, ხელკეტებს გვიზაპუნებდა, გაზით გვწამლავდა, „დუბინკებით“ და ცოცხის ტარით გვაუპატიურებდა, **ბატონი პაატა მღეროდა**.

„ნაცმოძრაობა“ ქუჩაში ხვრეტდა უდანაშაულო მოქალაქეებს, ციხეში ყრიდა ათასობით ადამიანს, ძარცვავდა, არეკეტებდა, აყაჩაღებდა მოსახლეობას, **ბატონი პაატა მაინც მღეროდა და მღეროდა**.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი პროტესტის სიტყვა არავის სმენია მისგან – მღეროდა და ხავერდოვანი ბანით „ახავერდებდა“ „ნაცმოძრაობის“ მიერ დაწიოკებული ქვეყნის კვნესას და გმინვას“.

დიახ, ბატონი ბურჭულაძე ყველა ხელისუფლების დროს ყელმოღერებული მღეროდა და გასაკვირი არ არის, მაინცდამაინც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს რომ გადავიდა ლაპარაკზე?

ლაპარაკში კი იმდენი „თვალმარგალიტი“ დააფრქვიეთ სჯობდა ისევ გემღერათ, ბატონო პაატა, მაგრამ ახლა უკვე გვიანია...

# თამაზ მეჭიაური:

# ვრჩებით მეგობრებად და თანამოაზრეებად ყველა საკითხში, გარდა ერთისა!



**„ნატოსთვის ერთგულების დამტკიცებაში პოზიცია და ოპოზიცია ერთმანეთს ეჯიბრება, მაგრამ როცა გამოჩნდება ეროვნულ საფუძველზე აღმოცენებული პოლიტიკური ძალა, ამ ძალებს, რომლებიც მხოლოდ შიდა კონკურენციით არიან დაკავებული, საკმაოდ დიდი დისკომფორტი გაუჩნდებათ.“**

მაისის პირველი ნახევარი პოლიტიკური ბატალიებით დატვირთული გახლდათ: პაატა ბურჭულაძე, რომელმაც „ტკბილი ცხოვრება მიატოვა და პოლიტიკაში მოვიდა“, ლეონიდ ჩორნოვეცკი, რომელიც პირიქით, ქართული პოლიტიკიდან ტკბილ ცხოვრებას დაუბრუნდა, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის გარშემო ატეხილი აურზაური, თამაზ მეჭიაურისა და რესპუბლიკელების დაპირისპირება და „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ რიგით მეოთხე ყრილობა, რომელიც თამაზ მეჭიაურისა და დავით უსუფაშვილის გარეშე ჩატარდა.

მეჭიაური-რესპუბლიკელების დაპირისპირება საქართველოს სამხედრო პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ განცხადებას მოჰყვა: „ნატოში შესვლას ამ მოცემულობით მხარს არ ვუჭერ, იმიტომ, რომ დღევანდელი მოცემულობით და პრობლემებით არავინ მიგვიღებს თუ ჩვენ უარს არ ვიტყვით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე. ამერიკის ელჩი ნატოში ამბობს, რომ უახლოეს პერიოდში არ იგეგმება ნატოს გაფართოვება. თუ ვიცით, რომ არ მოხდება, რა გვინდა? მიმაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ-ამერიკულ წვრთნები ჩვენი ქვეყნისთვის საფრთხის შემცველია.“–განაცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ. როგორც მოსალოდნელი იყო, მეჭიაურის განცხადებას რესპუბლიკელების მყისიერი რეაქცია მოჰყვა. „ჩემთვის „ქართული ოცნების“ დუმილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბატონი მეჭიაურის ესა თუ ის განცხადება “– განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა.

მმართველი პარტიის დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულა. ყრილობამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებაში“იმ ადამიანების ადგილი არაა, რომლებსაც საქართველოს საგარეო ვექტორთან მიმართებაში ეჭვი ეპარებათ.

„თავისი გადაწყვეტილებით ის უფრო ახლოს არის არის რესპუბლიკურ პარტიასთან“– ასე შეაფასა თამაზ მეჭიაურმა გიორგი კვირიკაშვილის განცხადება და ქართული ოცნებიდან „თავისი ჭკუის“ ხალხთან წასვლა დააანონსა. რესპუბლიკელებისა და თამაზ მეჭიაურის დაპირისპირების მორიგი ეტაპი ქვეყნის პრეზიდენტმაც შეაფასა და განაცხადა, რომ მათ შორის განსხვავებას ვერ ხედავს.

რესპუბლიკელების მეჭიაურთან ერთ კონტექსტში მოხსენიება ღიმილის მომგვრელი აღმოჩნდა რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილისთვის, რომელმაც პრეზიდენტის სიტყვები უმადურობად და უმეცრებად შეაფასა. ბერძენიშვილმა პრეზიდენტს უსუფაშვილის მხარდაჭერაც შეახსენა და თქვა, რომ რესპუბლიკური პარტია ყველაფერს აკეთებდა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი გადარჩენილიყო: „თუ ვინმე გვერდით იდგა პრეზიდენტთან და ცდილობდა, რომ იგი არ გარიყულიყო ქართული პოლიტიკიდან, იყო დავით უსუფაშვილი. მისი განცხადებები იყო უბრალოდ ადამიანურად არასწორი, მაგრამ ასე თქვა და რა ვქნათ. ეს მის ნამუსზე იყოს.“

რესპუბლიკელებთან დაპირისპირებაზე, „ქართული ოცნების“ ყრილობაზე მიუსვლელობის მიზეზებზე და სამომავლო გეგმებზე „საერთო გაზეთს“ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავცმჯდომარე **თამაზ მეჭიაური** ესაუბრა:

– ყრილობაზე ჩემი არმისვლის მიზრეზი გახდა აზრთა სხვადასხვაობა ერთ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც როგორც მოქმედ, ასევე ყოფილ პრემიერთან ბიძინა ივანიშვილთან მაქვს.

**– თქვენი განაწყენების მიზეზი გიორგი კვირიკაშვილის განცხადება გახდა?**

– არავითარი განაწყენება არ ყოფილა. მე ჩავთვალე, რომ ჩემი მისვლით შეიძლებოდა რაღაც დისონანსი შემეტანა ყრილობის მუშაობაში. იქიდან გამომდინარე, რომ იქნებოდა ინტერესი ჩემი პოზიციის მიმართ, შეიძლება ზოგიერთ მედიასაშუალებას ეს სხვანაირად გამოეყენებინა და საზეიმო განწყობა გარკვეულწილად გაეუფერულებინა. მე მქონდა ბატონ ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაცია და ვკითხე, ყრილობას რომ არ დავესწრო, დემარშად ხომ არ ჩამითვლით თქო და მიპასუხა, რომ როგორც საჭიროდ ჩავთვლიდი, ისე უნდა მოვქცეულიყავი.

**– „ქართული ოცნებიდან“ წამოსვლის შემდეგ, რომელ პოლიტიკურ ძალასთან მოიაზრებთ თქვენს სამომავლო საქმიანობას?**

– ალბათ მე მივიღებ ასეთ გადაწყვეტილებას, ოღონდ მას შემდეგ, რაც გიორგი კვირიკაშვილს შევხვდები. ბატონ ბიძინასთან უკვე მქონდა საუბარი და რადგან მისგან ვერ მოვისმინე არგუმენტები, რომლებიც დამარწმუნებდა, რომ უახლოეს პერიოდში ნატოში გასაწევრიანებლად პესეპექტივა გაგვაჩნია, ჩვენ ვრჩებით მეგობრებად და თანამოაზრეებად ყველა საკითხში, გარდა იმ ერთისა. დიდი პატივისცემის მიუხედავად, მე ჩემს პოზიციაზე ვრჩები, რადგან ეს არის ძალიან პრინციპული საკითხი. არა მგონია, რომ ამ საკითხში თანხვედრის გარეშე, პოლიტიკურ ორგანიზაციასთან შესაძლებელია ურთიერთობის გაგრძელება. ვიმეორებ, არ მინდა, რომ ეს ვინმემ დემარშად და პიროვნულ დაპირისპირებად გაიგოს.

**– ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ ქვეყნის საგარეო ორიენტირებთან დაკავშირებით, „ქართულ ოცნების“ ბევრი წევრი თქვენს პოზიციაზე, თუმცა, საპარლამენტო სიაში ადგილების დაკარგვის შიშით, ამის ღიად გაცხადებას ვერ ბედავს. ამ ადამიანებს ვერ დაასახელებთ?**

– ვერ კი არა, არ დავასახელებ.

**–სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობას გამორიცხავს „ქართული ოცნებიდან“ თქვენამდე წამოსული ირაკლი ღარიბაშვილიც. შესაძლებელია თუ არა, რომ ყოფილი პრემიერ მინისტრის გვერდით გიხილოთ თუ ირაკლი ღარიბაშვილი პოზიციას შეცვლის და პოლიტიკაში დაბრუნდება?**

– მე არ მითქვამს, რომ არავისთან ვითანამშრომლებ. მე ვთქვი, რომ წინასწარი მონახაზი, რომ ვინმესთან გადავიდე, არ მაქვს. მე მაქვს ჩემი ხედვა, ჩემი აზრი და გზა, რომელიც შეიძლება დაემთხვას არ არ დაემთხვას სხვისას. თუ პიროვნულ ურთიერთობებზეა საუბარი, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი მეგობარი „ქართულ ოცნებაში“ მყავს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, როცა ქვეყნის ბედი გზაგასაყარზეა და შეიძლება არასწორმა არჩევანმა ქვეყნის ინტერესი დააზიანოს. მე უდიდეს პატივს ვცემ ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მიმაჩნია, რომ მან ქვეყნის ისტორიაში უზარმაზარი ადგილი დაიმკვიდრა, მაგრამ არის საკითხები, რომელთა არასწორად განვითარების შემთხვევაში, ის უზარმაზარი ღვაწლი და სიკეთე, რაც მან ქვეყნისთვის გაიღო, შეიძლება ქვეყნის მტრების მიერ იქნას გამოყენებული. რა თქმა უნდა, მეც და მათაც გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მის მომავალს სხვადასხვანაირად ვხედავთ. მე ჩემი გზა მგონია სწორი, მაგრამ არჩევანი ხალხის გასაკეთებელია. ხელისუფლების და ძალაუფლების წყარო ხალხია და რეალობაშიც ასე უნდა იყოს. ქვერყნის ორიენტირები ხალხმა უნდა განსაზღვროს და გარედან ვერავინ, თუნდაც ჩვენი ე.წ. მეგობარი ქვეყნები ვერ უნდა გვკარნახობდნენ როგორ ვიცხოვროთ და საპარლამენტო სიაში ვინ შევიყვანოთ.

**– დასავლური ორიენტაციის რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების დაპირისპირებაზე რა აზრის ხართ?**

– ნაკლებად მაინტერესებს „ქართული ოცნების“ კოალიციაში „გარედან“ ჩასმული პარტიები. ჩემთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია რეალურად ეროვნული ძალა, რომელიც დისონანსს შეიტანს ხსენებული პარტიების არსებობაში. ამ დროისთვის, ევროატლანტიკურ ალიანსში სიმშვიდეა, რადგან ნატოსთვის ერთგულების დამტკიცებაში პოზიცია და ოპოზიცია ერთმანეთს ეჯიბრება, მაგრამ როცა გამოჩნდება ეროვნულ საფუძველზე აღმოცენებული პოლიტიკური ძალა, რომელსაც ხალხის მანდატი ექნება, ამ ძალებს, რომლებიც მხოლოდ შიდა კონკურენციით არიან დაკავებული, საკმაოდ დიდი დისკომფორტი გაუჩნდებათ. მთავარია მოსახლეობაში იყოს ასეთი განწყობა და ძალა გამოჩნდება. მე ჩემი მწირი შესაძლებლობებით ყველანაირად ხელს შევუწყობ ამ ძალის გამოჩენას.

**– ქართულ პოლიტიკაში დღესაც არსებობენ ჩრდილი ატლანტიკური ალიანსის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ძალები. თუნდაც „ბურჯანაძე დემოკრატები“ ან „პატრიოტთა ალიანსი“. შეიძლება თუ არა, რომ თქვენს მიერ ხსენებული ძალა უკვე არსებული ძალების ბაზაზე შეიქმნას?**

– არ არის გამორიცხული, ასეთი ძალების კონსოლიდაცია მოხდეს. ამჯერად მეტს ვერაფერს გეტყვით.



**ნელი თორდია**
571 35 36 88

# „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო კამპანია „კმარას“ სტილში მიმდინარეობს



„საერთო გაზეთის“ სტუმარია „გლობალური კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:

— **ქალბატონო ნანა, ახლახან, „ქართული ოცნების“ მეოთხე ყრილობა გაიმართა. როგორც ანონსდებოდა, პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში ახალი სახეებიც გამოჩნდნენ. რა მოლოდინები გაქვთ განახლებული „ქართული ოცნებისგან“?**

— გამოგიტყდებით, ბევრად მეტის მოლოდინი მქონდა, ძალიან მოკლე, შეკუმშული ყრილობა იყო. ეტყობა ამიტომაც იყო, რომ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ერთ კვირაში მოსახლეობას წერილობით მივმართავო. რაც შეეხება იმას, რაც ყრილობას, თამაზ მეჭიაურთან და გოგი თოფაძესთან დაკავშირებით, წინ უძღოდა, ეს საერთოდ, მოუთმენელია. იმიტომ, რომ გამოდის, პარტია შიგნითვე ვერ უძლებს დემოკრატიის მოთხოვნას, განსხვავებული აზრის მოსმენა არ შეუძლია. არადა, პარტიული და პოლიტიკური ცხოვრება სწორედ, ამით ხასიათდება, პარლამენტიც ხომ ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას. პარტიაში შეიძლება საკუთარი აზრი გქონდეს, მაგრამ საბოლოოდ, უმრავლესობის გადაწყვეტილებაა მნიშვნელოვანი. როცა ამას საკუთარი პარტიის შიგნით ვერ იტან, მის გარეთ, როგორ აიტან. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ კოალიციის ყოფილი წევრი პარტიები „ქართულ ოცნებას“ არ უნდა მიუთითებდნენ ვინ გარიცხონ პარტიის რიგებიდან და ვინ არა. აი, სადამდე მივიდა საქმე. სოციალურ ქსელში ხუმრობენ კიდეც, მაშინ ჩვენ, ძმები ბერძენიშვილების გარიცხვა მოვითხოვოთ „რესპუბლიკური პარტიიდანო“, რაც ისეთივე აფსურდია, როგორც თავად „რესპუბლიკელების“ მოთხოვნა მეჭიაურისა და თოფაძის გარიცხვასთან დაკავშირებით. მათ ამას არავინ ეკითხება. პარტიის გარედან ამის მითითება არავითარ დემოკრატიულ ნორმებში არ ჯდება.

— **პოლიტიკურ წრეებში საუბრობენ იმაზეც რომ რამდენიმე მინისტრს დაკავებული პოსტების დატოვება მოუწევთ.**

— საერთოდ, ძალიან უცნაურია, რომ „რესპუბლიკელები“, ამ დრომდე, პორტფელებს ინარჩუნებენ. თუ პოლიტიკოსს არ აქვს უნარი ასეთ შექმნილ ვითარებაში თანამდებობა დატოვოს, ეს უკვე ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. მათ ხომ თავისთავად, ოპონირების რეჟიმში მოუწევთ საარჩევნო კამპანიის წარმართვა. როგორ იქნება ეს ამბავი?! რეალურად გადახედონ იმ ქვეყნების ისტორიას, სადაც კოალიციური მთავრობები იქმნება. ყველაზე კარგად ეს გერმანიის მაგალითზე ჩანს — ვიდრე მმართველ უმრავლესობაში ხარ პორტფელები გაქვს, როგორც კი ოპოზიციაში გადადიხარ თანამდებობებს ტოვებ და ხელახალი გადანაწილება ხდება. ამიტომ, ეს რაც ჩვენთან ამ კუთხით ხდება, რა თქმა უნდა, ნორმალური ვითარება არაა. თუ „რესპუბლიკელი“ მინისტრები ახლა, თანამდებობებიდან დემარშით წასვლას დააპირებენ, ჯერ ერთი, ეს ქმედება დაგვიანებულია, მეორეც, უნდა ახსოვდეთ, რომ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დემარშით ვერაფერი მოიგეს. ის განცხადებები, რომ ქვეყნის პრო-დასავლური კურსი მათზე ყოფილა ჩამოკიდებული, არაფრით იყო გამართლებული. ასეა ამ შემთხვევაშიც.



— **რამდენად მოახერხებს „ქართული ოცნება“ ძველი შედეგის გამეორებას? „ენ-დი-აის“ კვლევებით, მისი და „ნაციონალების“ პროცენტები თითქმის გათანაბრდა.**

— სოციალურ ქსელებში ეს თემა ძალიან აქტუალურია, ყველა კითხულობს ერთი ადამიანი მაინც გვანახეთ ვინც გამოკითხესო, მაგრამ ასეთს ვერავინ პოულობს. ამასთან დაკავშირებით ძალიან უცნაური იყო იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელის კობა თურმანიძის განცხადება, რომელსაც ამერიკული ორგანიზაცია კვლევას უკვეთავს. მან თქვა: საქართველოს მოსახლეობა სამმილიონ ნახევარია და ჩვენ 2-დან 4 ათას ადამიანს ვეკითხებით აზრს და ნორმალურია, ასეთ ადამიანებს თუ ვერ პოულობთო. მაგრამ იქვე ძალიან უცნაური ფრაზა დაამატა — მე, პირადად ვიცნობ იმ ადამიანებს ვინც გამოიკითხაო. გამოკითხვა ანონიმური, კონფიდენციალურია და რატომ იცნობს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი მათ, ეს კიდევ უფრო მეტ კითხვას და ეჭვს წარმოშობს. ჯერ ერთი ძალიან საინტერესოა რა მეთოდოლოგიით იკვლევენ, ასევე, როგორ არის კითხვარი შედგენილი. ერთიდაიმავე საკითხზე შეიძლება ისეთი ფორმულირება გააკეთო, რომ ის პასუხი მიიღო, რაც გინდა. ამიტომ, როცა ეჭვები ჩნდება, სულ ცოტა ან ორგანიზაცია უნდა შეიცვალოს ვინც გამოკითხვას ატარებს, ან მეთოდოლოგია უნდა გახდეს საჯარო. სამწუხაროდ, მოსახლეობის ძალიან მაღალი პროცენტი ჩამოყალიბებული არაა თავის გადაწყვეტილებაში. თურმანიძე ამბობს, რომ 2012 წლის არჩევნებში ორი თვით ადრე ჩატარდა გამოკითხვა და ორ თვეში, შეიძლება, განწყობები კარდინალურად შეიცვალოსო. მაშინ რისთვის ტარდება კვლევა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის? მეც ხშირად მესმის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი იმედგაცრუებულია და ამბობს რომ არჩევნებში არ მივა. ეს, პირადად მე, კიდევ უფრო ცუდი პროგნოზის გაკეთების უფლებას მაძლევს. იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი ვინც უბანზე არ მიდის და ხმას არ აძლევს, მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ ოქტომბრიდან სხვისი არჩეული ხელისუფლება მოვა. ამიტომ, ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ყოვლად აუცილებელია მოქალაქეებმა საკუთარი აზრი დააფიქსირონ. პროცენტული მაჩვენებელი ვისაც გადაწყვეტილი აქვს არჩევნებში არ მივიდეს, ისევ ძალიან მაღალია, მაგრამ არჩევნებამდე ჯერ კიდევ არის დრო. პარტიების მუშაობაზეა დამოკიდებული, ვინ უკეთ შეძლებს ამომრჩევლის მიმხრობას. ასე, რომ ის რაც ამომრჩევლის გასაკეთებელია, მან სხვას არ უნდა გადააბაროს, თორემ, მერე სხვისი არჩეული ხელისუფლების პირობებში მოუწევს ცხოვრება.

— **ქალბატონო ნანა, საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ „ნაციონალები“ არეულობისთვის ემზადებიან, რისი წინაპირობებიც აშკარად გამოკვეთილია. ამ კუთხით, რა საფრთხეებს ხედავთ?**

— მათი აქციები „კმარას“ პროვოკაციული სტილით მიმდინარეობს. არსებობს დესტაბილიზაციის საფრთხე, ასევე იმის, რომ ხელისუფლება ფხას ვერ გამოიჩენს, რასაც ხშირად ედავებიან. მაგრამ რეალურად, რევოლუციის საფრთხეს ვერ ვხედავ იმიტომ, რომ ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია არ არის. ამ ხელისუფლებისგან, ხალხი, არ დაღლილა. კი, საზოგადოებას პრეტენზიები აქვს, ეს მათ ხმებზე იმოქმედებს, მაგრამ ეს არაა რევოლუციური სიტუაცია. მერე, ბოდიში, მაგრამ ადამიანებს 2003 წელს თუ სჯეროდათ „რუსთავი2“-ის, დღეს, პრაქტიკულად, აღარავის სჯერა. რამდენიც არ უნდა აქვეყნონ რეიტინგები, ხალხს ვეღარ მოატყუებენ. ეს რეიტინგებიც ზუსტად ისევე ტარდება, როგორც „ენ-დი-აის“ შემთხვევაში ვისაუბრეთ. ამდენად „რუსთავი2“-ის, სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ რწმენა, მოსახლეობაში, არ არის. რა თქმა უნდა, იქნება არეულობის მოწყობის მცდელობები, გამოიყენებენ ყველა ინსტრუმენტს, მათ შორის, „კმარასეულსაც“ მაგრამ ამ ყველაფერს მასშტაბურ რევოლუციურ სახეს ვერ მისცემენ და ეს თვითონაც კარგად იციან.

რღვევა დაწყებულია. ბევრს ეცადა „ნაცმოძრაობაც“ და დავით უსუფაშვილიც რომელიც ამბობდა, ჩვენ „ნაცმოძრაობა“ უნდა შევინარჩუნოთო ეს ქართულ დემოკრატიას სჭირდებაო, მაგრამ რღვევის პროცესი მაინც დაწყებულია. სულ თავიდან, 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ყველაფერი პორტირებით დაიწყო და მერე, ნელ-ნელა გაგრძელდა. ჯერ „გირჩი“ შეიქმნა, მერე, ვაშაძე წამოვიდა, რომელიც ასევე ახალ პოლიტიკურ ცენტრს აყალიბებს. არ ველოდები, რომ ვაშაძე ან „გირჩი“ „ნაცმოძრაობაზე“ თავდასხმებს გააგრძელებენ იმიტომ, რომ ეს, მათ მიმართ, მაშინვე წარმოშობს შეკითხვებს თუ სად იყვნენ ამდენ ხანს. მაგრამ ის, რომ რეალურად, გუნდი დასუსტებულია პირველი ათეულის გამოქვეყნებიდანაც ჩანს. „გირჩი“ და ვაშაძე თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ, ხმებს ისევ „ნაცმოძრაობას“ წაართმევენ. ამით არიან ისინი სახიფათო, სხვა სახის იდეოლოგიურ დემარშებს არ ველოდები.

— **რაც შეეხება ბურჭულაძის პოლიტიკაში ჩართვას, როგორ უყურებთ ამ საკითხს?**

— ეს, დაახლოებით, იმას ჰგავს შალვა ნათელაშვილმა ივანიშვილს რომ სთხოვა, არჩევნებში ჩემი მოგების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი შენ იყავიო და მერე, როგორ ამკობს და თათხავს, ყველა ვხედავთ. დაახლოებით, იგივეა ახლაც. რაც შეეხება ბურჭულაძეს, მის მიმართ ყველაზე ნეგატიური რასაც ამბობენ ისაა, რომ მას ამ წლების მანძილზე სამოქალაქო პოზიცია არ დაუფიქსირებია. ეს სუსტი წერტილია. ამას დაემატა ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სახე მიხეილ მაჭავარიანი არ გამორიცხავს ბურჭულაძესთან პარტნიორობას ან კოალიციის შექმნას. ეს უკვე წამგებიან მდგომარეობაში აყენებს პაატა ბურჭულაძეს. განცხადებები — ჩვენ შევარიგებთ ყველას, არ გამოდის. ქვეყანაში სადაც ხელისუფლებას იმის გამო ერჩიან, რომ მან დამნაშავეს დამნაშავე არ დაარქვა და პირიქით, დღეს, „ნაცმოძრაობაა“ შეტევაზე გადასული, ესეც ძალიან წამგებიანი მესიჯია.

6 გვ.

# „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო კამპანია „კმარას“ სტილში მიმდინარეობს

← 5 გვ.

— **ქალბატონო ნანა, საზოგადოებაში, როგორც საუბრობენ, პრო-რუსული განწყობები ღვივდება...**

— ამ ტერმინს – პრო-რუსული, საერთოდ არ ვეთანხმები. იმ პოლიტიკოსებს რომლებიც გაუთავებლად ნატოზე და პრო-დასავლურ ვექტორზე საუბრობენ, სხვა არგუმენტი რომ აღარ აქვთ, მერე, პარტიებს პრო-რუსულს ეძახიან. მაგალითად, მე, საქართველოში პრო-რუსულ პარტიებს ვერ ვხედავ. ის, რომ ვიღაც ამბობს, რუსეთთან ურთიერთობა აუცილებლად დასარეგულირებელიაო, ეს პრო-რუსულობა კი არა, ელემენტარულად საღი აზრია. ამას რა პრო-რუსულობა უნდა. პრობლემა ვისთანაც გაქვს, მასთან უნდა მოაგვარო და არა მის გარე-მეზობელთან ან გარე-ბიძაშვილთან. ამდენად, ვიმეორებ, საქართველოში პრო-რუსულ პოლიტიკურ ძალებს ვერ ვხედავ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „ნაციონალები“ და სხვა მედასავლეთეები ამბობენ, რუსეთთან არ უნდა ვილაპარაკოთ, აზრი არ აქვსო, მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ ყველა საშუალებით საერთო ინტერესები უნდა მოვძებნოთ, პირდაპირ ველაპარაკოთ აფხაზებს და ოსებს, მაგრამ ველაპარაკოთ რუსეთსაც.

— **დღეს პოლიტიკოსები ევროკავშირისა და ნატოს ძახილს პრივილეგიად თვლიან და ამისთვის გვთხოვენ ხმა მოგვეცითო. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?**

— გეთანხმებით. მათ რომ ჰკითხოთ, რატომ უნდა აგირჩიოო, გეტყვიან – მე მინდა ნატოში შევიდეო. ეს მინდა საკმარისი არ არის იმისთვის რომ აგირჩიო, ეს ის არგუმენტი არაა რითაც უნდა გირჩევდე. უნდა მითხრა, მე რას გამიკეთებ. „ქართულ ოცნებას“, ამ კუთხით, ნაკლებად ვერჩი იმიტომ, რომ მარტო ჯანდაცვის პროგრამა რომ ავიღოთ, უამრავი ადამიანი სიკვდილს გადაურჩა. მაგრამ ცოტა უკან თუ გავიხედავთ, სახელმწიფოს, თავისი მოქალაქეების მიმართ ყოველგვარ ვალდებულებაზე, საერთოდ უარი ჰქონდა ნათქვამი. მთავარია, ის მითხარი მე რას გამიკეთებ, ქვეყნის შიგნით რას გააკეთებ, რამდენად დაცული ვიქნები, რამდენად უკეთესი პირობები მექნება. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბანკის მოვალეა. არ მესმის ტერმინი – ბანკებს ვერ მოვიმდურებთ, ბრძოლას ვერ დავუწყებთო, აბა, ხალხს, საკუთარ მოსახლეობას უნდა ებრძოლონ? ნატოში შესვლაზე ბევრი კითხვის ნიშანია იმ პირობებში, როცა ჩვენ აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა მოუგვარებელი გვაქვს. ახლა, ასეთი ლაპარაკი დაიწყეს – მერე რა, შევიდეთ და როცა იქნება ხომ დავიბრუნებთ ტერიტორიებსო. ჯერ ერთი, არ ვიცით ეს როდის იქნება, დრო ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს და თანაც, მთავარი პრობლემა თუ არ მოგვარდა – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაშინ ნატო რისთვის გვინდა რომ რუსეთმა დანარჩენი საქართველო არ დაბომბოს? რაც შეეხება ევროკავშირს, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება, ცუდი სულაც არაა. ჩვენმა ორგანიზაციამ „გლობალური კვლევის ცენტრმა“ ერთადერთმა გააანალიზა ეს დოკუმენტი, მივმართეთ მთავრობას ნუ შექმნიდნენ გადაჭარბებულ მოლოდინებს. მაგალითად, ამ დოკუმენტის თანახმად, დაწესებულია ბაზარზე შესვლის გადასახადი. ეს იმიტომ კეთდება, რომ ევროპაშიც თავის შიდა მწარმოებელზე ზრუნავენ, შენი პროდუქცია იქაურ მწარმოებელზე უფრო იაფი არ უნდა იყოს, ეს არ კეთდება. ანუ, თავისთავად – მე მინდა ვიყო ევროპელი, ამომრჩევლისთვის ვერაფერი მანუგეშებელი იქნება. ნატო აღარაა ის მომგებიანი თემა, რითაც ამომრჩეველი მოტყუვდება. ის რომ ჩვენ ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ვიქნებით და ამიტომ აქ წვრთნებს ვატარებთ, ეს აშშ-ს სტრატეგიული ინტერესებია და ჩვენი მოსაგვარებელი არაა. ეს ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე არ უნდა მოხდეს. სწორედ ამას ამბობდა მეჭიაური და დაეტაკნენ – სიმართლე რატომ თქვიო. ზოგადად, არცერთი ქვეყნის საქმე არაა საქართველო თავის ტერიტორიაზე წვრთნებს ჩაატარებს თუ არა, მაგრამ აქ მოდის მთავარი მაგრამ. რუსები თავის ტერიტორიაზე წვრთნებს რომ ატარებენ და აშშ-ს ადმინისტრაცია შეშფოთებებს გამოხატავს – ნატოს საზღვრებთან ძალიან ახლოსააო, რუსეთს არ აქვს უფლება თავის ტერიტორიაზე წვრთნები ჩაატაროს? პრობლემა, ეს ორმაგი სტანდარტია. თუ სერბეთის გულიდან კოსოვო ამოგლიჯე, მაშინ რუსეთიც იკითხავს – მე რატომ არ მაქვს უფლება სამხრეთ-ოსეთი და აფხაზეთი ვაღიაროო. საქართველო მაშინ იყო წარმატებული ქვეყანა, როცა დიდ მოთამაშეებს შორის არცერთს არ აკიდებია. ჩვენ, ცალსახად, არცერთის მხარეს არ უნდა ვიყოთ. ჩემი ხელისუფლება მაშინ იქნები როცა ჩემგან იქნები დავალებული და არა დასავლეთისგან.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს



**ბატონო დავით,**

საზოგადოება „ზუგდიდელი“ არის არაპოლიტიკური და არაკომერციული ორგანიზაცია. იგი წარმოადგენს მოქალაქეთა ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებულ გაერთიანებას, მას აქვს წესდება და სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებას. აქედან ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ეროვნული ტრადიციებისა და ფასეულობების, მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვის, ზნეობრივი და ეთიკური ქცევის ნორმების დამამკვიდრებელ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა.

სამწუხაროდ, დღეს ე. წ. ლიბერალები, ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მასმედიის მეშვეობით ეწევიან საკმაოდ მიზანდასახულ, ორგანიზებულ პროპაგანდას საქართველოში მოსახლეობისათვის მიუღებელი ცხოვრების წესების ჩანერგვაზე, როგორიცაა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, მარიხუანას დეკრიმინალიზაცია.

**მოვითხოვთ:**

1. დაკანონდეს კონსტიტუციით, რომ „ქორწინება არის სისხლით ნათესაობის არმქონე ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ურთიერთობა“.
2. პასპორტში ჩაიწეროს მამის სახელი და ეროვნება.
3. დეტალურად შესწავლილ იქნას იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქართველოში ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი, რომელთა საქმიანობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისათვის კატეგორიულად მიუღებელია.
4. მიღებული იქნას კანონი „ლგბტ“-ს აღლუმების ჩატარება-მოწყობის აკრძალვის შესახებ.
5. მიღებულ იქნას კანონი მარიხუანას დეკრიმინალიზაციის დაუშვებლობის, მარიხუანას მომხმარებელთა ადმინისტრაციული წესით დასჯისა და მისი პოპულარიზაციის აკრძალვის თაობაზე.

**ბატონო დავით,**

პარლამენტი არჩეულია ქართველი ხალხის მიერ და დარწმუნებული ვართ, რომ პარლამენტი მოუსმენს ხალხის სამართლიან მოთხოვნას. იმ მოთხოვნას, რომლის მიზანია ჩვენი მომავალი თაობის გადარჩენა და ქვეყნის მომავალზე ფიქრი.

ველოდებით პარლამენტის სამართლიან გადაწყვეტილებას.

**შეკრების მონაწილეთა სახელით:**

1. **ახალაია როლანდი** — წმ. ლუკას სახ. მრავალპროფილიანი კლინიკის დირექტორი
2. **ბარამია ანზორი** — ჟურნალისტი, მწერალი
3. **ბენდელიანი ნატო** — აფხაზეთის #12 საჯარო სკოლის დირექტორი
4. **გვარამია მანანა** — ბიბლიოთეკის დირექტორი
5. **გოგია ლაშა** — ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
6. **გოგოხია ირაკლი** — ქალაქის მერი
7. **გუგუჩია იურა** — ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი
8. **გურგულიანი კოტე** — მუზეუმების ცენტრის დირექტორი
9. **დეკანოზი მალხაზ ჭანტურია**
10. **ვეკუა კარლო** — საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრი
11. **თირქია გელა** — პოლიციის მაიორი
12. **თოლორაია ედიშერი** — ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი
13. **კალანდია აბელი** — სამხატვრო გალერეის დირექტორი
14. **კემულარია ნატალი** — კულტურის ცენტრი „ოდიშის“ დირექტორი
15. **კემულარია თემური** — მუნიციპალიტეტის მერიის მთავარი სპეციალისტი
16. **კვარაცხელია ზურაბი** — მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ოფისის უფროსი
17. **კვაშილავა შაქრო** — შპს „ტერმინალის“ დირექტორი
18. **კიკალიშვილი კლიმენტი** — შრომის ვეტერანი
19. **მალაშხია ნუგზარი** — ზუგდიდდასუფთავების ცენტრის დირექტორი
20. **კუხალეიშვილი დავითი** — იურისტი
21. **მამფორია ნინო** — კულტურის ცენტრ „ოდიშის“ დირექტორი
22. **მატკავა მზია** — სამუსიკო სკოლის დირექტორი
23. **მაქაცარია როლანდი** — ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი
24. **ნანავა მაიზერი** — ზუგდიდის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე
25. **ნარსია ლაშა** — გრ. ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
26. **ნაჭყებია გონელი** — ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე
27. **ნაჭყებია მანანა** — სასულიერო გიმნაზიის დირექტორი
28. **ნაჭყებია მურმანი** — საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე
29. **ოტობაია გური** — მწერალი
30. **სართანია გიზო** — მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე
31. **სართანია ნუგზარი** — შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭო
32. **სარია ნუგზარი** — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
33. **სოსელია გიორგი** — „ფაიფურის„ დირექტორი
34. **ფაცაცია ოთარი** — საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე
35. **ფიფია ვაჟა** — საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრი
36. **ქვარაია მერაბი** — ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე
37. **ქირია ლადო** — ჟურნალისტი
38. **ქობალია თენგიზი** — მუნიციპალური გამგეობის ურბანული განვითარების არქიტექტურის სამსახურის უფროსი
39. **ქუჩულორია ანზორი** — შპს „მექანიკური კომბინატის“ დირექტორი
40. **ღადუა ზამირა** — პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი
41. **შანავა თენგიზი** — მუნიციპალური გამგეობის უფროსი
42. **ცანავა დაზმირი** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
43. **ცხონდია ზურაბი** — მწერალი, ჟურნალისტი
44. **წიფურია მამუკა** — გრ. ხვიტიას სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი
45. **წოწორია მამუკა** — რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის დირექტორი
46. **ჭითანავა თენგიზი** — შემოსავლების სამსახურის რეგიონის ოფიცერთა სექტორის უფროსი
47. **ჭილაია კოტე** — #11 სკოლის პედაგოგი
48. **ხაინდრავა ბესო** — შპს „ცეცერას“ დირექტორი
49. **ჯგუშია ნათია** — გაზეთ „ეგრისის მაცნეს“ რედაქტორი
50. **ჯიქია ბონდო** — საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრი

# არ გადაუხადოთ „ონლაინ-სესხებს“ იმაზე მეტი, რაც ჩაგირიცხეს



## როგორ უნდა დავიცვათ თავი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბანდიტებისაგან?

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაიკარგა ქალბატონი, რომელმაც ერთ-ერთი ტელეკომპანიის პირდაპირი ეთერის მსვლელობისას განაცხადა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან აღებული ვალების გამო თავს მოიკლავდა.

ღმერთმა ქნას, რომ ამ ქალბატონს დროულად მიაკვლიონ, მაგრამ უკვე მერამდენე გახმაურებული ამბავია, როცა კონკრეტულად ე.წ „ბანკის ვალების“ გამო ოჯახები ინგრევა, ადამიანები უსახლკაროდ რჩებიან, ბოლოს და ბოლოს, თვითმკვლელობა ხდება!

ერთი თვის წინ სოფელ ბადიაურში მცხოვრებმა 24 წლის ახალგაზრდამ (კ. ხ-მ) მოისწრაფა სიცოცხლე თვითმკვლელობით, რომელსაც „ვივუსისგან“ აღებულ სესხზე გადაუხდელობის გამო პროცენტები დაერიცხა და გასამმაგებულ თანხას ითხოვდნენ მისგან...

იმდენჯერ ითქვა აღნიშნული პრობლემის შესახებ, იქნებ არც შემეხსენებინა კიდევ ერთხელ მკითხველისთვის, მაგრამ თხოვნით მომმართა ქალბატონმა მ.მ-მ, სანამ მეც გადავკარგულვარ მოუსავლეთში, გთხოვ, ჩემი სიტყვაც შეაწიე ყველა ჩემსავით გაჭირვებულს, იქნებ მთავრობის ყურამდე როგორმე მივიდესო.

მ.მ (ვინაობის დაფარვა შიშის გამო მთხოვა, ისედაც მჭამენ და ვინაობა რომ გაიგონ, უარეს უბედურებას არ მომწიონო): – „ლიბერთი ბანკიდან“, „ვივუსიდან“, „საქართველოს ბანკიდან“, „მოზოჯიდან“ და „მინი კრედიტიდან“ მაქვს გამოტანილი სესხები. 500 ლარზე მეტი არსაიდან გამომიტანია, ზოგიდან 300 ლარი მაქვს გამოტანილი და აღარ დასრულდა ამდენი წელია ჩემი ვალები, ემატება და ემატება. ყველას ძირი დაფარული მაქვს და თავის ჯარიმებიანად და პროცენტებით სამმაგიც გადახდილი მაქვს თუ მეტი არა. არასდროს მქონია საქმე ბანკთან და რა ვიცოდი თუ ასეთი ყაჩაღები იყვნენ? – მაღრჩობენ! ვმუშაობ და ვიხდი, მაგრამ იმხელა ჯარიმები აქვთ ერთი დღის გადაცილებაზე, ვერაფრით დავასრულე, სამსახურში კი ისე არაა ხელფასი, რომ სწორედ ბანკში გადახდის დღეს დაემთხვეს. დღეის მდგომარეობით 3 452 ლარი მაქვს ვალი ხუთივე ბანკში ერთად შეკრებილი, ვიხდი ყოველთვიურად, მაგრამ ისეთი სისტემითაა შექმნილი, ვერაფრით ვაცოტავებ.

მობილურ ტელეფონზე მომივიდა შეტყობინება Express bank-ისგან, 800-ლარიან კრედიტს მთავაზობდნენ. ვიფიქრე, ავიღებ ახლა ამ კრედიტს და სამ მევალეს მაინც მოვიშორებ-მეთქი და კიდევ კარგი, არ გავბრიყვდი კიდევ ერთხელ, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი ბატონ დიმიტრი ლორთქიფანიძეს. მან გაგვაფრთხილა ეს ისედაც გაჭირვებული ხალხი, რომ ეს მართლა ყაჩაღები, თურმე 800 ლარს რომ გთავაზობენ 12 თვის ვადით, პირობას კრედიტის აქტივაციის შემდეგ იგებ, როცა უკვე ტომარაში ყავხარ. ანუ, გაყენებენ იმ ფაქტის წინაშე, რომ



39 ლარი გატანის საკომისიო გეჭრება, ხოლო 1 წლის მანძილზე ორ კვირაში ერთხელ, უნდა იხადო 40 ლარი, ანუ თვეში 80 ლარი, რაც არ აკლდება ძირს. ხელშეკრულების ვადის გასვლითანავე უნდა დააბრუნო კრედიტად აღებული 800 ლარი, არ (ვერ) დააბრუნებ და ირთვება საჯარიმო სანქციები. მოკლედ რომ ვთქვათ, 12 თვეში ისედაც გაჭირვებული ადამიანი იხდის 1800 ლარს, ანუ 125%-ით ძვირდება პროდუქტი. 1 000 ლარის ჰაერში გამტყორცნელი რომ ვიყო 800 ლარს რატომღა ვისესხებდი?

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ როდესაც ვითომ ხელს მიმართავდნენ, ფულს მანდობდნენ, არავის უკითხავს, რეალურად რამდენად ვარ გადახდისუნარიანი. ითხოვ? – უპრობლემოდ მიიღებ!

უპირველესად ეს „ვივუს.ჯი“ უნდა მოვიშოროთ, ყველაზე დიდი მტაცებლები. ისეთი რეკლამა ჰქონდათ მასმედიის საშუალებით სანდოობაზე, რომ დავიჯერე. მათ რომ ჰკითხო, ყველაფერი ღია და გამჭვირვალე აქვთ, რადგან ხელშეკრულებაშია ასახული, მათ შორის გადავადების სერვისის შესახებაც, ანუ მსესხებელმა წინასწარ იცის რამდენი აქვს გადასახდელი, როდის და როგორ, რა შემთხვევაში.

საბანკო აფერისტობა-ბჟუტურში რომ გაერკვე, გამოდის ადვოკატთან ერთად უნდა მიხვიდე რომ გითარგმნოს რას გეუბნებიან ხელშეკრულებით, თანაც, ადვოკატი აუცილებლად კარგი მხედველობის უნდა იყოს რომ ის უწვრილესი შრიფტი კარგად გაარჩიოს. ადვოკატის გადასახდელი ფული საიდანღა უნდა ვიხადო უფულომ? ერთი იმითღა ვიმშვიდებ ვითომ თავს, რომ დოლარში არ მაქვს სესხი გამოტანილი...“

ერთი თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ბანკში დაიწყო მუშაობა ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციების რეგულაციებში მოქცევის მიმართულებით, რაც უახლოს მომავალში დასრულდება; რომ, იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ბაზარზე დარჩებიან შეზღუდული პირობებით, აღარ ექნებათ უფლება დააწესონ ჯარიმები და პროცენტები თავიანთი სურვილისამებ; რომ ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციების მფლობელები ცდილობენ შესთავაზონ თავიანთი პროექტი ბიზნეს-ომბუდსმენს, მაგრამ მისგან უარს იღებენ, რადგან ამ საკითხზე მუშაობა მთავრობაში უკვე მიმდინარეობს.

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში 70-მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა და თითეულ მათგანს უამრავი დამაწყევარი ჰყავს. გასულ კვირას ეკონომიკის მინისტრმა, ბატონმა დიმიტრი ქუმსიაშვილმა დადასტურებულად ამცნო მოქალაქეებს, რომ მართლაც მუშავდება პროექტი, რომელიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დარეგულირებას ეროვნულ ბანკს დაავალდებულებს. ბუნებრივია, ყველა „ვალაკიდებულს“ აინტერესებს, რამდენად არის შესაძლებელი იმ ადამიანებს ჩამოაჭრან ჯარიმები და დაუწიონ კაბალური პროცენტები, რომლებიც უკვე იმყოფებიან იმ პირობებში, რაც დღესდღეისობით აქვთ ამ ორგანიზაციებს; ან რა შეღავათი ექნებათ მათ, ვისაც „ძირიც“ დაფარული აქვს და „ძირზე“ ბევრად მეტიც და ა.შ უამრავი ნიუანსია.

როგორც ამბობენ, არსებობს ე.წ „ასოციაცია“, რომლის წევრები არიან შპს-ები: „კრედიტონი“, „მინიკრედიტი“, „ვივუსი“, „მასესხე“, „ემასკრედიტი“, „სისილოუნი“, რომლებიც ურთიერთშეთანხმებით მოქმედებენ და ისინი ქმნიან იმ ბადეს, რომელშიც ყველაზე მეტი მოქალაქეა გახვეული. მათ აქვთ განაცხადი, რომ რეგულაციებში მოქცევის შემდეგაც დარჩებიან იმავე პოზიციაზე, რადგან უცხოური კომპანიების შვილობილი კომპანიები არიან, რომელთა სათავო ოფისებში მილიონები ტრიალებს, მაგრამ ნეტავ, როგორ უნდა დარჩნენ, რანაირად „მოათვინიერებს“ ეროვნული ბანკი? საინტერესოა, რამდენად გაწირავს „ეროვნული ბანკი“ (არა მხოლოდ) კოლეგებს, თორემ სახეზე რომ მევახშეების ფინანსური აფიორის სახეობები გვაქვს, ცხადზე უცხადესია.

აღსანიშნავია, რომ Google-მ გაავრცელა პრეს-რელიზი, სადაც აცხადებს, რომ კომპანია ამიერიდან კრძალავს საკუთარ Adwords-სისტემაში მიკრო-სესხების რეკლამების განთავსებას. ახალი წესი ეხება ნებისმიერი ტიპის სესხის რეკლამას რომლის გადახდის ვადა 60 დღეზე ნაკლებია ან რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი 36%-ს აღემატება. აქამდე „გუგლი“ მხოლოდ იარაღით, წამლების ვაჭრობის ან ინტიმური შინაარსის რეკლამებს კრძალავდა, ახლა ასეთი აკრძალვაც შემოიღო, რადგან მათი აზრით, მსგავსი ფინანსური სერვისები ბოროტად სარგებლობენ გაჭირვებული ხალხის მდგომარეობით და ფულს არაეთიკური პირობებით სთავაზობენ. (საძიებო სისტემაში მოიძებნება, მაგრამ კომპანიების რეკლამები საძიებო შედეგების გარშემო და გარე საიტებზე განთავსებულ რეკლამებში აიკრძალება).

სანამ ეროვნული ბანკი ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, იურიდიული კონსულტაცია ადვოკატ ნატო გოგმაჩაძისგან მათთვის, ვისაც ონლაინ-სესხები აქვს (გამოაქვეყნა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“): – „როგორ უნდა მოიქცეთ, როცა გაქვთ ონლაინ-სესხი, ვერ გადაიხადეთ და მას გთხოვენ გასამმაგებული ოდენობით.

უპირველესად, განგიმარტავთ, რომ სესხის არსებობის ფაქტი სასამართლოში შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებით (სესხის ხელშეკრულებით, ვალის აღიარებითი დოკუმენტით...) ან თქვენ უნდა აღიაროთ ვალის არსებობის ფაქტი.

რადგან თქვენ სესხს იღებთ ონლაინ, ეს ნიშნავს, რომ არანაირ დოკუმენტზე ხელი მოწერილი არ გაქვთ და სასამართლოში დავის შემთხვევაში სასამართლო დაგაკისრებთ მხოლოდ „ძირ“ თანხას, ანუ იმას, რაც ჩაგირიცხეს. (რადგან ამ შემთხვევაში მათ შეუძლიათ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარადგინონ თქვენს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი) სასამართლო არ დაგაკისრებთ სარგებელსა და გასამმაგებულ ჯარიმას იმიტომ, რომ თქვენი მოწინააღმდეგე ვერ წარადგენს აღნიშნულის არსებობის დამადასტურებელ წერილობით დოკუმენტს.

9 გვ. →

# „ატკატი“ – კორუფციული სქემა, რითაც „ნაციონალები“ მილიონებს იჯიბავდნენ

## „საერთო გაზეთთან“ საუბარს აგრძელებს თბილისის მერიის გენინსპექციის ყოფილი მაღალჩინოსანი იოსებ ჯუღელი



„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში თბილისის მერიის გენერალური ინსპექციის ყოფილი მაღალჩინოსანი იოსებ ჯუღელი საუბრობდა, მისმა სამსახურმა შპს „თბილისის შუქნიშნის“ შემოწმებისას, როგორ აღმოაჩინა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დამალული ათეულ ათასობით ლარი, ასევე მავანთ როგორ „მოხსნეს“ სოლიდური თანხები უკრაინიდან „ბოგდანის“ მარკის ავტობუსების შემოყვანის დროს. სხვათა შორის, წლების წინ არსებობდა სერიოზული ეჭვი, რომ დედაქალაქში შუქნიშნების დამონტაჟების, თუ ჰოლანდიიდან და უკრაინიდან ავტობუსების შემოყვანის დროს, გარკვეულ მაქინაციებს ჰქონდა ადგილი. მოგეხსენებათ, ნაციონალები ყველა ინფორმაციას საგულდაგულოდ მალავდნენ, ამიტომ მაშინ ვერ შევძელით ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციების სიზუსტის გადამოწმება. იოსებ ჯუღელის ზემოხსენებულმა ინტერვიუმ და მასთან შემდგომმა გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რომ წლების წინ გავცელებული ინფორმაციები, სიმართლეს შეესაბამება.



**იოსებ ჯუღელი:** „შპს „თბილისის შუქნიშნის“ ხელმძღვანელად ნიკა გაბელაიას დანიშვნისთანვე გააფორმა მერიის ტრანსპორტის სამსახურმა ამ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება, რომელიც შუქნიშნების დამონტაჟებას ითვალისწინებდა. მოგვიანებით თბილისის მაშინდელი მერის, ზურაბ ჭიაბერაშვილის დავალებით მიმავლინეს „შუქნიშნის“ შესამოწმებლად, ხსენებული დოკუმენტს რომ გავეცანი, აღმოჩნდა, რომ ეს იყო კაბალური, სახელმწიფოსთვის წამგებიანი ხელშეკრულება, ამიტომაც სადავო გავხადე. ხელშეკრულების მიხედვით „შუქნიშანს“ სახელმწიფოს მიმართ არავითარი ვალდებულება არ ეკისრებოდა, რადგან არ იყო მითითებული მოგებისა და დამატებითი ღირებულების (დღგ) გადასახადით რომ უნდა დაბეგრილიყო, არადა კანონი ასეთ რაღაცას არ ითვალისწინებდა. ერთი სიტყვით, ამ ორგანიზაციის დაბეგვრა არ უნდოდათ, ხსენებული სამსახურების ხელმძღვანელობას ავუხსენი რომ ეს კანონდარღვევა იყო. ის საკითხიც დავსვი, რატომ „მიონთან“ არ გააფორმეს ხელშეკრულება შუქნიშნების ნაწილების შესყიდვაზე, რადგან ამ უკანასკნელის პრუდუქცია გაცილებით იაფი ჯდებოდა და ხარისხიც ეჭვს არ იწვევდა. ვფიქრობ, მათ პირად ინტერესში არ ჯდებოდა „მიონის“ პროდუქციის შესყიდვა, რადგან ამ საწარმოს ხელმძღვანელი ისეთი პიროვნება იყო, რომელიც „ატკატზე“, ანუ უკანონობაზე არ დათანხმდებოდა. ეს ე.წ. დამკვეთებმაც კარგად იცოდნენ, ამიტომაც რუსულ კომპანიასთან გააფორმეს ხელშეკრულება. მე ფიზიკურად არ მქონდა საშუალება, რომ შემემოწმებინა რამდენად რეალური იყო ამ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები, მაგრამ ციმბირში შესყიდული და „მიონის“ პროდუქციის ფასები რომ შევადარე, ძალიან დიდი სხვაობა მომცა, სადღაც 32%-ით უფრო ძვირი ჯდებოდა იმპორტირებული პროდუქცია. „მიონის“ წარმომადგენლებიც გაჩუმდნენ, მათ გენინსპექციისთვის რომ მოემართათ, საკითხს მოვაგვარებდით, რადგან ისეთი დასკვნა დაიდებოდა, რომელსაც ტრანსპორტის სამსახური და შპს „შუქნიშანი“ ვერ გაექცეოდნენ, თუ მაინც უარს იტყოდნენ, ეს უკვე კრიმინალი იყო. ვფიქრობ, მწარმოებლებს ჩვენთვის მომართვის შეეშინდათ, მათ თავადაც აღარ აწყობდათ ამათთან ურთიერთობის გაგრძელება, რაც არ მიკვირს, რადგან ნაციონალები რომელიმე ორგანიზაციას გააკეთებინებდნენ საქმეს, გადაურიცხავდნენ თანხას, მაგრამ ამ თანხის ნაწილის დაბრუნებაზე, ანუ „ატკატთან“ დაკავშირებით თუ მათთვის სასურველი „ფორმით“ არ წარიმართებოდა მოლაპარაკება, გადარიცხულ თანხას ხომ უკან მიატანინებდნენ, მერე უპოვნიდნენ რაიმე დარღვევას, თუნდაც ვერ ეპოვათ, მაინც აღუძრავდნენ სს-ის საქმეს და ფულსაც დაამატებინებდნენ საპროცესო გარიგების „ეგიდით“. ვინც არ იყო ჩახედული ნაციონალების ამ საქმიანობაში, უხაროდათ შესყიდვებთან დაკავშირებით სახელმწიფოსთან ხელშეკრულებას გაფორმება, არადა ბოლოს ყველა წაგებული რჩებოდა, ზოგიერთი გისოსებს მიღმაც აღმოჩნდა.

მთლიანობაში რამხელა თანხები „მოტეხეს“ იმპორტ-მონტაჟით, ვერ გეტყვით, რადგან შემოწმება მალევე შეწყვიტეს, მხოლოდ ერთი ოპერაციის დაფიქსირება მოვასწარი. გზაჯვარედინზე ერთი შუქნიშნის დამონტაჟება 15.700 ლარი ჯდებოდა, რაც სასწაულად გაბერილი ციფრია, წარმოიდგინეთ რამდენი ასეთი გზაჯვარედინი და შუქნიშანია თბილისში, ამას დაუმატეთ ფეხით მოსიარულეთა შუქნიშნებიც. ერთი სიტყვით, რომ შეატყვეს ბევრ რაღაცას მოეფინებოდა ნათელი, შემოწმების გაგრძელება არ ისურვეს. ხსენებული ოპერაციის დროს ისიც გაირკვა, რომ „შუქნიშანმა“ დღგ-ს სახით 88.000 ლარზე მეტი თანხა არ გადაუხადა ბიუჯეტს, რაც ფაქტობრივად „მოტყდა“. ეს თანხა გადავამრავლოთ დედაქალაქში არსებული შუქნიშნების რაოდენობაზე და დარწმუნდებით, რომ მილიონობით ლარით იზარალა ბიუჯეტმა. მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ ტომსკიდან შემოტანილი საქონელი არ განბაჟებულა, ეჭვი იმიტომ გამიჩნდა, რომ შპს „შუქნიშანი“ დღგ-ით არ იბეგრებოდა, საბაჟოზე რომ დაბეგრილიყო ამ გადასახადით, ადგილზე სამუშაოების შესრულების დროს აუცილებლად უნდა გადაეხადა. დეტალებში აღარ შევალ, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ რუსეთიდან საბაჟოს გვერდის ავლით შემოვიდა საქონელი., თუმცა ამის დოკუმენტალური მტკიცებულება არ მაქვს. მე ამ საკითხის გლობალურად შესწავლა მინდოდა, მაგრამ საშუალება არ მომეცა, თავადაც ნაციონალ გაბელაიას, „ბობოლა“ ნაციონალების დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, იმიტომაც იყო ასე გათავხედებული. თქვენ რუსეთთან საავიაციო რეისების შეჩერება ახსენეთ, ბიუჯეტს ფული მთლიანად ჰქონდა გადახდილი, მაგრამ ხსენებული მასალები ბოლომდე არ შემოუტანიათ, თუმცა ჩამოწერეს, ვითომ გაკეთდა. დარჩენილი თანხა რა თქმა უნდა, „მოიხსნებოდა“. შუქნიშნის მასალების, ისევე, როგორც ავტობუსების შესყიდვისას შუამავალ ფირმებს იყენებდნენ. როდესაც ოპერაცია ბოლომდე არ სრულდება, ე.წ. გამყიდველი ვალდებულია ნარჩენი თანხა მყიდველს დაუბრუნოს, ეს თანხა ტომსკიდან რომ არ დაბრუნებულა, ზუსტად ვიცი. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ქართულ მხარეს უშუალოდ ქარხანა-დამამზადებლებთან (რამდენიმე ფირმა ამზადებდა შუქნიშნის ნაწილებს) ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება. უშუალოდ მისთვის რომ ყოფილიყო თანხა გადარიცხული, რაც არ უნდა მომხდარიყო, იქნებოდა ეს პოლიტიკური თუ სხვა შემთხვევა, ისინი ვალდებულნი იყვნენ უკან დაებრუნებინათ და დააბრუნებდნენ კიდეც, მითუმეტეს, რომ მყარ ვალუტაში (აშშ დოლარი) იყო გადახდილი. ეს ფული დარჩა რუსეთში, ოღონდ დარჩა შუამავალ ფირმას, რომელიც ასევე ქართველების იყო, როგორც უკრაინული „ბოგდანის“ შემთხვევაში.

**- ბატონო იოსებ, ნაციონალებს რაში ჭირდებოდათ ეს შუალედური ფირმები?**

- ეტყობა ტომსკისა და „ბოგდანის“ ქარხნებმა ქართველებს „ატკატზე“ უარი უთხრეს, ისინი მეტობით გადარიცხულ თანხებს ვერც მოხსნიდნენ, ამათთვის უკან რომ დაებრუნებინათ. უკრაინული „ბოგდანის“ შესყიდვასთან“ დაკავშირებით შექმნილ შუალედური ფირმასაც, რომელთანაც ხელშეკრულება გააფორმეს იგივე დასახელება ჰქონდა, თუ საქმეში კარგად არ იყავი ჩახედული, გეგონებოდა ქარხანასთან იყო გაფორმებული. მხოლოდ ფულის „მოსახსნელად“ ჭირდებოდათ ვითომდა შუამავალი ფირმა, თორემ „ბოგდანის“ ქარხანას ოფიციალურ საიტზე დადებული ჰქონდა ინფორმაცია, მითითებული იყო ქარხნის მისამართი, ავტობუსის ღირებულება და ა.შ. ხელშეკრულების დადებისას, ფასზე მოლაპარაკებაც შეიძლებოდა, მაგრამ ნაციონალები ისე იყვნენ გათავხედებული, რომ საეჭვო ხარისხის ავტობუსების შესასყიდად, ორჯერ მეტი თანხა გადარიცხეს. ჩემი აზრით, ეს ავტობუსები ქალაქში სამოძრაოდ არც არის განკუთვნილი, მაღალმთიან სოფლებში უნდა გაეშვათ რეისებზე. როდესაც ხელში ჩამივარდა ხელშეკრულება, რომელიც თბილისის მერიას შუალედურ რგოლთან ჰქონდა დადებული, დავეჭვდი, ტენდერის გარეშე როგორ შეისყიდეს, რადგან, როცა საქმე დიდ თანხებს ეხება, ტენდერი აუცილებელია. შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად, უშუალოდ შემსყიდველი და გამყიდველი დებენ ხელშეკრულებას, რა შუაშია შუალედური რგოლი-თქო, მით უმეტეს, ვიცოდი, რომ ტენდერი უშუალოდ ქარხანას ჰქონდა გამოცხადებული და ხელშეკრულებაც მასთან იყო დადებული. როგორც გითხარით, ქარხანამ დედაქალაქის მერიას „ატკატის“ უფლება არ მისცა, მერე აქედან უკრაინაში „სანდო პირი“ გააგზავნეს, ჩამოაყალიბებინეს იქ ანალოგიური დასახელების შპს და იმას გადაურიცხეს, რომელმაც ავტობუსების რეალური ღირებულება ქარხანას გადაურიცხა, დარჩენილი თანხა კი ნაცელიტარებმა „მოხსნეს“. მერიამ „ბოგდანებამდე“ ჰოლანდიიდან ჩამოიყვანა „დაფის“ მარკის ავტობუსები, ექსპერტებმაც დაამტკიცეს, რომ ფაქტობრივად ეს ავტობუსები დაჭრას ექვემდებარებოდა, მაგრამ ადგილზე შეაკეთეს და გემებით ჩამოიტანეს. ამ ამორტიზებულ ავტობუსებთან დაკავშირებითაც უზარმაზარი თანხები გადაირიცხა და შესა-

ბამისად სერიოზული თანხებიც „მოიხსნა“, ოღონდ ოდენობას ვერ დაგიკონკრეტებთ, რადგან ამ საქმესთან უშუალო შეხება არ მქონია. უგულავას გუნდს ამგვარი ინფორმაციები გასაიდუმლოებული ჰქონდა, მხოლოდ „ბოგდანების“ საქმე ჩამივარდა ხელში.

რაც შეეხება ჩინურ „იმპორტს“, მაგ საქმეში ჩახედული არ ვარ, არ მომეცა საშუალება, რადგან 2006 წლის გაზაფხულზე სამსახურიდან გამათავისუფლეს, თუმცა ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, მერიის კეთილმოწყობის სამსახური ასრულებდა მაგ სამუშაოებს და უზარმაზარი თანხებია „მოტეხილი“, მაგრამ ქვის დაგება, ისევე როგორც ქუჩების ხელახალი გადაგება, მაინც ზღვაში წვეთია, ისეთი თანხებია „მოხსნილი“ ამ სამსახურის მეშვეობით. ამიტომაც იყო, პრესით გამოქვეყნებულ ჩემს პირველივე ინტერვიუში, კატეგორიულად რომ მოვითხოვე მერიის კეთილმოწყობისა და ტრანსპორტის სამსახურის შემოწმება, დედაქალაქის განვითარების ფონდზე აღარაფერს ვამბობ, სადაც უზარმაზარი თანხები „იხსნებოდა“. მარტო 2005-2006 წლებზე არ არის საუბარი, ნაციონალების მმართველობის მთლიანი პერიოდი უნდა შემოწმდეს. უგულავას მერობისას მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი გახლდათ, ვიცი, რომ ის უბრალოდ ხელის მომწერი იყო, მაგრამ ხომ უნდა გაირკვეს, სად, ვის ჯიბეში მიდიოდა ის ფული. ხსენებულ სამსახურში უზარმაზარი თანხებია გადარიცხული, რაც აუცილებლად უნდა გაიშიფროს, გაოგნდებით, იმხელა თანხებია „მოხსნილი“, სუბელიანის ხელით რომ კეთდებოდა ეს ყველაფერი, იმიტომაც დააწინაურეს, ჯერ მინისტრი გახადეს, მერე პარლამენტარი. ტრანსპორტის სამსახურშიც იგივე ხდებოდა, რა ოდენობის საწვავი აქვთ ჩამოწერილი, ან ტრანსპორტის შემოყვანაზე რამხელა თანხებია „მოხსნილი“, აღარაფერს ვამბობ საღებავზე, რომლითაც ქუჩების სავალი ნაწილი იხაზება. ტრანსპორტის შემოყვანა ხსენებულ სამსახურზე მეტად დედაქალაქის მაშინდელ მერს, გიგი უგულავას უკავშირდება, მისი გადაწყვეტილება იყო და დღევანდელი ხელისუფლება თურმე ვერ ამტკიცებს მის დანაშაულს, რაც ძალიან მიკვირს. ვერ კი არა, არ ამტკიცებენ, რადგან პროკურატურაში და საგამოძიებო ორგანოებში ისეთი ხალხი მუშაობს, რომლებზეც (უკლებლივ ყველაზე) ნაცმოძრაობას კომპრომატები აქვს, როგორც კანონის აღსრულებას მოინდომებენ, მაშინვე დაუდებენ ამ კომპრომატს. გაიხსენეთ, ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე, ნაციონალებმა მანამდე არ იცოდნენ მისი ამბავი, როცა თვითონ დანიშნეს მაღალ თანამდებობაზე და რასაც უნდოდათ, იმას აკეთებინებდნენ. ფარცხალაძე მათ როგორც კი დაუპირისპირდა, ერთი ამბავი ატეხეს ანალოგიური ვითარებაა ყველა პროკურორსა და გამომძიებელთან დაკავშირებითაც, სანამ ეს ხალხი თანამდებობებზე იქნება, სამართლიანობას აღდგენა არ უწერია. ზურაბ ჭიაბერაშვილმა შეიძლება თქვას „უმწიკვლო“ რეპუტაციის მერი ვიყავიო, უბრალოდ არ დასცალდა მას და კეთილმოწყობის სამსახურის მაშინდელ უფროსს (ხიზანეიშილი), ჭიაბერაშვილი ამ თანამდებობაზე რომ დარჩენილიყო, ზუსტად იგივე იქნებოდა. ნაციონალების მმართველობის დროს საშინელი ელიტარული კორუფცია იყო, მაგრამ ხალხი ვერ ხვდებოდა. მართალია ქვედა რგოლებში კორუფცია მოსპეს, მაგრამ რად გინდა, სამაგიეროდ ზედა ეშელონებში ყვაოდა. მე მიკვირს ჟურნალისტები რომ არ ინტერესდებით, სად წავიდა საპროცესო გარიგებების დროს ამოღებული კოლოსალური თანხები, რაღაც მართლა შენდებოდა, მაგრამ დანარჩენი სად წავიდა? ვერაფრით დავითნხმე აწ პარლამენტარობის მოსურნე ირაკლი აბესაძე, რომ ჩემთან ტელედებატებში მიეღო მონაწილეობა, ნაციონალებივით ზეპირად კი არ ვილაპარაკებ, ფაქტებს დავუდებ. როგორ შეიძლება ეს ბატონი „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებდეს, მესმის რომ პოლიტიკოსია, მაგრამ მას ხმა არ აქვს ამოსაღები, რადგან იმ პერიოდში იყო მერიის მაღალჩინოსანი, როცა ეს უბედურება ხდებოდა.

გზების ამბავი თუ გაინტერესებთ, პირველ რიგში თბილისი-გომბორი-თელავის გზაზე უნდა ვისაუბროთ. ამ გზის რეაბილიტაციას მსოფლიო ბანკი აფინანსებდა, გეგმა შედგენილი იყო და თანხაც გამოყოფილი. ფულის შოვნის წყურვილით შეპყრობილმა ნაციონალებმა გზის შეკეთებასთან დაკავშირებით ბიუჯეტშიც ჩასვეს თანხა. ცხადია, ამ ფულს პირდაპირ ვერ „მოხსნიდნენ“, ამიტომ გარკვეული სამუშაოები შეასრულეს, ვითომ ასფალტიც დააგეს, სამი თვეც არ იყო გასული, რომ მსოფლიო ბანკის კრედიტის თანხით, თავიდან ბოლომდე შეაკეთეს ეს გზა. ამაზე მეტი კრიმინალი რა გინდათ? იმ პერიოდში ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლეიშვილი, რომელსაც ოღონდ სკამი შეენარჩუნებინა და რასაც უბრძანებდნენ, ყველაფერს აკეთებდა. კი მოიწყო ცხოვრება ნიკოლეიშვილმა, ნაციონალებმა პარლამენტარობაც „უბოძეს“, მაგრამ ნაცელიტამ ამ გზის რეაბილიტაციიდან რა თანხებიც „მოხსნა“, ნიკოლეიშვილის „შემოსავალი“ რა მოსატანია. ახლა ვეკითხები ნაციონალებს, მთავარ ოპოზიციურ ძალად რომ მოაქვთ თავი და ბიძინა ივანიშვილისა თუ მოქმედი მთავრობის ლანძღვით არ იღლებიან, რამდენი მილიონი დაჯდა თბილისი-გომბორი-თელავის გზა? ხომ იცოდით, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით კაპიტალურად რომ უნდა შეკეთებულიყო ეს მონაკვეთი, ბიუჯეტიდან რატომ გამოყავით ფული ისედაც დაფინანსებულ სამუშაოზე, სხვა ყველა პრობლემა მოგვარებული გქონდათ? ჩემი ინფორმაციით, ამ ვითომდა შეკეთებაზე 18 მილიონია „მოტეხილი“, შეიძლება გაცილებით მეტიცაა. თუ სააკაშვილის დონეზე არ იყო ეს ყველაფერი გადაწყვეტილი, ვინ გაბედავდა ამ თანხის ბიუჯეტში ჩასმას და „ათვისებას“. რამდენადაც ვიცი, მარტო ბიუჯეტის კი არა, მსოფლიო ბანკის დაფინანსებიდანაც აქვთ „მოტეხილი“. ადგილობრივი ბიუჯეტის თანხით რაც გაკეთდა, ის აღარ აჩვენეს, თითქოს თავიდან იყო გასაკეთებელი და ამ სამუშაოსთვის გამოყოფილი ფულიც ჯიბეში ჩაიდეს. ერთი სიტყვით, ძალიან სერიოზული „თამაშები“ მიდიოდა.

ჩვენი მხრიდან დავამატებდით, გზების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციასა და მოვლა-შეკეთებაზე რომ ყოველთვის დიდი ფული „კეთდებოდა“, ამას ალბათ ვერავინ უარყოფს, მაგრამ ნაციონალებმა ყველა „რეკორდი მოხსნეს“. ნაციონალების მმართველობისას ერთმა სტაჟიანმა მეგზევე-ინჟინერმა, რომელსაც ისევ ჰქონდა უშუალო შეხება ამ სფეროსთან, ასეთი რამ მითხრა, კომუნისტების დროს მართლაც „მაგარ“ ფულს ვშოულობდით, მაგრამ ახლა ამ გალატაკებულ ქვეყანაში ნაციონალებმა რა „მასშტაბებსაც“ მიაღწიეს, არც დაგვისზმრებიაო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24










## არ გადაუხადოთ „ონლაინ-სესხებს“ იმაზე მეტი, რაც ჩაგირიცხეს

7 გვ.

სწორედ იმიტომ, რომ სასამართლო გზით გასამმაგებული თანხის აღების შანსი არა აქვთ, ისინი თანხის ამოსაღებად მიმართავენ სხვა ხერხებს, კერძოდ, იწყებენ რეკვას ტელეფონზე არა მხოლოდ თქვენთან, არამედ თქვენი ოჯახის სხვა წევრებთანაც; გემუქრებიან სახლის ნივთების დაყადაღებით; გთხოვენ მათთან ოფისში მისვლას...

განგიმარტავთ, როგორ უნდა მოიქცეთ თქვენ: უპირველესად, არ უნდა შეშინდეთ. როგორც უკვე განგიმარტეთ, მათ აქვთ მხოლოდ იმ თანხის აღების შანსი, რაც ჩაგირიცხეს. ჩაურიცხეთ მათ ანგარიშზე ეს თანხა და წერილობით აცნობეთ, რომ მათი ვალი დაფარულია. შემდეგ, წერილის ასლი, ფოსტის ქვითარი და თანხის გადახდის ქვითრის ასლი შეინახეთ (ამით სასამართლო ხარჯებს აიცილებთ). თუკი გიჩივლებენ, ამ ყველაფერს გამოიყენებთ მტკიცებულების სახით, მაგრამ აღარ გიჩივლებენ, რადგან სარგებლის და პროცენტის დამადასტურებელი წერილობითი ხელშეკრულება თქვენთან გაფორმებული არ აქვთ, ანუ სასამართლო პროცესის მოგების შანსი აღარ ექნებათ.

მუქარებს კვლავ გააგრძელებენ, მაგრამ არ უპასუხოთ სატელეფონო ზარებზე. თუკი ვინმე მოვა და გეტყვით, რომ აღმასრულებელია, გამოიძახეთ სასწრაფოდ პატრული (ამასაც აკეთებენ ხოლმე, მიდიან ვითომ დასაყადაღებლად, ბეიჯიც უკეთიათ გულზე, მიაქვთ ვალის აღიარების დოკუმენტი და ეუბნებიან, თუ ამაზე მომიწერ ხელს, აღარ დაგიყადაღებ არაფერს). ხელი არ მოუწეროთ არანაირ დოკუმენტზე – თავიანთ ოფისში მიტყუებას სწორედ ამიტომ ცდილობენ, ანუ ასეთ დოკუმენტზე უნდათ მოგაწერინონ ხელი (დოკუმენტში წერია, რომ თქვენ აღიარებთ ვალის სამმაგი და მეტი ოდენობით არსებობის ფაქტს). ასევე, იწერენ როგორც სატელეფონო საუბრებს, ასევე, მათთან ოფისში საუბრებსაც. საუბრისას, ცდილობენ, როგორმე გაღიარებინონ ვალის არსებობა, შემდეგ ამ ჩანაწერს იყენებენ მტკიცებულების სახით, ან ცდილობენ ხელი მოგაწერინონ ვალის აღიარებაზე.

მოკლედ, გაითვალისწინეთ, ხელს არ აწერთ არაფერზე და არ აღიარებთ ვალის არსებობას მათთან საუბრისას. იხდით მხოლოდ „ძირ“ თანხას.

**გიორგი ჩხეიძე**



## ანი დარსალია:

# ივნისიდან სახელმწიფო სტრუქტურებში ნაციონალური მოძრაობის მიერ მართული პროცესები დაიწყება, რაც ქვეყანას არაჯანსაღ და არადემოკრატიულ არჩევნებამდე მიიყვანს

არასამთავრობო ორგანიზაცია „გაერთიანებული საზოგადოების“ თავმჯდომარე **ანი დარსალია** „საერთო გაზეთისთვის“ ექვსი თვის წინ მიცემულ ინტერვიუს იხსენებს და ამბობს, რომ მერიაში მომხდარის ანალოგიური პროცესები მალე ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში დაიწყება, რაც ქვეყანას დესტაბილიზაციამდე და ქაოსამდე მიიყვანს.

– ექვსი თვის წინ, თქვენს გაზეთთან ინტერვიუში ვთქვი, რომ სახელმწიფო სტრუქტურები საბოტაჟნიკებით არის სავსე. ვთქვი, რომ ამ ადამიანებს ყველა დოკუმენტზე და ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებათ და ამ „ნაღმებს“ ნაციონალური მოძრაობა წინასაარჩევნოდ აამოქმედებდა. მერიის კულტურის და სპორტის დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლის ნინო ქაცარავას ხმაურიანმა წასვლამ ჩემი ვარაუდი დაადასტურა. ეს ადამიანი თავის დროზე მერიიდან გაუშვეს, მაგრამ სასამართლოს ძალით დაბრუნება მოახერხა. სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ ამაშიც უუნარო და არაკომპეტენტური აღმოჩნდა, რადგან ნაციონალური მოძრაობა ისე უშვებდა სამსახურიდან, რომ ადამიანებს სასამართლოში ჩივილის საფუძველს არ უტოვებდა. ეს ყველაფერი ისევ ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, რადგან სამსახურიდან არასწორად გათავისუფლებული თანამშრომლის დაბრუნების შემთხვევაში, სასამართლო სახელმწიფო სტრუქტურას ჯარიმების და კომპენსაციების გადახდას აკისრებს. ეს ფული კი ჩემი და თქვენი ჯიბიდან მიდის და არა ნარმანიასი. დიდი ხანია ვამბობთ, რომ თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში, თბილისის მერია იქნება, მისი ქვესტრუქტურები თუ დარგობრივი სამინისტროები, მხოლოდ პირველი პირები და დეპარტამენტის ხელმძღვანელები შეიცვალნენ, ხოლო მოადგილეები და სპეციალისტები ანუ ის ხალხი, რომლებსაც პირველი პირი უნდა დაეყრდნოს, წინა ხელისუფლების დროინდელი დარჩა. „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უნდა ეფიქრა საკადრო წმინდაზე, მაგრამ ერთი მხრივ კვალიფიციური და კომპეტენტური კადრები არ აღმოაჩნდა და მეორე მხრივ, დასავლეთის მხრიდან თავზე მოხვეული კოჰაბიტაცია ამის საშუალებას არ აძლევდა. ვფიქრობ, რომ არც ამერიკას, არც რუსეთს და არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება, მიკარნახოს როგორ ვიცხოვრო და ასე რომ ხდება, საზოგადოების ცნობიერების ბრალია. ამჟამად ნაციონალური მოძრაობა თავისი მხარდამჭერების საშუალებით, სახელმწიფო სტრუქტურებზე „წერტილოვან დარტყმებს“ ახორციელებს. ამ ეტაპზე, ხელისუფლების ყველაზე სუსტ რგოლი თბილისის მერია აღმოჩნდა. ეს არის სტრუქტურა, რომელიც 600 მილიონიან ინვესტიციაზე უარს ამბობს.

– **ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

– როცა საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ვალდებულია საზოგადოებაში მიმდინარე ყველა პროცესი გააშუქოს, მერიასთან ჩვენს აქციას იღებდა, ოპერატორთან ზარი განხორციელდა. ტელეფონზე საუბრის შემდეგ, ოპერატორმა დახურა კამერა და წავიდა. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ზარი უშიშროების სტრუქტურების დავალებით განხორციელდა. ერთ მხრივ, „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებაა და მედია თავისუფალია და მეორე მხრივ, ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა მერიის მიერ 600 მილიონიან პროექტზე უარის თქმა, იბლოკება. აქედან ჩნდება ვარაუდი, რომ ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელი დაინტერესებულია, რომ ინფორმაცია დამალოს, თუმცა რამდენად მოახერხებენ ამას, სხვა საკითხია. როგორც გითხარით, სახელმწიფო სტრუქტურებში არეულობა თბილისის მერიიდან დაიწყო, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ეს პროცესი სხვაგანაც გაგრძელდება და მწყობრიდან გამოიყვანს ყველა სახელმწიფო სტრუქტურას. ახალი ნინო ქაცარავები გამოჩნდებიან შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სტრუქტურებში, სადაც თანამშრომელთა 80% ნაციონალური მოძრაობის დროინდელი კადრია. ამიტომ არაფერია გასაკვირი, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ისევ არსებობს „ოდეერის“ ინსტიტუტი, ისევ ხდება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, სტუდენტების დაშინება და დაშანტაჟება, ისევ ხდება პოლიციაში ადამიანების პოლიციაში ცემა და ა.შ. 2007 წლიდან ნაციონალური მოძრაობა ღიად დაუპირისპირდა ქართველ საზოგადოებას და სამწუხაროდ, „ქართული ოცნებაც“ ზუსტად ამ ნაბიჯებით მიდის.



დღეისთვის უშიშროებაში არის ორი დაჯგუფება– „ქართული ოცნების“ და ნაციონალური მოძრაობის. ორივე დაჯგუფებას ჰყავს თავიანთი მხარდამჭერები და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა პროცესებს გამოიწვევს ქვეყანაში ამ ორი კლანის ერთმანეთთან დაპირისპირება. ჩემი ინფორმაციით, ივნისის თვიდან სახელმწიფო სტრუქტურებში ნაციონალური მოძრაობის მიერ მართული პროცესები დაიწყება და მწყობრიდან გამოვა ყველა სტრუქტურა, რაც ქვეყანას არაჯანსაღ და არადემოკრატიულ არჩევნებამდე მიიყვანს. არ გამოვრიცხავ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში სერიოზულად განიხილება რევოლუციური სცენარითა და სისხლიანი მეთოდებით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, ყველაფერზე პასუხისმგებლობას „ქართულ ოცნებას“ ვაკისრებ, იმიტომ, ისეთ ადამიანებს ენდნენ, რომლებიც ნდობას არ იმსახურებდნენ. ზოგი მათგანი ქვეყნის მართვაში უუნარო აღმოჩნდა, ზოგიერთი კი ნაციონალურ მოძრაობას კომპრომატებით ჰყავს „გამოჭერილი“.სავარაუდოდ, 2016 წლის არჩევნები ძალიან დაძაბული იქნება და „ქართული ოცნება“ არაფერს აკეთებს, რომ ეს პროცესები შეაჩეროს.



**ნელი თორდია**
571 35 36 88

# პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ IV ყრილობა

*პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ IV ყრილობა 14 მაისს 4 საათზე იყო გამოცხადებული.*

*სპორტის სასახლის ირგვლივ ხალხი უკვე შეკრებილიყო.*

*ზოგი შესასვლელს ეძებდა, ზოგი იქვე, „ცენტრ-პოინტის“ დაზარალებულთა აქციას ადევნებდა თვალს.*

*დარბაზი სავსეა და წუთიწუთზე ყრილობა უნდა დაიწყოს.*

*სხვა დროს პარტიების ყრილობებს არ დავსწრებივარ (ვინ მაღირსებდა ჟურნალისტის საშვს „ნაცმოძრაობის“ ყრილობაზე?) მაგრამ მომეჩვენა, რომ დარბაზში ხალხი მეტად თავისუფალი, იმედით სავსე და ლაღი იყო. ისმოდა ხუმრობა, გულთბილი მოკითხვები.*

*მოკლედ რომ ვთქვა, საზეიმო განწყობა იგრძნობოდა გარშემო.*

*ჩემს გვერდით აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი ჩამოჯდა.*

*იმას აღარ მოვყვები, რაც ლანძღა საფლავში „სქელი კაცი“ (ასე უწოდა ბენდუქიძეს) და ყველა აუგს ზედ ცხონებას მიაყოლებდა ხოლმე.*

*„ქართულ ოცნებას“ მეტი შეეძლო, არ გააკეთა თუ ვერ გააკეთა, არ ვიცი, მაგრამ „ნაცებს“ რომ ყველა ჯობს, ამას ლაპარაკი არ უნდაო“, – თქვა.*

*დარბაზში ხალხის მისვლა-მოსვლა არ წყდებოდა. ჩანდნენ ნაცნობი სახეებიც. უნდა ვთქვა, ძალიან გამიკვირდა, პარტიის ყრილობაზე მომღერალი ანრი ჯოხაძის გამოჩენა, მახსოვს, მიშასთან მშვენიერ დამოკიდებულებაში იყო და ასე უცბად დაივიწყა, ვითომ, მარჩენალი? იქვე აჩიკო მეფარიძეც გამოჩნდა ვიწრო შარვლით და შავი სათვალით, იმიჯი თავისებურია, მაგრამ პოლიტიკური შეხედულება, როგორც ჩანს, გამოკვეთილი!*

*მეფარიძე ძალიან კმაყოფილი ჩანდა.*

*აშკარად მოსწონდა ყრილობაზე რომ იყო...*

*ჩვენ, ჟურნალისტები, ჩემს გვერდით ფილოსოფიის ლექტორი, სხვა ასაკოვანი ხალხი ჩიტებივით ვისხედით იარუსებზე, ქვემოთ, საიდანაც უკეთესად შეიძლებოდა ყველაფრისთვის თვალ-ყურის დევნება, ისხდნენ ჯოხაძე, მეფარიძე, ირმა სოხაძე, ანსამბლი „ფორტე“, ნუცა ჯანელიძე და სხვები.*

*ჩვენი „კულტურა“ აშკარად პოლიტიკური და პოლიტიზებულია...*

*მაგრამ, მაინც, რა უნდათ მომღერლებს პოლიტიკაში და, მით უფრო, პარტიის ყრილობაზე, „საკითხავი აი, ეს არის“...*

*ამასობაში ტაშის გუგუნი გაისმა.*

*დარბაზში ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა.*

*ირაკლი ღარიბაშვილის გამოჩენამ ხომ, საერთოდ შეაზანზარა დარბაზი.*

*უყვარს ხალხს ირაკლი ღარიბაშვილი.*

*ყველაზე ბოლოს გიორგი კვირიკაშვილი გამოჩნდა...*

*საქართველოს ჰიმნის შემდეგ ყრილობა ვიცე-პრემიერმა **კახი კალაძემ** გახსნა.*

*უნდა ვთქვა, მისი, მაქსიმუმ, 10-წუთიანი გამოსვლის ტონალობა აშკარად ორატორული იყო. მანვე დაასახელა პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარედ პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**.*

*წარმატებებს ვუსურვებთ „ქართულ ოცნებას“ და საქართველოს! იმედი არ მოგვიშალოს ღმერთმა!*

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



## საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის გამოსვლა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ IV ყრილობაზე

**მოგესალმებით მეგობრებო!**

**მივესალმები ყრილობის დელეგატებს,**

**მივესალმები პატივცემულ სტუმრებს!**

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა პარტია ,,ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც გამომიცხადა. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის მმართველი პარტიის თავმჯდომარეობა უდიდესი პასუხისმგებლობაა და, პირდაპირ გეტყვით, პოლიტიკური თვალსაზრისით ეს არის დიდი გამოწვევა. ჩემი კოლეგების, თანამოაზრეებისა და თანაგუნდელების გულწრფელი მხარდაჭერა და ნდობა ასმაგად აძლიერებს ჩემს პასუხისმგებლობას. მე მზად ვარ, ვემსახურო ჩემს სამშობლოს და ყველაფერი გავაკეთო ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის.

ჩემთვის უდიდესი პატივია, ვიყო იმ პარტიის თავმჯდომარე, რომელიც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დროს შეიქმნა და გარდამტეხი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოს განვითარების გზაზე.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ,,ქართული ოცნების“ დამფუძნებელსა და მის პირველ თავმჯდომარეს, რომლის შექმნილმა პოლიტიკურმა ძალამ მოახერხა და მშვიდობიანად, არჩევნების გზით შეცვალა ხელისუფლება. ასეთი პრეცედენტი საქართველოს მანამდე არ ჰქონია.

ჩვენმა პარტიამ, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, პოლიტიკური ცხოვრების ყველა ეტაპი გაიარა. სულ მოკლე ხანში, დევნისა და შევიწროების მიუხედავად, „ქართული ოცნება“ ახალშექმნილი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიიდან ქვეყნის მმართველ პარტიად იქცა და საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა.

მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც ურთულეს და ძალიან საპასუხისმგებლო პერიოდში უხელმძღვანელა პარტიას და, როგორც პრემიერ-მინისტრმა,



წარმატებით განაგრძო ქვეყნის მართვა.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს საპარლამენტო გუნდს, პოლიტიკურ საბჭოს, პარტიის თითოეულ წევრს, მხარდამჭერს, ვინც ურთულეს პერიოდში ემსახურა ქვეყანას და წვლილი შეიტანა საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

და, რა თქმა უნდა, უდიდესი მადლობა ჩვენს ხალხს, რომელმაც აჩვენა სიმტკიცე, თავდადება და დემოკრატიული სიმწიფე.

მეგობრებო,

დღეს, პარტიის დაარსებიდან 4 წლის თავზე, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბევრი პრობლემა გადავჭერით, ბევრი სირთულე დავძლიეთ, და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, იმ დაძაბულ ვითარებაში თავიდან ავიცილეთ ანგარიშსწორების საფრთხე, რომლის წინაშეც რეალურად იდგა ჩვენი ქვეყანა. ჩვენი მიზანი არასოდეს ყოფილა ანგარიშსწორება. მიგვაჩნია, რომ ეს გუშინდელი დღეა, რეგრესია, განვითარების შეფერხებაა. მჯერა, გავა დრო და ხალხი ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეში კიდევ უფრო დარწმუნდება. ჩვენი მიზანი მხოლოდ ქვეყნის მშვიდობიანი, თანამიმდევრული განვითარება და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაა. ის, რომ ჩვენ შევძელით აგვერიდებინა ქვეყნისათვის მთავარი, სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე, ჩვენი გუნდის ლიდერების პოლიტიკური ნების და თითოეული თქვენთაგანის დამსახურებაა.

იყო თუ არა ეს 4 წელი უშეცდომო?! პირდაპირ გეტყვით,რა თქმა უნდა - არა. და ეს ბუნებრივიც არის ახალგაზრდა პარტიისთვის. მაგრამ ჩვენ არც ამ შეცდომების აღიარება და არც რეალობისათვის თვალის გასწორება გაგვჭირვებია. ერთი რამ თამამად შეიძლება ითქვას, ყველა ჩვენი გადაწყვეტილება იყო მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სიყვარულით ნაკარნახევი და ეს არის უზენაესი, რაც ჩვენ გვიხელმძღვანელებს ჩვენს მომავალ გადაწყვეტილებებშიც.

საბედნიეროდ, ჩვენ უკან მოვიტოვეთ ბევრი სირთულე და დღეს გვაქვს საშუალება ახალ გამოწვევებს შევეჭიდოთ, შორსმიმავალი გეგმები და ახალი ამოცანები დავისახოთ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩამოვყალიბდეთ თანამედროვე ევროპული ტიპის პარტიად. სწორედ ეს არის ჩვენი პარტიის დღევანდელი ამოცანა.

ჩვენ უნდა დავანახოთ ყველას, რომ მტკიცედ ვდგავართ დემოკრატიის გზაზე, პირველ რიგში, იმით, რომ პარტიის შიგნით დავიცავთ დემოკრატიულ ღირებულებებს. დემოკრატიული მმართველობა ევროპული ქვეყნების ცხოვრების წესია და ჩვენც სწორედ აქეთ მივდივართ. პირველ რიგში, ეს აუცილებლად გულისხმობს მკაცრ პარტიულ დისციპლინას და თითოეული წევრის პასუხისმგებლობას. პარტიის ერთიანი

12 გვ. →

# პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება –



11 გვ.

ხედვა ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე მისაღები უნდა იყოს ყველასათვის, ყველამ პატივი უნდა ვცეთ ამ ხედვას და დავემორჩილოთ გუნდის გადაწყვეტილებებს. ეს არის პარტიის სიმტკიცის გარანტია, მით უმეტეს, როცა მას ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობა აქვს აღებული.

ჩვენ უნდა დავანახოთ ყველას, რომ გვაერთიანებს მკვეთრად გამოხატული მისწრაფებები და გვაქვს ერთიანი პოლიტიკური ხედვა როგორც საშინაო, ისე საგარეო მიმართულებებით.

ჩვენი პარტიის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი სრულად ემთხვევა ქართველი ხალხის ისტორიულ ნებას, იყოს ევროპის ნაწილი, და არ არის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი. ეს ჩვენი მსოფლმხედველობრივი ერთობაა ევროპასთან, ეს არის ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისკენ, უსაფრთხოებისკენ, მეტი შესაძლებლობებისკენ, თითოეული ჩვენი მოქალაქის უკეთესი ცხოვრებისათვის. სწორედ ამიტომ გვაქვს გეზი აღებული ევროკავშირისა და ნატოსკენ და ამ გეზს არ გადავუხვევთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მხარს გვიჭერს ამ საქმეში - ჩვენს დასავლელ მეგობრებს, ევროკავშირს, რომელიც წლების განმავლობაში ეხმარება საქართველოს და ქართველ ხალხს, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს – ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩვენი ქვეყნის გვერდში დგომისათვის ამ ურთულესი პერიოდის განმავლობაში.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მეზობელ სახელმწიფოებთან, რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობა. ჩვენ ვცდილობთ ჩიხიდან გამოვიყვანოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და ვდგამთ ნაბიჯებს, რომ აღვადგინოთ სავაჭრო, სატრანსპორტო და ჰუმანიტარული ურთიერთობები. მაგრამ კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს - ურთიერთობების ნორმალიზაცია ვერ მოხდება საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე. ეს არის ის, რაც არაფერში არასოდეს გაიცვლება.

ჩვენი მთავარი მიზანი საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია და ქვეყნის გამთლიანება გახლავთ. ჩვენ უნდა გავხდეთ დემოკრატიული, სტაბილური და ეკონომიკურად კიდევ უფრო მიმზიდველი ქვეყანა, რომ ჩვენს აფხაზ და ოს მოქალაქეებს გაუჩნდეთ ჩვენთან ერთად ყოფნის სურვილი. მათ უნდა ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რაც დღეს გვაქვს, რაც მომავალში გვექნება, მათ შორის, რა თქმა უნდა, ევროპაში უვიზო მიმოსვლასაც ვგულისხმობ. სწორედ ასე, სიკეთითა და შერიგებით შევძლებთ დავიბრუნოთ ჩვენი ძმები და დები და გავამთლიანოთ საქართველო. ამას ალტერნატივა არ გააჩნია.

ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად საუკეთესო პირობები შევუქმნათ თითოეულ ჩვენს მოქალაქეს, დავიცვათ მათი უფლებები და მივცეთ შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება.

ამ სამ წელიწადში, იმ მემკვიდრეობის ფონზე, რომელიც დაგვხვდა, ჩვენ შევძელით ჩვენი მოქალაქეებისათვის პირველი რიგის, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრა. ჩვენი პოლიტიკის შედეგად უამრავი ადამიანი გადარჩა როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. მარტო ჩ ჰეპატიტის უპრეცედენტო პროგრამის და ათასობით გადარჩენილი სიცოცხლის ხსენებაც კი საკმარისია. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ზრუნვა და დახმარება თავისი მოქალაქეებისათვის ათეული წლები არ ყოფილა. სოფლის მეურნეობის, მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად გადადგმულმა ნაბიჯებმა და კიდევ ბევრ სხვა სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობამ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები გააჩინა, რის შედეგსაც დღითიდღე უფრო მეტად დავინახავთ.

ამ სამმა წელმა ჩვენ გზა გაგვიკაფა და მოგვცა იმის საშუალება, რომ დღეს უფრო დიდი და კონკრეტული მიზნები დავისახოთ და დავიწყოთ ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, რაც კონკრეტულ შედეგებს, ახალ სამუშაო ადგილებს და კეთილდღეობას მოგვიტანს.

საგადასახადო რეფორმა და მეწარმეობის ხელშეწყობა, ეკონომიკაზე ორიენტირებული განათლება, გამართული ინფრასტრუქტურა და მმართველობის ეფექტიანი სისტემა - აი ამას ვთავაზობთ ჩვენ დღეს ხალხს, ეს არის თანამედროვე ევროპული საზოგადების ცხოვრების სტილი, ეს არის ის, რაც საქართველოს თანამედროვე, ევროპულ სახელმწიფოდ აქცევს.

ამ გეგმების განხორციელებისათვის მთავარია პოლიტიკური ნება. ჩვენ გვაქვს ეს ნება და გვაქვს კომპეტენცია და რესურსი იმისათვის, რომ ადამიანების ცხოვრება მაქსიმალურად შევცვალოთ უკეთესობისაკენ.

ჩვენ გვინდა ფუნდამენტურად შევცვალოთ განათლების სისტემა. ვაპირებთ გადავხედოთ მიდგომას და ჩამოვაყალიბოთ შრომის ბაზარზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების სისტემა. უმაღლესდამთავრებულ ახალგაზრდებს უმუშევრობის პრობლემა აღარ უნდა ჰქონდეთ იმის გამო, რომ არავის სჭირდება კონკრეტული დარგის იმაზე მეტი სპეციალისტი, ვიდრე ეს რეალურად არის საჭირო. ჩვენი ამოცანაა გვყავდეს იმდენი კვალიფიციური სპეციალისტი, რამდენიც სჭირდება ქვეყანას.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია აგრეთვე ქვეყნის სწრაფი სივრცითი განვითარება, ინფრასტრუქტურის განვითარება. ჩვენ უნდა გავაფართოოთ აღმოსავლეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთის სავაჭრო დერეფნები და სრულად გამოვიყენოთ საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებლის, პოტენციალი. მათ შორის მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ ჩვენი ტურისტული პოტენციალი, რაც ისევ და ისევ ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზე აისახება.

ეს არის ჩვენი პარტიის მიერ მოქალაქეებისათვის ის შეთავაზება, რამაც გარდატეხა უნდა შეიტანოს ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში.

ამასთან ერთად, ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ უმნიშვნელოვანეს პროექტებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებებით. თუმცა, აქაც ვაპირებთ ვიყოთ უფრო რაციონალურები, მოვახდინოთ უფრო მეტი დიფერენციაცია - იმ ხალხს დავეხმაროთ უფრო მეტად, ვისაც ეს სახელმწიფოსგან ყველაზე მეტად სჭირდება.

ხელისუფლების ვალია, რაც შეიძლება ცოტა ადამიანს სჭირდებოდეს ასეთი დახმარება და ეს არის ჩვენი საბოლოო მიზანი. მე ამაზე ბევრი მაქვს ნაფიქრი და სწორედ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, ქვეყანაში სამეწარმეო სულისკვეთების გაჩენა მიმაჩნია რეალურ გამოსავლად. სწორედ ამ გზით იქმნება ახალი ბიზნესი, ახალი



სამუშაო ადგილები ხელმისაწვდომი და ასე დაიძლევა უმუშევრობა.

ჩვენ ვიწყებთ ეგრეთ წოდებული ,,სტარტაპების", დამწყები ბიზნესის პროგრამას, რომელიც გულისხმობს პერსპექტიული, ინოვაციური, საინტერესო ბიზნესიდეებისა და წინადადების დაფინანსებას, სახელწიფოს მხრიდან მათ ხელშეწყობას, ვისაც დღეს ამის ფინანსური რესურსი არ გააჩნია.

დიდი იმედი მაქვს, რომ განსაკუთრებით ახალგაზრდები დაინტერესდებიან ამ საქმით. ეს მისცემს მათ ბიზნესიდეების განხორციელებისა და საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას.

მოვუწოდებ ყველა დამწყებ ბიზნესმენს, განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდებს, - ჩაერთეთ ამ პროგრამაში და დაიწყეთ თქვენი ბიზნესიდეების განხორციელება. დღეს თქვენ გეძლევათ უნიკალური შანსი, გამოიყენეთ ეს შანსი, ჩვენ გვერდში დაგიდგებით. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის მომავალი, - თქვენთვის არის ეს ყველაფერი!

მეგობრებო,

როგორც ჩვენს ეკონომიკას, ისე ქართულ პოლიტიკას დღეს ახალი ენერგია და განახლებული ხედვა სჭირდება. იმ ახალ დღის წესრიგს, რომელსაც დღევანდელი რეალობა გვიყენებს, ჩვენი პარტია განახლებული გუნდით ხვდება. ჩვენ მზად ვართ ვუპასუხოთ ამ ამოცანებსა და გამოწვევებს. ისიც უნდა ითქვას, რომ არავისი დამსახურება არ იქნება არასოდეს დაკარგული. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ერთად დგომა მომავალშიც. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი და ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ერთობით მიიღწევა.

უახლოეს მომავალში ჩვენს რიგებში იხილავთ ბევრ ახალ ადამიანს, ბევრ პროფესიონალს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, სრულიად განსხვავებულ, ახალ, პოზიტიურ დინამიკას შემოიტანენ არა მარტო ჩვენს პარტიაში, არამედ ზოგადად ქართულ პოლიტიკაში. დღეიდან, როგორც პარტია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომა-

# „დემოკრატიული საქართველოს“ IV ყრილობა

რე, პირადად თქვენთან ერთად ვიღებ პასუხისმგებლობას ჩვენი გუნდის საქმიანობაზე და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ეს იყოს წარმატებული ადამიანების გუნდი, რომელიც უანგაროდ იდგება ჩვენი ქვეყნის სამსახურში.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ყრილობის დელეგატებს, საკრებულოების „ქართული ოცნების“ ფრაქციების წარმომადგენლებს: მიიღეთ ეს დავალებად - ხვალიდანვე დაიწყეთ პირდაპირი შეხვედრები მოსახლეობასთან, კონკრეტულად განსაზღვრეთ პრობლემები ადგილებზე, რათა კიდევ უფრო ზუსტი ინფორმაცია გვქონდეს ჩვენი ხალხის უშუალო საჭიროებებზე და მზად ვიყოთ ყველა ასეთ საჭიროებაზე რეაგირებისთვის.






ბატონებო,

სულ მალე ქვეყანა წინასაარჩევნო რეჟიმში გადავა. მოგეხსენებათ, კოალიციის სუბიექტებმა გადავწყვიტეთ დამოუკიდებლად ვიყაროთ კენჭი არჩევნებში. ეს სავსებით ნორმალური, დემოკრატიული პოლიტიკური პროცესი გახლავთ. მინდა დღეს მადლობა ვუთხრა ყველას, ვისთან ერთადაც გავიარეთ ეს ურთულესი პროცესი. დღეს გვეძლევა შესაძლებლობა არჩევნებში დამოუკიდებლად გავიდეთ და ჩვენს ხალხსაც მივცეთ მეტი არჩევანი.

ძალიან მნიშვნელოვანია, და მე ამას ვისურვებდი, რომ წინასაარჩევნო კამპანია ჩატარდეს ჯანსაღი კონკურენციის და არა კონფრონტაციის პირობებში. ჩვენ ამ არჩევნებს ჩავატარებთ ყველა დემოკრატიული სტანდარტის დაცვით. ჩვენ ეს შევძელით წინა ორ არჩევნებში და შევძლებთ ახლაც.

მე, როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ვიზრუნებ იმისათვის, რომ ყველა პოლიტიკურ სუბიექტს ჰქონდეს თანაბარი პირობები და საარჩევნო კამპანიის თავისუფალ გარემოში წარმართვის შესაძლებლობა. წარმატება მინდა ვუსურვო ყველას, ვისაც საქართველოს უკეთესი მომავალი სურს.

ახლა კი, წესდებისა და პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ასარჩევად წარმოგიდგენთ პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრთა განახლებულ შემადგენლობას. ბევრ მათგანს ყველანი კარგად იცნობთ: **პარტიის გენერალური მდივანი - ბატონი კახა კალაძე, ბატონი გიორგი ვოლსკი, ქალბატონი მანანა კობახიძე, ქალბატონი ეკა ბესელია, ბატონი ირაკლი სესიაშვილი, ბატონი ირაკლი ტრიპოლსკი, ბატონი თემურ ჭკუასელი, ბატონი დავით საგანელიძე, ბატონი ნოდარ ხადური, ბატონი ზვიად კვაჭანტირაძე, ბატონი გედევან ფოფხაძე.**

პოლიტიკურ საბჭოს უერთდება პარტიის აღმასრულებელი მდივანი ბატონი **ირაკლი კობახიძე**.

წარმოგიდგენთ პოლიტსაბჭოს ახალ წევრებს და რამდენიმე სიტყვით გაგაცნობთ თითოეულ მათგანს.

ბატონი **დავით ბაქრაძე** - ალბათ, არც მას სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა. ის ჩვენი გუნდის, მთავრობის წევრი გახლავთ და ერთ-ერთი გამორჩეული მინისტრია. ბატონი დავითი სამწუხაროდ არ იმყოფება ამჟამად საქართველოში - იგი სამუშაო ვიზიტით გახლავთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი ამჟამად წარმატებით ხელმძღვანელობს ევროპულ და ევროატლანტიკურ მიმართულებას და, დარწმუნებული ვარ, ახალ ამპლუაშიც ასევე წარმატებული იქნება.

ბატონი **დავით კოლუაშვილი** - ბატონი დავითი გახლავთ აშშ–ის სამართლის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მფლობელი; ევროკავშირის მხრიდან მთავრობის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა მთავარი მრჩეველი; ამერიკის სახელმწიფო ხაზინის მრჩეველი საბაჟო რეფორმების საკითხებში. მისთვის არ არის პოლიტიკა უცხო, იგი გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრიც.

ბატონი **მამუკა მდინარაძე** - იურისტი, სამართლის დოქტორი. მას აქვს საადვოკატო საქმიანობის დიდი გამოცდილება, არის ორგანიზაცია „ადვოკატთა ალიანსის“ თავმჯდომარე.



ქალბატონი **ირინე ფრუიძე** - ქალბატონი ირინე გახლავთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი და, მგონი, არც მას სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა. ის, ასე ვთქვათ, ცნობილი ინტელექტუალია („რა? სად? როდის?“ კლუბის ხუთგზის ჩემპიონი, ბროლის ბუს პრიზის მფლობელი).

ბატონი **რომან კაკულია** - ბატონი რომანი გახლავთ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი. ამჟამად იგი გახლავთ ევროკავშირის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი.

ქალბატონი **სოფიო კილაძე** - საერთაშორისო საჯარო სამართლის სპეციალისტი. ამჟამად გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორი. იგი არაერთი საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორია და საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნია ამ მიმართულებით.

ბატონი **აკაკი ზოიძე** - ბატონი აკაკი გახლავთ კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. იგი გახლავთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წამყვანი მკვლევარი.

ბატონი **ზვიად გონაძე** – ბატონი ზვიადი ამჟამად გახლავთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, იგი არის ეკონომიკის მაგისტრი, აქვს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მუშაობის სერიოზული გამოცდილება და სწორედ იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა ყალიბდებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ წლებში, იგი გახლდათ წამყვანი პროფესიონალი, რომელმაც არაერთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი შემოიყვანა საქართველოში.

გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ და მანდატის აწევით დაგვიდასტუროთ, ვინ არის მომხრე, პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ წარმოდგენილი კანდიდატები?

ვინ არის წინააღმდეგი - ეს შეკითხვა სიმბოლურად იქცა. თავი ვინ შეიკავა.

გმადლობთ!

პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებით ერთხმად (ხმათა უმრავლესობით, აბსოლუტური უმრავლესობით) არჩეულ იქნა პარტიის პოლიტიკური საბჭოს წარმოდგენილი შემადგენლობა.

გილოცავთ ქალბატონებო და ბატონებო!

**მეგობრებო,**

მჯერა, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ და ამის რწმენას მაძლევს ჩვენი ერთობა, განახლებული გუნდი, განახლებული ენერგია, კონკრეტული გეგმები და მკაფიო ხედვა, რომელსაც ენდობა ჩვენი ხალხი და ეჭვი არ შეაქვს, რომ „ქართული ოცნების“ თითოეული ნაბიჯი ჩვენი სამშობლოს ძლიერებას ემსახურება!

ჩვენ მივაღწევთ დასახულ მიზანს და ქვეყნის სტაბილური განვითარებით მოვუტანთ კეთილდღეობას ყველას!

როგორც პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, მე დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად გაიმარჯვებს ამ არჩევნებში, ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ! და ამით ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს!

გმადლობთ ყურადღებისთვის.

# ძაღლი შინ არ ვარგოდაო, უკრაინას გარბოდაო!





უკრაინაში, მართალია ცოტა გვიან, მაგრამ მიხეილი „გაიშიფრა“. აი, რას წერს მის შესახებ უკრაინული პრესა: „უკრაინელი პოლიტიკოსების ტრაგედია იმაშია, რომ ყველანი ორმაგ თამაშს ეწევიან, ჩვენი მოქალაქეები კი ამ აისბერგის მხოლოდ მეათედ ნაწილს ხედავენ. ხალხს არ აქვს იმის დრო და შესაძლებლობა, რომ პოლიტიკოსთა სიცრუეში გაერკვეს“, – ამბობს უკრაინის პარლამენტის წევრი ანტონ გერაშენკო გაზეთ „აიფ“-ის („არგუმენტი ი ფაქტი“, უკრაინა) ჟურნალისტ ალისა სვეტლაკოვასთან საუბარში.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, „სწორია თუ არა კრიტიკა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგაა მიმართული – მას ხომ ხალხში რეფორმატორისა და კორუფციასთან მებრძოლის იმიჯია აქვს შექმნილიო“, ანტონ გერაშენკო ასე პასუხობს:

„მე მზად ვიქნები მიხეილ სააკაშვილის გუნდში გავერთიანდე, მან რომ ნორმალურად განმიმარტოს, როგორ ქვეყანაში ვიცხოვრებ მისი რეფორმების განხორციელების შემდეგ. ჩვენთვის ხომ ცნობილია, საიდან მოვიდა უკრაინაში მიხეილ სააკაშვილი? რეფორმირებული საქართველოდან, სადაც მას დაბრუნება და ცხოვრება აღარ შეუძლია. ესე იგი, რაღაცასთან გვაქვს საქმე, ხომ? მე გეტყვით: მიხეილ სააკაშვილი სამართალდამცავ ორგანოებს ოპოზიციის წინააღმდეგ იყენებდა და მათ ისე უსწორდებოდა... მან დაარბია და დახურა ოპოზიციური ტელეკომპანია „იმედი“, რომელიც მის ხელისუფლებას აკრიტიკებდა... უკრაინაში მიხეილ სააკაშვილს ასეთი მეთოდები არ გაუვა, იგი ასეთი გზით ჩვენთან ხელისუფლებაში ვერ მოვა. მაისში ერთი წელი უნდა გავიდეს ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტზე მისი დანიშვნიდან. მან ყველა თანამდებობაზე „თავისი კაცები“ და „თავისი ქალები“ დანიშნა: ოლქის პოლიციის უფროსი გიორგი ლორთქიფანიძე, ოლქის პროკურორი დავით საყვარელიძე, საბაჟოს უფროსი იულია მარუშევსკაია და სხვები... მოკლედ, ყველა მისიანი იყო. ბევრი ოდესელი ელოდა, რომ ასეთი ფართო უფლებების პირობებში გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი შეძლებდა ოლქში სერიოზული გარდაქმნების განხორციელებას.

დავით საყვარელიძის ამასწინანდელი გადადგომა, საბაჟოს შემოწმებები და უკრაინის უშიშროების სამსახურის დაინტერესება ე.წ. „ქართული გუნდის“ საქმეებით დაკავშირებულია იმასთან, რომ მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მხრიდან ნდობა დაკარგა, იგი „ჩასარეცხადაა“ განწირული. და რატომ დაკარგა ნდობა?



იმიტომ, რომ პეტრო პოროშენკოს იმედი ჰქონდა პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენიუკთან ბრძოლაში მიხეილ სააკაშვილს ტარანის როლში გამოიყენებდა, მაგრამ ამბიციურმა საქართველოს ექს-პრეზიდენტმა არ მოისურვა პრეზიდენტის ხელში იარაღი ყოფილიყო. მიხეილ სააკაშვილი დაინტერესებულია იმით, რომ მას თავისი პოლიტიკური ძალა ჰყავდეს – ისეთი, რომელიც პირადად მას დაემორჩილებოდა და რომელიც ვადამდელ არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას.

ვფიქრობ, ახლა არაფრისგამკეთებელი მიხეილ სააკაშვილი თვითონ ეძებს საბაბს, რომ თავისი პოსტიდან ხმაურით წავიდეს. იგი ოცნებობს, რომ თვით პრეზიდენტმა ან პრემიერ-მინისტრმა გაათავისუფლოს თანამდებობიდან, მაგრამ არც ერთი და არც მეორე ამაზე არ მიდის – მათ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისაგან „წამებულის შარავანდედიანი“ პოლიტიკოსის შექმნა არ სურთ“.

საქართველოს ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის ჩასვლას არ ელოდება. „იგი თუ საქართველოში ჩამოვა, მართლმსაჯულების წინაშე წარსდგება“, – განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ, ხოლო დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა ლაკონურად აღნიშნა – „მას, ალბათ, დაპატიმრება არ ასცდება“.

უკრაინაში კი ოდესის ოლქის გუბერნატორის გუნდის შანსები „ვერხოვნა რადაში“ გასვლის თაობაზე საკმაოდ მაღალია, მით უმეტეს, რომ მიხოს ადრეც აქვს გაცხადებული ამის თაობაზე: „მე და ჩემი გუნდი უარს არ ვამბობთ იმ მისიაზე, რაც უკრაინაში გვაქვს – პერსპექტივაში უკრაინის განვითარება საქართველოს განვითარებასაც ნიშნავს. ჩვენი პოლიტიკური პარტია ყველანაირ არჩევნებში გაიმარჯვებს. უკრაინაში ამ თვალსაზრისით ეჭვი არავის არ ეპარება – არც ჩვენს მტრებს და არც მეგობრებს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

კიეველი პოლიტოლოგების პროგნოზით, თუ უკრაინაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, ქართველი „რეფორმატორი“ ვერხოვნა რადაში ცალკე გუნდის სახით ვერ გავა. აქედან გამომდინარე, მიხოს გუნდი ლვოვის მერის ანდრეი სადოვოის გუნდთან იქნება კოოპერირებული. აშკარაა, რომ მიხოს პიროვნულად საარჩევნო სიაში არ იქნება – იგი ვერ აკმაყოფილებს უკრაინის კანონმდებლობის მოთხოვნებს ბინადრობის ცენზის თაობაზე (ბოლო ხუთი წელი უწყვეტად უკრაინაში არ უცხოვრია). გარდა ამისა, მას



იურიდიულად თავისი გუნდი არ ჰყავს, ხმამაღალი განცხადებებით კი შორს ვერ წავა.

„გამორიცხული არაა, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის პროექტს აღარ შექმნის ანუ პოლიტიკურ პარტიას არ ჩამოაყალიბებს, მის თანამოზრეებს კი „სამოპომოშჩის“

მიხეილ სააკაშვილი აღიარებს, რომ სამშობლო ძალიან მოენატრა: „მე ვაღმერთებ საქართველოს. მე ხომ ქართველი ვარ. მე ხომ თანამედროვე ქართული სახელმწიფო ჩემს მეგობრებთან ერთად შევქმენი“.

მიხეილ სააკაშვილი გუბერნატორად დანიშვნის დროს აცხადებდა, რომ ოლქის ტერიტორიაზე არსებულ გზას გაარემონტებდა, მაგრამ არაფერი გაკეთებულა. გუბერნატორი აცხადებს, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეებთან ერთად „მარშრუტკით“ და ავტობუსით მგზავრობს, მაგრამ ამის დამადასტურებელი ბოლო ვიდეო ორი თვის წინ არის დადებული.

ტელეჟურნალისტებმა სასაზღვრო პუნქტი „კუჩურგანი“ მოინახულეს, სადაც ჯერ კიდევ აპრილის ბოლოს საბაჟო უნდა აშენებულიყო. არაფერი გაკეთებულა, თუმცა რეფორმატორები გვარწმუნებენ, რომ მათ მუშაობაში ხელს კიეველი პოლიტიკოსები უშლიან: „ცენტრალური ხელისუფლება მშენებლობისთვის ფულს აღარ გვაძლევსო“ (ვიდეო სიუჟეტში საუბრობს იულია მარუშევსკაია – ოდესის საბაჟოს ახალგაზრდა ხელმძღვანელი, მაგრამ ამ სფეროში სრულიად არაკომპეტენტური პიროვნება. მას მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ მეგობარ ქალს ეძახიან).

მიხეილ სააკაშვილს აღარ ახსოვს, ბოლოს როდის იყო შვებულებაში. იგი თავის ოჯახზე საუბრობს, შვილებზე... „ჩემი ცოლ-შვილი საფრთხეს არ შეუშინდა და საქართველოში დარჩნენ. მათი იქ ყოფნა ჩემს იქ ყოფნასაც ნიშნავს“.

მიხეილ სააკაშვილი ნოსტალგიურად იხსენებს თავის კახურ ვენახს, ბათუმის მყუდრო ქუჩებს, თბილისურ ხმაურს... მიუხედავად იმისა, რომ მას საქართველოს ხელისუფლება პატიმრობით ემუქრება, ექს-პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მისთვის სახლის კარი მალე გაიღება: „მე მინდა ამას ყოველგვარი ექსცესების გარეშე მივაღწიო – მხოლოდ არჩევნების, დემოკრატიული პროცედურების მეშვეობით. ვფიქრობ, ეს ყველაფერი შემოდგომაზე მოხდება“. ვფიქრობ ნაცნობი სურათია, ახალი მხოლოდ ის არის, რომ მიხოს ოცნება პირდაპირ ეთერში დაუწყია.

არცთუ დიდი ხნის წინ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია ეკა



ზღულაძის შესახებ - უკრაინის შს მინისტრის პირველი მოადგილე საფრანგეთში ქმართან მიემგზავრებოდა, რადგან ფეხმძიმედ არის და ორ თვეში უნდა იმშობიაროს. ბორისპოლში საბაჟოზე ის დააკავეს ფულით სავსე ჩემოდნით, რომელშიც არც მეტი, არც ნაკლები 4 მილიონი აშშ დოლარი იყო. შესაბამისი ორგანოების კითხვაზე, მადამ ზღულაძემ ღიმილით უპასუხა, რომ ეს მისი პირადი ნივთებია, ფული კი პარიზში სამედიცინო პროცესის ორგანიზებისთვის სჭირდებოდა”.

ზახარჩენკოს ინფორმაციით, ზღულაძემ ბორისპოლში 4 საათი გაატარა, რა დროსაც თავის ხელმძღვანელს, მინისტრ არსენი ავაკოვს ურეკავდა, რომელმაც ყოფილი მინისტრის თქმით, თავისი გავლენა გამოიყენა იმისთვის, რომ ეკა ზღულაძე “ლაჟვარდოვან სანაპიროზე გაეცილებინა”.

ზახარჩენკო წერს, რომ უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს ვასილი გრიცაკს მოახსენეს, რომ 10 (სხვა მონაცემებით 14) მილიონი დოლარი ეკა ზღულაძესა და ავაკოვს სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებისთვის გადასცეს, მაგრამ, მისი თქმით, შსს-ს ხელმძღვანელობამ ნაცვლად იმისა, რომ თანხა დანიშნულებისამებრ გამოეყენებინათ, მიითვისეს.თუმცა არავინ დასჯილა, დიდი მიხვედრა არ უნდა ვისი ფრთის ქვეშ გრძნობენ თავს დაცულად, უკრაინაში პორტირებული ნაცები. ღიმილის მომგვრელია უკრაინის პოლიციის ბედით შეწუხებული ხატია დეკანოიძის „მოთქმა“-

„მე ვგრძნობ, მილიციის რევანშს და იმ თანამშრომლების რევანშს, რომლებმაც არ გაიარეს ხელახალი სერტიფიცირება. თითქმის მათ, ყველამ სასამართლოს მიმართა. მიმდინარეობს დახურული სხდომები და მე ძალიან მეშინია, რომ ძველი სასამართლო სისტემა გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ჩაშალოს პოლიციის რეფორმები”, - ხატია დეკანოიძეს თქმით უკვე არის სასამართლოს ორი გადაწყვეტილება შსს-ს თანამშრომლების სამუშაოზე აღდგენისა, რომლებსაც არ გაუვლიათ ხელახალი სერტიფიცირება.

ამავე დროს დეკანოიძე არ გამორიცხავს, რომ ამგვარ გადაწყვეტილებებს კვლავ მიიღებენ.

როგორც ხატია დეკანოიძე ამბობს: ადამიანები, რომლებიც



დაკავებული იყვნენ თაღლითობით, ბანდიტიზმით, მათ არ შეუძლიათ იპოვონ საკუთარი თავი მილიციის სისტემის გარეთ, ისინი ისწრაფვიან დაბრუნდნენ სამსახურებში, რათა დაკავდნენ იგივე საქმით უკვე აღდგენილ

პოლიციაში”-მიხოს ყოფილი რძალი, ჩვენი ქვეყნის ყოფილი განათლების მინისტრი, აშკარად უკმაყოფილოა, არც უკრაინელები არიან ჩვენი „პოლიტემიგრანტებით“.ჩამოვრჩით ცხოვრებას, რადგან არ ვიცით რა სახელი ქვია ერთ ქვეყანაში ბრალდებულ-ძებნილი პირების სხვა ქვეყანაში მაღალ თანამდებობებზე, დანიშვნას. ძუ ნაცებს ჩვენი ქვეყნის შერცხვენაში არც ხვადები ჩამორჩებიან. ბიოგრაფიებიც შესაფერისი აქვთ...

**გიორგი ლორთქიფანიძე** – უკრაინის შსს ოდესის საოლქო სამმართველოს უფროსი. მიხეილ სააკაშვილის ძველი მეგობარი. მისი პრეზიდენტობის დროს იყო საქართველოს შს მინისტრის მოადგილე. ოდესის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული.



**დავით საყვარელიძე** – უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე, იმავე დროს ოდესის ოლქის პროკურორი.

**ზურაბ ადეიშვილი** – საქართველოს იუსტიციის ექს-მინისტრი და მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი, რომელიც ძებნაშია ჩადენილი დანაშაულობების გამო. იმ სქემების წყალობით, რომელიც ზურაბ ადეიშვილმა და დავით საყვარელიძემ შეადგინეს, მიხეილ სააკაშვილის სანქციით, კორუფცია საქართველოში ახალ დონეზე აიყვანა. დაიკავა. დღეისათვის ზურაბ ადეიშვილი საქართველოში დაუსწრებლადაა ბრალდებული.

**გიზო უგულავა** – უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, მანამდე კი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე. გიზო უგლავა საქართველოში იძებნება... არ გაგიკვირდეთ – სწორედ კორუფციისა და კრიმინალური დანაშაულისა გამო.

**ალექსანდრე კვიტაშვილი** – საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ჟამს, დღეს კი იგივე თანამდებობაზე ზის უკრაინის მთავრობაშიც – ჯანდაცვის მინისტრია. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრ კვიტაშვილს პროფილური (სამედიცინო) განათლება არ აქვს!

**გიორგი გრიგალაშვილი** – უკრაინის ეროვნული პოლიციის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი, მანამდე კი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, იგი საქართველოს საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი. (საქართველოში ბრალდებული)

**გიორგი ცხაკაია** – ოდესის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი, მუშაობდა საქართველოს შემოსავლების უწყების ხელმძღვანელად. სწორედ გიორგი ცხაკაია დგას ოდესის საბაჟოს უფროსის, არაპროფესიონალ იულია მარუშევსკაიას ზურგს უკან. გიორგი ცხაკაია ფორმალურად საბაჟოს უფროსის მოადგილეა, მაგრამ რეალურად ყველა გადაწყვეტილებას ის იღებს;

**ლევან დუჩიძე** – მუშაობს ბიზნეს-ანალიტიკოსად და საგარეო კავშირების კოორდინა-ტორად ორგანიზაცია „ინიციატივები უკეთესი უკრაინისათვის“. საქართველოში კი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე იყო;

**სერგო ქავთარაძე** – ტრენინგებისა და ელექტრონული შესყიდვების კოორდინატორი ოდესის ოლქში. მუშაობდა თბილისის განვიტარების ფონდის ხელმძღვანელად. იძებნება ქართველი სამართალდამცველების მიერ, საბიუჯეტო თანხების განიავების გამო;

**მერიკო კოკაია** – ოდესის გუბერნატორის თანაშემწე მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში;

**დავით ჩანტლაძე** – იგი საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრად მუშაობდა, დღეს კი ოდესის ოლქის გუბერნატორის ადმინისტრაციაში მუშაობს.



**თემურ ნიშნიანიძე** – ოდესის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი, მანამდე კი ოდესაში საქართველოს გენერალურ კონსულად მუშაობდა.

უკრაინაში კიდევ ბევრი ნაცნობი თუ უცნობი საქართველოდან პორტირებული მიხოს „თანამებრძოლი“არცხვენს ჩვენს ქვეყანას. ხროვის ნაწილს ევროპაში და აშშ ი აქვთ ფრთები გაშლილი, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად. კოლოსალური თანხის ფლობის მიუხედავად „რაღაც დათარსულები“ჩანან და აშშ ს გამოლოცვისთვის ხშირად სტუმრობენ. „დნეპრდალეულები“ვფიქრობ ხვდებიან, რომ აღარც აქ ჩამოესვლებათ და უკრაინიდანაც მალე გააბუნძულებენ სად გადააპორტირებენ „უფროსი ძმები“და რა ნავთს და მდუღარეს დალევენ მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი არჩევნებია მიხოს უკანასკნელი იმედი, რომელიც რაღათქმაუნდა დიდი იმედგაცრუებით დაუსრულდება.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30




გადაცემა რვიანი
**12 მაისი 2016 წ.**
**ომარ ნიშნიანიძე** –
საქართველოს პარლამენტის წევრი
წამყვანი: **ვახო სანაია**

აღდგომა დღეს ვიყავით გურიაში, ლელო-ბურთი ტარდებოდა და უამრავი ხალხი შეიკრიბა იქ, იმერეთიდან, გურიიდან, აჭარიდან, სამეგრელოდან. საიდან არ იყვნენ იქ ჩამოსულნი. პაატა ბურჭულაძეც გამოჩნდა, რა თქმა უნდა იქ, გამოჩნდა მამალ ნაცებთან ერთად. ხალხში დაიწყო ჩოჩქოლი და თქვეს, რომ ყველგან, სადაც კი ჩადის პაატა ბურჭულაძე, მამალი ნაცები ახლავს თან. იქ ერთი გურული კაცი იყო, უბრალო გლეხი, რომელიც იწევდა, რომ ერთი მიმიშვით, რაღაცა უნდა ვუთხრა პაატა ბურჭულაძესო, მაგრამ ვერ მიაღწია იქამდე. მერე ერთმა ჰკითხა — მაინც, რა უნდა გეთქვა პაატასთვისო. რა უნდა მეთქვა, ძამა და, აი, ცოცხის ტარები ძლივს გამოვიღეთ ერთი ადგილიდან და უკან გინდათ ახლა შეგვტენოთ ისევო?! აი, ეს არის ხალხის დამოკიდებულება პაატა ბურჭულაძის და მისი გუნდის მიმართ და ეს არ უთქვამს მხოლოდ ერთს, ხალხის დიდი ნაწილი, ჩემო კარგო, ფიქრობს მხოლოდ ასე. ჩვენ პატივს ვცემთ პიროვნულად პაატა ბურჭულაძეს, კი, ბატონო, მსოფლიო ბანია, შესანიშნავი ხელოვანია, მივესალმებით, ტაშს დავუკრავთ, მაგრამ მე მენანება, ალალად მენანება ის პოლიტიკისათვის და ეჭვი მიჩნდება, რომ პაატა ბურჭულაძე, ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, რამე ბინძურ საქმეში ხომ არ არის გარეული-თქო, კითხვის ნიშანს ვსვამ — როდესაც ის ხალხში ასოცირდება მიშა სააკაშვილთან და ნაციონალურ მოძრაობასთან, რთულია, კითხვის ნიშანი არ დასვა. ახლა თქვენ გჯერათ ნაციონალური მოძრაობის გაკეთილშობილების? მე, მაგალითად, არ მჯერა, ჩემო კარგო. ვინც გასაკეთილშობილებელი იყო, იმან მოინანია და ახლა გვერდზე მაინც დგას, თავიანთ ბინძურ საქმეებს გაემიჯნენ მაინც. დღეს შეიძლება ნაციონალური მოძრაობის გაკეთილშობილება ვიფიქროთ ჩვენ? გამორიცხულია ეს, ხომ? ამიტომაც პაატა ბურჭულაძე მე მენანება ასეთი პოლიტიკისათვის. ვფიქრობ, არაფერი იმისთანა არ ჭირს ამ ქვეყანას რომ პაატა ბურჭულაძისნაირი გენიალური ხელოვანები ჩაერთონ პოლიტიკაში, არ სჭირს. ეს „რუსთავი-2“-ს უნდა ასე წარმოაჩინოს, ეს უნდა „ნაციონალურ მოძრაობას“, მის სატელიტებს უნდათ წარმოადგინონ რომ ქვეყანა იქცევა. არ არის ეს ასე. ქვეყანა ადგას სწორი განვითარების გზას, დასავლეთის გზას, კი, ბატონო, კარგია დასავლეთის გზა, თუმცა დასავლეთსაც ბევრი აქვს სასწავლი ჩვენგან, იმიტომ რომ ჩვენ დასავლეთის ნაწილი ვართ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე მენანება ის, რომ პაატა ბურჭულაძე „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტად უნდა იქცეს და უნდა გააკეთოს ის საქმე, შეფუთულად, შელამაზებულად, რაც უნდა, რომ გააკეთოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ამისთვის ახლა არ გენანებათ ეს კაცი? მე მენანება და ეს არის ჩემი მოსაზრება, გინდა ხელისუფლების აზრი დაარქვით ამას და გინდა ჩვეულებრივი ხალხის მოსაზრება. მე ჩემი სოფლიდან მოვდივარ ამ წუთას, თერჯოლის რაიონიდან, იქაც იგივეს ფიქრობენ და ეს სიტყვა დამაბარეს, ქუთაისშიც, ჩემს ქუთაისშიც ზუსტად ამასვე იმეორებენ და მე, უბრალოდ, ხალხის ხმა მომაქვს თქვენამდე.

არავითარი საფრთხე არ არის პაატა ბურჭულაძეში, ახლა თუ ჩვენ NDI და IRI კვლევებს დავეყრდობით და პაატა ბურჭულაძის პირველ ადგილს დადებენ, ეს ბუნებრივია, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ კანტორები და რა შედეგსაც უნდათ, იმას დადებენ, მაგრამ მე გეუბნებით რეალობას, ხალხი რას ფიქრობს, მე გეუბნებით იმას, რაც არის დღეს ქვეყანაში. ფორმალურ მმართველობაზე რასაც ამბობს პაატა ბურჭულაძე და მისი გუნდი, ეს იგივე „ნაციონალური მოძრაობის“ სიტყვები არ არის? რაიმე შეცვალეთ მაინც, ფორმა მაინც მოუძებნეთ სხვა, თქვენ დალოცვილებო, რავა ყველა ერთ ენაზე ჭიკჭიკებთ, რავა ყველანი ცრუ ნაციონალურ ენაზე ჭიკჭიკებთ, თორემ, ნეტავ, მართლა ნაციონალური მოძრაობა იყოს, ნეტავ, მართლა ეროვნული მოძრაობა იყოს, მე დავუჩოქებდი და გვერდით დავუდგებოდი, პირველი პირგში. საქართველოს არ მოსწრებია ასეთი ბნელეთის ხანა და არ მოსწრებია ასეთი ანტიეროვნული ძალა ხელისუფლებაში, როგორიც „ნაციონალური მოძრაობა“ იყო. ეს არის ფაქტი, მე ისტორიკოსი ვარ და ამას ვღაღადებ და ამას ვიღაღადებ ყოველთვის...

ქართულ პოლიტიკაში ივანიშვილის შემოსვლასა და პაატა ბურჭულაძის შემოსვლას შორის უზარმაზარი განსხვავებაა, ჩემო კარგო, უზარმაზარი. მაშინ ქვეყანა მიდიოდა უფსკრულისაკენ, სამშობლო აღარ გვქონდა, დედა აღარ ჰყავდა სამშობლოს. დედა ჰყავდა გადახნული სამშობლოს და ბიძინა ივანიშვილმა



გადაგვირჩინა სამშობლო და დღეს ასეთი ვითარება ჩვენს ქვეყანაში აღარ არის. პაატა ბურჭულაძემ, რომელსაც ფულები უთეთრებია მიშა სააკაშვილთან ერთად ფონდის საშუალებით, ახლა მოინდომა ქვეყნის გადარჩენა? რა აქვს გადასარჩენი, გვითხრას, რა. ქველმოქმედებაში ეჯიბრება ბიძინა ივანიშვილს? ვერ მივა, მის ფრჩხილისოდენა საქმედეც ვერ მივა. ბიძინა ივანიშვილს რაც უკეთებია, რასაც აკეთებს და რასაც გააკეთებს, იქამდე ვერ მივა და რატომ ცდილობს, რატომ იფუჭებს საქმეს?! ჩემგან თაყვანისცემა აქვს, როგორც მომღერალს და ხელოვანს პაატა ბურჭულაძეს, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი, ვერ იმსახურებს პატივისცემას და ვერც ვერასოდეს ვერ დაიმსახურებს, იმიტომ, რომ ის ასოცირდება „ნაციონალურ მოძრაობასთან“, მიშა სააკაშვილთან.

**თამო კუჭელევა**
555 46 08 04

# ძლიერი რეგიონები



ზუგდიდი

## ზუგდიდი – სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფის რიგგარეშე სხდომა გაიმართა. სხდომას გუბერნატორი ლევან შონია უძღვებოდა, შეხვედრას რეგიონის მერები, გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, სამხარეო ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურების უფროსები და თანამშრომლები ესწრებოდნენ.

საბჭომ მხარი დაუჭირა 2015-2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში შესატან ცვლილებებს. ცვლილებების განხორციელება ტენდერების შედეგად გამოთავისუფლებული ეკონომიებით გახდა შესაძლებელი.

საბჭომ მხარი დაუჭირა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში აბასთუმნის, ჭკადუაშის, კორცხელის, ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობას, ასევე სოფელ ყულიშკარში წყალმომარაგების მეორე ეტაპის სამუშაოების განხორციელებას, ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის განხორციელებას.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით საკონსულტაციო საბჭომ მხარი დაუჭირა შემდეგ ცვლილებებს: სოფელ კირცხში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტი განთავსდეს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2016 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში. ასევე განხორციელდეს ცვლილება და რეგიონის სამოქმედო გეგმაში არსებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ღამის განათების მოწყობის პროექტის ნაწილი 2016 წელს დაფინანსდეს 95 000 ლარით.

აბაშის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით საბჭომ მხარი დაუჭირა შემდეგ ცვლილებებს: მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის მშენებლობის პროექტი განთავსდეს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში, ღირებულება შეადგენს 461 209 ლარს. ასევე საბჭომ მხარი დაუჭირა სოფელ წყემში გზის ასფალტ-ბეტონის საფრით მოწყობის პროექტს, შესაბამისად აუცილებელია აღნიშნული პროექტი განთავსდეს 2016 წლის სამოქმედო გეგმაში დონორების დაფინანსების კომპონენტში.

მესტიის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში საბჭომ მხარი დაუჭირა მესტიის სოფლებში 10 საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტის გადმოტანას 2016 წელს განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში, დონორების დაფინანსების კომპონენტში. ზემოაღნიშნულ პროექტებზე შედგენილია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტის საერთო ღირებულება 3 270 751 ლარი.

## აბაშაში გზის რეაბილიტაცია დასრულდა

აბაშის მუნიციპალიტეტში მარანი-პ/მაისი-გაუწყინარის გზის რეაბილიტაცია დასრულდა.

წლების განმავლობაში ავარიულ მდომარეობაში მყოფი სამი სოფლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 4.3 კილომეტრიან მონაკვეთი უკვე მოასფალტდა.

სამუშაოებისათვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 504 095 ლარი დაიხარჯა. პროექტის შემსრულებელი სს „არქეოპოლისია“.



აბაშა „კონსტანტინობა

## ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 123 წელი შესრულდა

მწერლის იუბილე აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ აბაშაში, მისსავე სახლ-მუზეუმში აღნიშნეს. მუზეუმის ეზოში, ახალ სცენაზე მთელი დღის განმავლობაში კულტურული ღონისძიებები მიმდინარეობდა, რომელშიც ადგილობრივმა და სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა მონაწილეობა მიიღეს.

„კონსტანტინეობას-2016" ესწრებოდნენ აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა კვიტაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ქურდოვანიძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე კახაბერ რუსია, ხელისუფლების წარმომადგენლები და მოქალაქეები სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან. მათ საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი.

„დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“ და სხვა ცნობილი რომანების ავტორი, კონსტანტინე გამსახურდია 1893 წლის 15 მაისს სოფელ ძველ აბაშაში დაიბადა. ის ფილოსოფიის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატია.

წელს, სოფელ ძველ აბაშაში, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის განახლება მოხდა. მუზეუმის ტერიტორიაზე ღია სცენა განთავსდა და მოეწყო გამსახურდიების ჯარგვალი. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ღია სცენის გამართვა კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმს ახალ სიცოცხლეს შესძენს. ახალ სივრცეში სხვადასხვა ლიტერატურული საღამოები გაიმართება, იგეგმება კულტურული ღონისძიებების ჩატარებაც.

კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში გასულ წელს გალავანი და ჭიშკარი გაკეთდა, ასევე დამონტაჟდა გარე განათება და ეზოში მოეწყო მოსასვენებელი ადგილები, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 32 ათას ლარამდე დაიხარჯა.

კონსტანტინეობა - 2016 აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს ორგანიზებით გაიმართა.

## ქობულეთი საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობს

ქობულეთი საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში წელს პირველად მონაწილეობს. მუნიციპალიტეტმა თავისი ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად სტენდი უკრაინასა და ყაზახეთში წარადგინა. ტურისტულ გამოფენებზე სარეკლამო ბროშურებთან, საიმიჯო ვიდეო კლიპთან, დაცული ტერიტორიების კალენდართან და ქობულეთის სხვა სარეკლამო მასალებთან ერთად სპეციალურად გამოფენისთვის დამზადებული სუვენირები იყო წარდგენილი. კიევის „UITT – kiev 2016"-ისა და ალმაატას „KITF 2016"-ის გამოფენაზე ქობულეთმა დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი საერთაშორისო გამოფენებში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად მონაწილეობდა.





## ჩოხატაურში საცდელი სანერგე მეურნეობა გაიხსნა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და ჩოხატაურის თვითმმართველობის ერთიანი ძალისხმევით, სოფელ გორაბერეჟოულის ტერიტორიაზე საცდელი სანერგე მეურნეობა გაიხსნა, სადაც დაირგო ვაზის სხვადასხვა ჯიშის 2000 ნერგი. ამ დღეებში ხეხილის ნერგების დარგვა გაგრძელდება.

## ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაცია

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ შემუშავებული ვანის არქეოლოგიური ობიექტის აღდგენის ზოგადი კონცეფციის თანახმად, იგეგმება ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაციის კიდევ ერთი ქვეპროექტის განხორციელება. პროექტით გათვალისწინებულია: მუზეუმის არსებული ძველი შენობის სრული დემონტაჟი, ახალი ოთხსართულიანი კარსტული ნაგებობის მშენებლობა, მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობა, შენობის უსაფრთხოების, განათების, ვენტილაციის, გათბობის, სატელეფონო ხაზებისა და კომპიუტერული ქსელების, ხანძარსაწინააღმდეგო და წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემების მოწყობა. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება.

## ლაგოდეხი – შეხვედრა მეცხვარეებთან

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ოფისში ადგილობრივ მეცხვარეებს ლაგოდეხის თვითმმართველობის პირველი პირები შეხვდნენ. სამუშაო შეხვედრას, რომელიც მთის საძოვრებზე ადგილის გამოყოფას და საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმების საკითხებს ეხებოდა, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები ესწრებოდნენ. როგორც სამუშაო შეხვედრის შემდეგ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კახა ჯამბურიამ განმარტა, ყველა ის საკითხი და პროცედურა განიხილეს, რომლებიც მთის საძოვრებით სარგებლობლობას ეხება. მისივე თქმით, ხელისუფლება მაქსიმალურად უზრუნველყოფს თითოეული მეცხვარის ინტერესების დაცვას.

# ძლიერი საქართველოსთვის




### „საჩხერე 2015 – საყოველთაო წარმატების წელი“

ამ სახელწოდების ბროშურა საჩხერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის 2015 წლის წარმატებებს ასახავს. წინსვლა და განვითარება შეეხო არაერთ სფეროს, მათ შორისაა: ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, გარემოს დაცვა, კულტურა და სპორტი, დაიგეგმა მომავლის პროექტები...

საანგარიშო წელს 10 000 000 ლარზე მეტი ღირებულების 274 პროექტი განხორციელდა, რისთვისაც საჩხერე იმერეთის რეგიონში ყველაზე წარმატებული მუნიციპალიტეტების სამეულში შევიდა.

### დუშეთის ბულვარის რეაბილიტაციის პროექტი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით, გამგეობის სააქტო დარბაზში გაიმართა ქალაქის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის პროექტის საჯარო განხილვა, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით განსახორციელებელი რეგიონული განვითარების მესამე პროექტის პირველ ეტაპს. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამოყენებით ტურიზმის განვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტში. პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი, მოადგილეები - ბექა ღარიბაშვილი და თამაზ უნდილაშვილი, გამგეობის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები, არასამთავრობო სექტორი, სტუდენტები და საზოგადოებრივი გაერთიანებების წამომადგენლები. შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში წარიმართა.

### საგარეჯო – დიდი ჩაილურის სკოლაში გმირების მემორიალური დაფები გაიხსნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ჩაილურის სკოლას ეწვივნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი, რომლებმაც საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული გმირების - ზურაბ ფეიქრიშვილისა და გიორგი კირაკოზაშვილის მემორიალური დაფები გახსნეს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის რიგითი ზურაბ ფეიქრიშვილი აფხაზეთის ომში დაიღუპა, ხოლო IV ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის შტაბის შ2 დაზვერვის ოფიცერი, კაპიტანი გიორგი კირაკოზაშვილი კი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს შეეწირა.

მემორიალური დაფების გახსნას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები მიხეილ სვიმონიშვილი და დავით ივანიშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ჯაბადარი ესწრებოდნენ.

### ადიგენი – შეხვედრა სოფელ ფხეროს და სოფელ ზემო ენთელის მოსახლეობასთან

ადიგენის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები სოფლების - ფხეროს და ზემო ენთელის მოსახლეობას შეხვდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ადგილობრივებისგან პირადად მოისმინეს, თუ რა უჭირს ამ სოფლებს და აღნიშნულ სოფლებში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

სოფლების - ენთელი, ფხერო, შოყა, ოქროს ციხის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება 3,2 კილომეტრიან მონაკვეთზე, მოეწყობა სანიაღვრე ქსელი, წყალგამტარი მილებითა და რკინა-ბეტონის ღარებით. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით წელს მიმდინარე სამუშაოებს 658 000 ლარი მოხმარდება.



ადიგენი

### რუსთაველის თეატრი ბოლნისში

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ბოლნისს სტუმრობდა. დასმა მაყურებლის წინაშე ვაჟა-ფშაველას პოემის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“ წარმოადგინა. ყოველ დროში აქტუალური პოემა, მისი თემატიკა სცენაზე რეჟისორმა გოშა გორგოშიძემ გადაიტანა და მაყურებელს მთიელთა ადათწესებზე, ქრისტიანულ და მაჰმადიანურ ტრადიციებზე, სტუმარმასპინძლობის წარუვალ ფასეულობებზე უამბო.

სპექტაკლს ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ეფრემი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგი მეშველიანი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

### დმანისი – უფასო პროგრამები ქალებისთვის

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დასრულდა საინფორმაციო ტექნოლოგიების შემსწავლელი უფასო ერთთვიანი კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისთვის კომპიუტერული პროგრამების შესწავლას. მსმენელებმა წარმატებით გაიარეს აღნიშნული კურსი და გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

### სასმელი წყლის სისტემის მოწყობა მარნეულის სოფლებში

მარნეულის მუნიციპალიტეტის დამია-გეურახის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ახლო-ლალოში სასმელი წყლის შიდა დაქსელვის მოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ სოფელში აქამდე არ არსებობდა ცენტრალიზირებული სასმელი წყლის ქსელი.

იგეგმება 7851 მ-იანი სიგრძის ცენტრალური მაგისტრალის გაყვანა, ხოლო შემდგომ აღნიშნულ მაგისტრალზე ოჯახების ინდივიდუალურად მიერთება. მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი 2016 წლის 4 მაისს დაიწყო და მიმდინარე წლის 12 აგვისტომდე დასრულდება. აღნიშნული პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება, რომლის თანადაფინანსების 5 პროცენტი მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან განხორციელდა. პროექტის საერთო ღირებულება 134 987 ლარია.

### ქვემო სილეზიის დელეგაცია ქედის ღვინის ქარხანაში

აჭარაში ქვემო სილეზიის დელეგაციების წევრების ვიზიტი გრძელდება. პოლონელმა სტუმრებმა დაათვალიერეს ქედის ღვინის ქარხანა და დააგემოვნეს შვიდი სახეობის ღვინო. შეხვედრაზე იმსჯელეს ღვინის საერთაშორისო ბაზარზე, კერძოდ კი - პოლონეთში რეალიზაციის საკითხებზე. ქედის ღვინის ქარხანამ მიმდინარე წელს ხუთი ტონა ღვინო გაიტანა უცხოურ ქვეყნებში, კერძოდ - ბელორუსიაში, რუსეთსა და ჩინეთში. შარშან ქარხანამ 120 ტონა ცოლიკაური და 51 ტონა ჩხავერი ჩაიბარა.

### ქედა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე

ბათუმში მიმდინარეობს „ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის EXPO BATUMI 2016“ მე-9 საერთაშორისო გამოფენა, სადაც ქედის მუნიციპალიტეტმა სტუმრებს შესთავაზა ტრადიციული სამზარეულოს კერძები, ხელნაკეთი ნივთები, რეწვის ნიმუშები, ეთნოგრაფიული ნამუშევრები და ა. შ. წარმოდგენილია აგრეთვე ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები, რომლებიც ქედის კუთხეს უფრო მიმზიდველს ხდიან და ამიტომაც სტუმრები არ აკლიათ.

წელს ამ გამოფენაზე წარმოდგენილი არიან საქართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, სომხეთი, პოლონეთი და ჩინეთი.

### ხულოში ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე აღინიშნა

ანდრია პირველწოდებული საქართველოში პირველად ხულოში, სოფელ დიდაჭარაში შემოვიდა, სწორედ ამიტომ ხულოს მუნიციპალიტეტში ეს დღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნება.

ხულოში მოციქულის სახელობის ტაძარში მეუფე სპირიდონმა სადღესასწაულო წირვალოცვა აღავლინა და ამ თარიღის მნიშვნელობაზე იქადაგა.



ხულო

საზეიმო წირვის შემდეგ მრევლმა აწყურის ღვთისმშობლის ხატი დიდაჭარაში გადააბრძანა, სადაც მეუფემ დღესასწაულთან დაკავშირებით ტრადიციული სამეცნიერო კონფერენცია გახსნა. რომელშიც სასულიერო პირებთან ერთად უმაღლესი სასწავლებლების პროფესორმასწავლებლები მონაწილეობდნენ.

წმინდანის ხსნების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ადგილობრივი ხელისუფლების წევრებთან ერთად ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ღონისძიების კულტურულ ნაწილში მონაწილეობდნენ ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები “არგინეთი”, “ბერმუხა” და სხვა შემსრულებლები. სახალხო ზეიმი გაერთიანებული საეკლესიო მრავალჟამიერით დასრულდა. ღონისძიების დასრულების შემდეგ გაიმართა ტრაპეზი.

# მსოფლიო ბენწვის ხიდზე



ტულიო სიმანჩინი

**(დასასრული, დასაწყისი იხ. „სგ“ #16)**

კვლევების მიხედვით, ნებისმიერი ონკოლოგიური დაავადება ადვილად განკურნებადია. არადა, კიბოთი ყოველწლიურად 9 მლნ ადამიანი იღუპება. ეს არის მსოფლიოს ახალი წესრიგის მიხედვით, ადამიანთა რაოდენობის შემცირების ერთ-ერთი სერიოზული შესაძლებლობა.

1969 წელს როკფელერების ცენტრში ექიმთა დახურულ კონფერენციაზე საიდუმლო ბრძანება იქნა შემუშავებული. „ჩვენ შეგვიძლია განვკურნოთ კიბოს ნებისმიერი სახეობა, მაგრამ არ შეგვიძლია ეს ინფორმაცია გავავრცელოთ შესაბამისი თანხმობის გარეშე, მით უფრო, რომ ონკოდაავადებებით ან სხვა ავადმყოფობებით გარდაცვლილთა რაოდენობა შეამცირებს დედამიწის მოსახლეობას“, – ამ ინფორმაციას ავრცელებს ამერიკელი მწერალი და მკვლევარი **დევიდ აიკი** და აცხადებს, რომ ინფორმაცია ამერიკის ხელისუფლებაში მყოფმა პასუხისმგებელმა პირებმა – სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლებმა მიაწოდეს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც სისტემის ნაწილს წარმოადგენენ. ესენი ყველაფრის საქმის კურსში არიან, რაც ხდება ჩვენს გარშემო, მაგრამ შინაგანად არ ეთანხმდებიან ყოველივე ამას, – დასძენს დევიდ აიკი.

მსიოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ 2030 წლისათვის კიბოთი გარდაცვალების რისკები კატასტროფულად მაღალი იქნება – 10-დან 12 მლნ. ადამიანამდე წელიწადში.

ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოში ჯანდაცვის პრობლემებს უნდა აწესრიგებდეს, გეგმავს გლობალურ სიკვდილს.

რატომ უნდა განადგურდეს დაავადება, როცა მისგან შეიძლება დიდძალი ფულის შოვნა მის სიმპტომებთან ბრძოლის პერიოდში?!

თუმცა უცხოელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საქმე მხოლოდ ფულში არაა. მსოფლიო ელიტა მიზანმიმართულ პოლიტიკას ახორციელებს მოსახლეობის შემცირების თვალსაზრისით. ეს არის **გენოციდის პოლიტიკა**. რის გამოც გაზრდილი სიკვდილიანობა, მათ შორის ავადმყოფობებით გამოწვეული,– გეგმიურია. თუკი რომელიმე ექიმი მოიპოვებს კიბოსგან განკურნების საშუალებას, იგი მაშინვე ხდება მედიცინის დარგის ჩინოვნიკებისა და ხელისუფლების სამიზნე, რადგან ამის გაკეთება სისტემის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს.

იტალიელმა ექიმმა და ონკოლოგმა **ტულიო სიმანჩინიმ** ღიად გამოაცხადა ბრძოლა ონკოდაავადებების წინააღმდეგ.

მისმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ კიბო სოკოვანი დაავადებაა, ანუ, უბრალოდ, სოკოვანი სიმსივნე.

ჯერ კიდევ ყმაწვილობაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე სიმანჩინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჭიანჭველებს ემართებოდათ ტროპიკული სოკოვანი დაავადება, რის შედეგადაც მწერი კვდებოდა, ხოლო მკვდარი ჭიანჭველას თავიდან ობის სოკო იწყებდა გამოსვლას, პარაზიტი



იზრდებოდა გარკვეულ მანძილზე, სოკოს უჯრედებს ფანტავდა ირგვლივ და აინფიცირებდა სხვა ჭიანჭველებს.

ტულიო სიმანჩინის სიტყვებით, აი, ეს არის საშიშროება, რომელიც საშინელ დაავადებას იწვევს და ინსპირირებულია სხვა ტიპის კლასიფიკაციის ობის სოკოსგან. ეს არის კანდიდა სოკოს უკიდურესი პერვერსია. კანდიდა სოკო ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმშიც ბუდობს, თუმცა ძლიერი იმუნიტეტი, კანდიდა სოკოს, კონტროლქვეშ აქცევს, მაგრამ თუ ორგანიზმი სუსტდება (სტრესების, არაჯანსაღი საკვებისა და არანორმირებული შრომის შედეგად), სოკო ავთვისებიან სიმსივნედ გადაიქცევა.

პრობლემა ისაა, რომ კანდიდოზის განკურნება დღესდღეობით ძნელია სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებით.

კანდიდა სოკო სწრაფად განიცდის მუტაციას, არ ემორჩილება მკურნალობას, მეტიც, მკურნალობისას სამედიცინო პრეპარატებით კვებასაც იწყებს. თუმცა აღმოჩნდა, რომ სოკო ვერ უძლებს ნატრიუმის სულფატის ზემოქმედებას, ეს კი იგივეა, რაც ჩვეულებრივი საჭმელი სოდა.

იმის ნაცვლად, რომ დაწყებულიყო ორგანიზებული კვლევები, მედიით დაიწყო სიმანჩინის სახელის დისკრედიტაცია. შემდეგ ის სამი წლით ციხეში ჩასვეს, თითქოს ექსპერიმენტებს ატარებდა და პაციენტებს ხოცავდა. ეს მაშინ, როცა 9 მლრდ. ადამიანი ტანჯვით უღუპება თანამედროვე მედიკამენტოზური მკურნალობის შედეგად.

სიმანჩინი ვერ შეაშინეს.

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მან კვლავ განაგრძო კვლევა...

ირკვევა, რომ ყოველწლიურად მიმდინარეობს გეგმაზომიერი მოქმედებები მოსახლეობის იმუნიტეტის დაქვეითების თვალსაზრისით, ეს არის საკვები, საკვებდანამატები, პესტიციდები, ჰერბიციდები, დაბინძურებული ჰაერი და წყალი.

**ჯანმო-მ აუცილებელ ღონისძიებად დაასახელა აცრები ორ წლამდე ბავშვებისთვის, რომელთა იმუნიტეტი სწორედ იმ პერიოდში ყალიბდება.** ცნობილია, რომ ბავშვები ინვალიდდებიან, ან კვდებიან ვაქცინაციის შემდეგ.

როგორც „მაიკროფსოფტის“ დამფუძნებელმა **ბილ გეიტსმა** ახლახან განაცხადა: **დედამიწის მოსახლეობამ 9 მილიარდს მიაღწია და თუ ჩვენ ახლა კარგად ვიმუშავებთ ახალ ვაქცინებზე, მოსახლეობის რაოდენობა 10-15 %-ით შემცირდებაო**.

ამ მიმართულების გასამყარებლად დაიწყო მოზარდების მასობრივი ვაქცინაცია ნიკარაგუაში, მექსიკასა და ფილიპინებზე 1990 წელს.

კვლევებმა დაადასტურა, რომ ვაქცინაში არის შემადგენლობა, რომელიც აფერხებს დაორსულების შესაძლებლობას მოზარდ გოგონებში.



გრაფი დრაკულა

არ დაგვავიწყდეს, „ნაცმოძრაობის“ მმართველობის ბოლო პერიოდში პირველი ლედის ე. წ. „წყეული ლედის“ სანდრა რულოვსის ინიციატივით აგორებული ვაქცინაციის კამპანია, როცა ყველა მოზარდი გოგონას აცრა სავალდებულო იყო.

მსგავსი ტიპის ღონისძიებების თანხები ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში იგზავნება. ვინ ითვისებდა ამ თანხებს, თუ არა მედ-ფერშალი სანდრა რულოვსი?!

არანაკლებ საშიშროებად მიიჩნევა გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები. ისინი პირდაპირ ებრძვიან იმუნიტეტს, იწვევენ ონკოლოგიურ დაავადებებს, უნაყოფობას. ამას უკვე ამტკიცებენ მეცნიერები, რომელთათვისაც პროფესია მხოლოდ ფულის შოვნის საშუალება არაა. საქართველოში კი სააკაშვილის მმართველობისას გაუქმდა სურსათის კონტროლის სააგენტო.

სექტემბერში, 2012 წელს, აშშ-ში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც თავზეხელაღებულმა ანგლოსაქსურმა ელიტამ მოითხოვა იურიდიული აღიარება გენმოდიფიცირებული პროდუქტების უვნებლობის შესახებ.

საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც მსოფლიო ელიტის მიერ არის შექმნილი, ყველგან აღწევს, განათლებიდან დაწყებული და ვაქცინაციიდან დაავადებათა მკურნალობამდე.

სხვათა შორის, ჰომოსექსუალიზმი საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში ჯდება!

საერთაშორისო სტანდარტები კვებავს დასავლეთის ელიტურ ოჯახებს, როგორც უწოდებენ „შავ არისტოკრატიას“, რომლებიც მსოფლიოს მართავენ.

* * *

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბრიტანელი მონარქების დინასტია და მასთან ერთად მსხვილ ბანკირთა შთამომავლობა, რომლებიც გავლენას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაზე, დაკავშირებულნი არიან ნათესაური კავშირებით.

**უინძორები, როტშილდები, როკფელერები, მორგანები, ააენჰაიმერები, კლინტონები, ბუშები** და სხვა გავლენიანი კლანები, პრაქტიკულად, ერთი ოჯახია.

გენეტიკოსთა მტკიცებით, ე. წ. „შავი არისტოკრატიის“ წარმომადგენლები შთამომავლები არიან ახლოაღმოსავლეთის მაცხოვრებლებისა. ესენი ძველი ქალდეველები არიან, რომლებიც მოვიდნენ ეგვიპტეში, საიდანაც განდევნეს. ბევრს ეცადა მოსე მათ მოქცევას, მაგრამ მათ შექმნეს თავიანთი ოჯახი, გაერთიანება და დღემდე ცდილობენ ხელთ იპყრან მსოფლიო ძალაუფლება.

1966 წელს ცენტრალურ მექსიკაში სენსაციური აღმოჩენა მოხდა. აშშ-ის ცენტრალური გეოლოგიური კვლევის ექსპერტებმა აღმოაჩინეს უძველესი იარაღი, რომელიც ყოველგვარი ლოგიკის დაცვით, აქ საერთოდ არ უნდა ყოფილიყო. იარაღის სავარაუდო ასაკი 250 000 წელია. რაც ნიშნავს, რომ ის 250 000 წლით



მექსიკა, დრაკონისა და ადამიანის შეჯვარება

გვიანდელია, ვიდრე ამ ტერიტორიაზე ადამიანის გამოჩენის თარიღია.

მაკენტაიერს, რომელიც კვლევას ხელმძღვანელობდა, სამსახურიდან გათავისუფლება დაემუქრა, მისი კარიერა მთლიანად განადგურდა, რადგან ის არ დასთანხმდა ისტორიის და თარიღების ფალსიფიკაციას.

რატომ იყო მაკენტაიერის აღმოჩენა საფრთხე ე. წ. „შავი არისტოკრატიისთვის“?!

ერთ-ერთი ვერსიით, ამ ოჯახის უძველესი წარმომადგენლები ე. წ. **დრაკონთა რასის** შთამომავლები არიან.

თუმცა მაკენტაიერის აღმოჩენამდე 22 წლით ადრე, ცენტრალურ მექსიკაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილი იქნა ასობით უძველესი ქანდაკება. ფიგურები შესანიშნავად იყო შენახული, ისინი გამოხატავდნენ როგორც სხვადასხვა რასის ადამიანებს, ასევე დინოზავრებს. როგორც აღმოჩნდა, ადამიანები და დინოზავრები თანაცხოვრობდნენ 200 მლნ წლის წინათ, მეზოზოურ ერაში და უკანასკნელი დინოზავრები განადგურდნენ არა 60 მლნ წლის წინათ, როგორც ოფიციალური მეცნიერება ირწმუნება, არამედ სულ რაღაც რამდენიმე ასეული წლის წინათ!

შუა საუკუნეებამდე დრაკონები დედამიწაზე იმყოფებოდნენ. მათი არსებობის ნაკვალევი შემორჩენილია. ოღონდ ე. წ. „დრაკონული ცივილიზაცია“ სხვა მიმართულებით განვითარდა, რასაც სამეცნიერო ენაზე გენეტიკური დივერსია ეწოდება.

მექსიკაში აღმოჩენილი ქანდაკებების მიხედვით, ადამიანთა და დინოზავრების დამოკიდებულება მრავალფეროვანია.

ერთ-ერთი გამოსახულების თანახმად, ადამიანი მოზრდილ ხვლიკს იყენებს, როგორც გადაადგილების საშუალებას, სხვა შემთხვევაში, გამოსახულება გვიჩვენებს ადამიანების და ხვლიკების ბრძოლას, მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი მინიატურული კომპოზიციებია, რომელიც ხვლიკების (დინოზავრების, გველეშაპების) დაწყვილებას გამოხატავს ქალებთან და მათ შთამომავლებს კუდით.

გაიხსენეთ, ფიზიოლოგიურ მეცნიერებაში იშვიათ შემთხვევებზე, როცა ე. წ. კუდიანი ახალშობილების დაბადება ჩვეულებრივ ანომალიად ითვლებოდა.

ილუმინატები ამ აღმოჩენებს მკვეთრად შეეწინააღმდეგენ ჯერ კიდევ მაშინ, 1940-იან წლებში და მერეც 60-იანი წლების უნიკალური აღმოჩენებიც სასტიკად გაასაიდუმლოეს.

ისტორიული მეცნიერება ამტკიცებს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბაბილონში გამოჩნდა უცნობი არაადამიანური რასა, რომლებიც შემდეგ შეჯვარდნენ ჩვეულებრივ ადამიანებთან და აღმოცენდა ახალი ადამიანური ხაზი, რომლებმაც შექმნეს მონარქიული მმართველობის სისტემა და ხელთ იპყრეს ძალაუფლების მართვის ბერკეტები.

ამ შეჯვარების შედეგად დაიბადნენ ე. წ. მეფე-გველეშაპები, რომლებიც თავს ნახევარ-ღმერთებს უწოდებდნენ, რასაც გარეგნულად ადამიანსა და რეპტილიას შორის მყოფი არსების სახე ჰქონდა.

მათ ეგვიპტეში დრაკონთა სამეფო სასახლე დააფუძნეს და დაიწყეს გავრცელება მთელ მსოფლიოში.

200 წლის წინათ საფრანგეთის სამეფო დინასტიას ჩაუდგნენ სათავეში და ნელ-ნელა ხელში ჩაიგდეს მთელი მსოფლიოს სამეფო გვირგვინები.

რადგან ჩვენი წერილის თემა დღეს არ არის სამეფო დინასტიები, ამიტომ დეტალურად აღარ მოვყვები, უბრალოდ, ყურადღება მიაქციეთ რუსეთის მართლმადიდებელი დინასტიის ამოხოცვას 1917 წლის რევოლუციის დროს, როცა ებრაელი მასონების მიერ დაფინანსებულმა და ინსპირირებულმა ოქტომბრის სისხლიანმა რევოლუციამ მოსპო და გაანადგურა რუსეთის მართლმადიდებელი მონარქის ოჯახი, მიწასთან გაასწორა მართლმადიდებლური რუსული სახელმწიფო, დაიწყო ჭეშმარიტი სარწმუნოების დევნა არა მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე, არამედ მის შემადგენლობაში არსებულ ქვეყნებშიც. წითელი ტერორის ფონზე ანგრევდნენ ქართულ ეკლესია-მონასტრებს, ხოცავდნენ ხალხს...

მსოფლიოს მონარქიების ხელში ჩაგდება თავისთავად ნიშნავდა არა მხოლოდ ადამიანებზე ძალაუფლების მოპოვებას, არამედ ფინანსური ძალაუფლების პყრობას. საუკუნეების განმავლობაში ქვეყნების უმაღლესი მმართველები იყვნენ თვითონ, ხოლო პრემიერ-მინისტრები, მინისტრები, სარდლები და ა.შ. მათ მარიონეტებად ითვლებოდნენ და ითვლებიან.

როგორც ცნობილია, „შავი არისტოკრატების“ ძარღვებში ცისფერი სისხლი ჩქეფს. ამას ისინი არც არასდროს მალავდნენ, რადგან ეს იშვიათობა, თითქოსდა მათ არისტოკრატიზმს უსვამდნენ ხაზს.

მეცნიერული თვალსაზრისით, სისხლში ცისფერ შეფერილობას იონების ჭარბი რაოდენობა განსაზღვრავს, ისე, როგორიც ეს რეპტილიებს აქვთ...

ისინიც ცისფერსისხლიანები არიან...

მაგრამ არის კიდევ ერთი თავისებურება, რაც მათი ოჯახური გენეტიკის იშვიათობას წარმოადგენს. მეცნიერ-მკვლევართა მტკიცებით, მათ ატროფირებული აქვთ წამებისა და განადგურებისას ადამიანთა შეცოდების უნარი. მათ საერთოდ არ გააჩნიათ არავითარი ემპათია სხვა ადამიანის ემოციონალური მდგომარეობის დროს. არ აქვთ არავითარი შეზღუდვა, მათთვის ყველაფერი დასაშვებია, რაც ჩვეულებრივი ადამიანისთვის მიუღებელია.

მაგალითად, ბაღდადის, ლიბიის ან სხვა ქვეყნების დაბომბვები, ომები, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის შემაძრწუნებელია, მათთვის ეს ნორმაა.

ისინი გეგმავენ მასობრივ მკვლელობებს, რადგან ცისფერსისხლიანებისთვის მოხუცებისა და ბავშვების სიკვდილს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

რამდენიმე დღის წინ სამეფო ოჯახის უკანასკნელ წარმომადგენელს, უინძორების შთამომავალს, **დიდი ბრიტანეთის დედოფალს ელიზაბეტს** იუბილე ჰქონდა.

მხოლოდ ისღა დარჩა ცოცხალი სამეფო ხაზიდან.

1689 წელს ინგლისის ტახტი უილიამ ორანელმა დაიკავა, რომელიც გრაფ დრაკულას შთამომავალი გახლდათ.

სწორედ **უილიამ ორანელის** სახელთანაა დაკავშირებული ევროპის ყველა სამეფო სახლი. მათი შთამომავალია დედოფალი ელიზაბეტი.

აშშ-ის პრეზიდენტების უმრავლესობა მის გენეტიკურ შთამომავლებად ითვლება.

ასევე როტშილდების ოჯახიც, როკფელერები და სხვა ცნობილი ოჯახების წარმომადგენლები, რომლებსაც წამყვანი პოსტები უკავიათ მსოფლიო მმართველობაში.

ეს ადამიანები, ეს ოჯახები, გარკვეული პოლიტიკური კლანების წევრობის გარდა, ძლიერ სექტანტურ ძალადაც ითვლებიან, რომლებსაც ჩვენ დემონებს, ეშმაკებს, სატანებს, ანდა ლუციფერს ვუწოდებთ. მისი ყველგანხილველი თვალი არის გამოსახული ამერიკულ დოლარზე.

მითოლოგიაში ამ არსებებს ანუნაქებს უწოდებენ, ანუ ციდან მოსულებს, სიბნელის მოციქულებს.

**ადამიანი-რეპტილიები ვერ იტანენ ჩვეულებრივ ადამიანებს. მათი განადგურებისთვის იგონებენ ათასგვარ იარაღებს, ახდენენ ომებს, რევოლუციებს, ქმნიან ფედერალურ სარეზერვო ბანკებს, რათა დოლართან დააკავშირონ ყველა ფულადი ერთეული, კონტროლქვეშ ჰყავდეთ მეცნიერება, მედიცინა, განათლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.**

ასე რომ, გლობალური რვაფეხას კლანჭებში ვართ მოქცეული და იმის ნაცვლად, რომ სააკაშვილის მადიდებელ ზოგიერთ ავანტიურისტს ზოგიერთ ბრიყვსა და ზოგიერთ ფულზე დახარბებულ სულით გამყიდველებს, თვალი აეხილოთ და აღიარონ „ნაცმოძრაობის“ მეგობრობა მსოფლიო აგრესიულ ძალებთან, კვლავ „ნაცმოძრაობის“ დაბრუნებას ელიან.

როგორ გგონიათ, ჯორჯ ბუში აქ მართლა ჩვენი კულტურის სანახავად და ხინკლის საჭმელად ჩამოვიდა? თავის თანამოაზრეს ეწვია. არც სოროსი სტუმრებია საქართველოს იავნანას მოსასმენად, არც ტრამპი დადის „უპრაგონოდ“ და არც მაკკეინი...

ჩვენ ყველანი თანამოაზრეებს და მეგობრებს ვსტუმრობთ ხოლმე, მტრებთან სტუმრად, როგორც წესი, არ დავდივართ... ისინი, მით უმეტეს.

მარადიული ბრძოლა კეთილსა და ბოროტს, სიბნელესა და სინათლეს, ცოდნასა და უმეცრებას შორის უმაღლეს ფაზაშია შესული.

ბნელი ძალები არიან ყველგან. გვიტევენ პრესიდან, ტელევიზიებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სამინისტროებიდან, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოებიდან.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ საფრთხის შესახებ – მოულოდნელობის ელდამ უფრო რომ არ დაგვფანტოს და გაგვანადგუროს.

სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ ამჯერად კვლავ ცნობილი ილუმინატის სიტყვებით დავამთავრებ, რომელიც მან ამერიკის წამყვანი პრესის წარმომადგენლებთან კონფიდენციალური შეხვედრისას წარმოსთქვა:

„ჩვენ მადლობელი ვართ „ვაშინგტონ პოსტის“, „ნიუ-იორკ თაიმსის“, ჟურნალ „თაიმის“ და სხვა გამოცემების, რომელთა რედაქტორებიც ჩვენს შეკრებებს ესწრებოდნენ და შეინარჩუნეს საიდუმლო აღთქმის ერთგულება 40 წლის განმავლობაში. ჩვენს გლობალურ გეგმებს ვერ განვახორციელებდით, პრესის განხილვის საგანი რომ ყოფილიყო ჩვენი საქმიანობა. ახლა კი დროა გადავიდეთ მსოფლიო მმართველობაზე“... – **დევიდ როკფელერი,** აშშ-ის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს წევრი.

**მომზადებულია https://www.youtube.com/watch?v=yvmhdBmEplw-ის მასალების მიხედვით**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



ბილ გეიტსი



ჯორჯ ბუში



დევიდ ოპენჰაიმერი



დევიდ როკფელერი



რიჩარდ ნიქსონი

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?




**(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი #15)**

ინგლისელი არქეოლოგის ლეონიდ ვულის მიერ აღმოჩენილი წარწერებით ქალდეურ ქალაქ ურში, რომელსაც ბიბლიაში „ერეხი“ ეწოდება, „მელქასდუკი“ (ანუ მელქისედეკი) იყო ურის მეფეც და ქალდეველთა უპირველესი ქალღვთაების „ნანა-ს“ ტაძრის უზენაესი ქურუმიც. (გავიხსენოთ ათონის მთის ბერძენი ბერების იბერიის ღვთისმშობლის ხატთან „ნანას“ საგალობლის შესრულების ტრადიციაც). ბიბლიაში „იბერი“ მოხსენიებულია მისი წინარე სახელით „ხალდეველით“, კოლხები – ფუტიელებით. ამ დასახელების სოფლები „ხალდეს“ და „ფუტიეთის“ სახით, დღემდე არსებობს ედენას თეოკულტურულ რეგიონში, რომელიც XIX საუკუნეში მიზანმიმართულად დაანგრია რუსულმა იმპერიულმა ინტერესმა.

კაზრეთში – აღმოჩნდა რომ ჯერ კიდევ 6 000 წლის წინათ ადნობდნენ ოქროს – დანადგარების მთელი სისტემაა...

სვანეთში, სოფელ ლახამში არქეოლოგებმა რკინის უძველეს საწარმოს მიაკვლიეს. ეს არის არა მცირე მოცულობის საწარმო, არამედ 60 ჰექტარზე გაშლილი მეტალურგიული ცენტრი, რომელიც ათასობით ქურასა თუ ლითონის ნარჩენს აერთიანებს და ჩვ. წ. აღ-მდე მე-8-მე-7 საუკუნეებით თარიღდება. როგორც არქეოლოგები ამბობენ, 28 საუკუნის წინათ ისეთი ტომები, რომლებიც რკინის ასე დამუშავებას შეძლებდნენ, თითზე ჩამოსათვლელად იქნებოდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ მასშტაბების რკინის ნაკეთობები მხოლოდ ამ რეგიონს არ დასჭირდებოდა, ანუ არსებობს ვარაუდი, რომ ეს იყო მსოფლიო მნიშვნელობის მეტალურგიული ცენტრი;

გერმანე გობეჯიშვილის არქეოლოგიურმა გათხრებმა ბრილში (რაჭა), აჩვენა ის კავშირები, რომელიც არსებობდა ძველ ეგვიპტესა და ძველ კოლხეთს (საქართველო) შორის. არტეფაქტები იმასაც ადასტურებენ, რასაც ედენას თეოკულტურული ფუნქცია, რომ მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის თეოსაცავი აქ მდებარეობს. ედენას თეომისტიკურ არეალს ძველი ეგვიპტელები „ფუნტის“ ანუ „ღმერთების ქვეყანას“ უწოდებდნენ, შუამდინარელები კი „ცოცხალი კაცის ქვეყანას“ – ასეთი თეომისტიკური ეპითეტები შემთხვევითი რომ არ იქნება, ამის ეჭვი კიდევ უფრო გაგვიძლიერდება რაც უფრო წავიწევით წარსულისკენ.

მრავალი ფაქტია, რომ ძველი მსოფლიო ასე ჩაკეტილი არ იყო, პირიქით, „რაღაცნაირი“ ჩქაროსნული მიმოსვლაც კი ჰქონდათ თითქოს. ბრილის გათხრების დროს ეგვიპტური სკარაბეები, 12-კილოიანი შუშის მძივები და სანელებლები რომ ნახეს, რა უნდოდა რაჭაში ეგვიპტურ ნივთებს? როგორც ჩანს, კავშირები იყო წარმოუდგენლად დიდი. რაჭაში საბადოებია: სპილენძი, მოლიბდენი, ოქრო, ვერცხლი, რკინა – თითქმის ყველაფერია. რაჭველ მამაკაცებს „რკინის კაცები“ შემთხვევით არ ერქვათ. XIX საუკუნეშიც კი, საგულდაგულოდ ინახავდნენ რაჭული სოფლები მადნის გამოდნობის ტექნოლოგიის საიდუმლოს. რაჭა-ლეჩხუმი ძალიან უცნაური და საინტერესოა, მაგრამ შეუსწავლელი, შემთხვევით მონაპოვრებზეა დამოკიდებული. მაგალითად, დღნორისას განძი ცნობილია, იქვეა, დერჩის თავზე, სადაც უამრავი კოლხური თეთრია ნაპოვნი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი ცენტრი იყო იქაც ოდესღაც...

სტრაბონი ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ მეტალურგიისა და მჭედლობის მფარველი ღვთაებები – კორიბანტები (კირბანტები), ჰელიოსის (მზის) ვაჟიშვილები და კოლხეთის მეფის, აიეტის ნახევარძმები კრეტაზე, ევბეაზე, სამოთრაკეზე, ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებსა და ფრიგიაში კოლხეთიდან იყვნენ მისულები;

წმ. კლიმენტ ალექსანდრიელი უძველესი წყაროების მიხედვით, წერს, რომ ქურუმ-ღვთაებებმა – დაქტილებმა შექმნეს დამწერლობა და აღმოაჩინეს მუსიკის რიტმი (ზოგიერთი მითის მიხედვით, მათ ჩაუყარეს საფუძველი არითმეტიკასაც). დაქტილებს მიეწერებათ ბრინჯაოს გამოდნობა, რკინის აღმოჩენა და დამუშავება;

თეოპომპე ქიოსელის, თეოფრასტე ერესოსელის, აპოლოდორე ათენელის, წმ. ფოტიოსისა და სვიდას ლექსიკონის ცნობათა მიხედვით, კორიბანტებს კირბების საკრალური, სასულიერო სახის წარწერების შექმნა მიეწერებათ;

კრატინეს, ლისიას, პლატონის, ნონუსის, აგათა სქოლასტიკოსის, არისტოტელეს, ტიმეოსის, აპოლონიოს როდოსელის, ძენობიოსის, კომეტას ხარტულარიოსისა და სხვათა ცნობების მიხედვით, ეს საკრალური წარწერები სრულდებოდა თიხის ან სპილენძის ფირფიტებზე, ხის დაფებზე, სტელებსა და სვეტებზე.

ძველი ბერძნული წყაროებიდან ასევე ცნობილია, რომ პელასგ-კოლხთა დედა-ღვთაების რეა-კიბელეს (ფასიანეს) ქურუმებს, კორიბანტებს, ძველთაგანვე ჰქონდათ დამწერლობა რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ. ხარაქს პეგამონიელი ამ დამწერლობას „ხრისოგრაფიას“, ანუ „ოქროდამწერლობას“ (ოქროთი წერას) უწოდებდა. ამ ცნობას იმოწმებს წმ. ევსტათიოს თესალონიკიელი „ოქროს საწმისის“ განმარტებისას და წერს „ოქროდამწერლობის“ მეთოდის გამო „არგოს“ ლაშქრობა მოეწყოო...“

გია კვაშილავას სამეცნიერო კვლევებით მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები: 1. ძვ. წ VI-III ათასწლეულებში ხმელთაშუაზღვისპირეთის, პელოპონესის ანუ პელასგიის ნახევარკუნძულის, ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების, მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის უძველესი ადგილობრივი მოსახლეობა იყო პროტოქართველური (სამხრეთკავკასიური) მოსახლეობა, სანამ ამ ადგილებში ინდოევროპული ტომების (მაგ, ბერძნების) მიგრაცია დაიწყებოდა. ძვ.წ XX-XV საუკუნეებში ამ არეალში ისევ დომინანტობს პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურა და ენა, სანამ გავრცელდებოდა ინდოევროპული (მაგ, ბერძნული) კულტურა და ენა;

2. პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურის უძველესი წერითი ნიმუშების, კირბების – ფესტოსისი დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ლინგვისტურ-ფილოლოგიური და ისტორიულ-ტიპოლოგიური შესწავლა ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა კონტაქტები პროტოქართველურ, პროტოინდო-ევროპულ და პროტოქამიტურ-სემიტურ ენებსა და კულტურებს შორის. ამ მასალით შესაძლებელი ხდება უფრო ზუსტად განისაზღვროს საერთოქართველური ენის გავრცელების ტერიტორია;

3. საერთოქართველურმა ენამ შექმნა მნიშვნელოვანი სუბსტრატი ბერძნული დიალექტებისთვის როდესაც ძველბერძნებმა დალაშქრეს პელოპონესის ანუ პელასგიის ნახევარკუნძული. დასტურდება, რომ ბერძნულში გაურკვეველი ეტიმოლოგიის ტოპონიმები საერთოქართველური წარმოშობისაა;

4. ფესტოს დისკოსა და A კლასის ხაზოვან ტექსტებში დასტურდება თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ შედარებითი და შინაგანი კონსტრუქციის გზით აღდგენილი საერთოქართველური ენობრივი სისტემის სტრუქტურული მოდელები;

5. ფესტოს დისკოსა და A კლასის ხაზოვანი საერთოქართველური ტექსტების ლინგვისტური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, რელიგიური, სასოფლო-სამეურნეო და არიტმეტიკული მასალისა და მრავალი არქეოლოგიური არტეფაქტის შესწავლით ირკვევა, რომ პელასგ-კოლხების (მინოსელების) მიერ შექმნილი ორმოცი საუკუნის წინანდელი საერთო ქართველური კულტურა იყო საძირკველი პროტობერძნული ცივილიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ევროპულ ცივილიზაციას.

თუ ერის ერთიანობას განსაზღვრავს ხალხის ისტორიული მეხსიერება, მსოფლიოს ბევრ ხალხს შემორჩა კოლხეთის სამეფოს ეპოქიდან ბევრი რამ, რაც მხოლოდ კოლხურია და რატომ არ ვთქვათ ხმამაღლა, რომ მსოფლიო ცივილიზაციის სათავე მართლაც კოლხეთია?!

ჰოლანდიელმა ენათმეცნიერმა იოჰანეს ფურნიემ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე 5 000 პროტოქრთული ანუ კოლხური სიტყვა იპოვა, რომლებიც სხვადასხვა ენებშია შესული, მაგალითად, ბერძნულში, იტალიურში, ჩრდილოეთ ეგვიპტურში...

1908 წლიდან, მას შემდეგ, რაც კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოში არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ თიხის დისკო აღმოაჩინა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერმა, მსოფლიოს 36 ენაზე სცადეს მისი ამოკითხვა, მაგრამ ამაოდ. მეცნიერთაგან მხოლოდ ერთი, ავსტრიელი მკვლევარი წარმოთქვამდა ჰიპოთეზას, რომ შესაძლებელი იყო დისკო ღმერთების ენაზე, იბერიულად ყოფილიყო დაწერილი



ფესტოსის დისკოს A და B მხარეები

(„ღმერთები ენა“ რატომ ჰქვია, ამაზე ვარაუდები მოგვიანობით შევიტყოთ). და აი, 100 წლის შემდეგ დისკო ამოიკითხა იმ ხალხის შთამომავალმა, რომლებიც „ღმერთების ენაზე“, ძველკოლხურად მეტყველებდნენ.

რაც შეეხება „ფესტოს დისკოს“ წარმომავლობას. თიხის შემცველობა შემოწმებულია და დადასტურებულია, რომ იგი ფრიგიიდან არის წაღებული – თიხა ფრიგიულია. ფრიგია კოლხ-მესხთა ქვეყანა იყო. დედა-ღვთაება, ნანა, იგივე რეა-კიბელე, ფრიგიული ღვთაებაა. მხატვრები, ზოგჯერ, მედეასაც ფრიგიული ქუდით ხატავდნენ. ფრიგია ძველი კოლხეთის ერთ-ერთი კუთხე იყო. ერთი ცივილიზაცია ჰქონდა დღევანდელ სამეგრელოს, გურიას, ლაზეთს, მთელ თურქეთის ტერიტორიას, ჩრდილოეთ ეგვიპტეს, კრეტის ხალხებს (ბერძნებს)... ისიც დამტკიცებულია, რომ მეფე აიეტს თესალიის (დღეს საბერძნეთის) ტერიტორიაზე ჰქონდა სამეფო და შემდეგ გადმოიტანა კოლხეთში...

აღსანიშნავია, რომ დისკოზე დაწერილს თავის დროზეც ვერ წაიკითხავდა ყველა, რადგან იგი დაწერილია ქურუმების, იგივე საღვთო დამწერლობით, „ღმერთის ენით“, რადგან მასში განსაკუთრებული საიდუმლოებანი იმალებოდა.

მაგალითად, დისკოზე არის ამოკითხული წარწერა „ჰქმენით დაფარული ტაძარი“, „გარდაქმენით აიას სიცოცხლე ყველანაირად“, „დედის ქვეყანა მუდამ დაფარეთ“ და ა.შ – რაც დღესაც სიდუმლოა. „ჩხოფაი ორონე ნანა“ – „გასხივოსნებული დედა-ღმერთი“...

„დედის ქვეყანა“ კოლხეთია, მაგრამ ვისი დედის? ან რა უნდა იყოს მუდამ დაფარული „დედის ქვეყანაში“, კოლხეთში, ანუ საქართველოში, რა საიდუმლო იცოდნენ „ღმერთის ენის“ მცოდნე ძველმა კოლხმა ქურუმებმა? (რატომ იწოდება იბერია ღვთისმშობლის წილხვედრად; ქართველები – განსაკუთრებულ ხალხად; ქართული ენა – ღმერთის ენად, იქნებ როგორმე მივიდეთ კიდეც ამის ახსნამდე?)

G გია კვაშილავა: – „ეს ამბები ქრისტიანობამდე 1800 წლის წინანდელია, საოცარია, როგორ შეიქმნა დედა-ღვთაებაზე ამდენი საგალობელი? იოანე ზოსიმეს სიტყვები „დამარხულ არს ენაი ქართული... და ამას ენასა სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან“... „ოთხი დღისა მკვდარი...“ და ა.შ და როგორც დავით წინასწარმეტყველმა თქვა: – „ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“ – შემიძლია, სხვა საინტერესო და მნიშვნელოვან დამთხვევებზეც ვისაუბრო, მაგრამ არ არის ამის დრო. ყველაფერი რომ ვთქვა, ხალხს ზღაპარი ეგონება, არადა, ზღაპარი კი არა, რეალურია ყველაფერი. მსოფლიომ ამის შესახებ უკვე იცის. ეს არის საოცარი რამ არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის, მაგრამ ქართველები რატომღაც ძალიან გულგრილად ვეკიდებით ასეთ აღმოჩენებს...“

თუ დისკოზე დაწერილს თავის დროზეც ვერ წაიკითხავდა ყველა, რადგან იგი დაწერილია ქურუმების, იგივე საღვთო დამწერლობით, რადგან მასში განსაკუთრებული საიდუმლოებანი იმალებოდა, მაშასადამე, რაღაც, ზემნიშვნელოვანს მალავდა – ლოგიკურად, ასეა. მითუმეტეს, რომ ბატონი კვაშილავაც აღნიშნავს, ყველაფრის თქმის დრო არ დამდგარა, ხალხს ზღაპარი ეგონებაო...

„ზღაპარი“ კი რა არის? იოანეზოსიმეს „გადმოჩხიბნულ“ ტექსტს გამიზნულად ავუაროთ გვერდი და მხოლოდ ის გავიმეოროთ, რაც არა ერთხელ იქნა გამეორებული „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად რაითა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამითა ენითა. და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე, და სახარებას შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.“

ზღაპარი – რას შეიძლება საკუთარ თავშივე მოიცავდეს ეს ერთი სიტყვა?

ყოველგვარ ლექსიკონებს რომ ავუაროთ გვერდი და იოანე ზოსიმეს მივყვეთ, თვით სიტყვაში ვეძიოთ მისი ჭეშმარიტი არსი და სიტყვა „ზღაპარი“ ორ ნაწილად გაიყოს, „ზღა“ და „პარი“, რას მივიღებთ? „ზღა“ ძნელი ამოსახსნელი თითქოსდა არ უნდა იყოს, მაგრამ საქმე გააძნელა მისმა ახლობელმა „ზღო-მ“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ზღა“ და ზღო“ არ არის განხილული, იქ არის „ზღავ-ს“ – საფასურს, სანაცვლოს გადაიხდის (ზარალისას ან დანახარჯისას). ასევეა სულხან-საბას განმარტებაც – „ზღვევინება – საზღაურის მიცემა (ზღუვნება)“.

დავუკვირდეთ, თუ წერილობით გვაქვს „აზღვევინებს“, ეს ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს მატერიალური თვალსაზრისით, ხოლო თუ გვაქვს „აზღვევინებს“, მაშინ საქმე ეხება სულიერ ანაზღაურებას. უფრო გასაგები რომ გახდეს, მაგალითად – „მე-მ“ „მას“ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც „მე-ს“ მოუწია ბოდიშის მოხდა, ეს ნიშნავს, რომ „მე-მ“ ზღა. (ამავე აზრისაა – მან ის დააბე-ზღა, მან მე დამაბე-ზღა და ა.შ)

„პარი“ (სულხან-საბას ლექსიკონი) – „პირველივით ითქმის“, ანუ როგორც თავდაპირველად იყოო. კვლავ შევაერთოთ გაყოფილი სიტყვა, მივიღებთ სიტყვას, „ზღაპარს“, რომელიც გვეუბნება, რომ გვიყვება იმას, რაც პირველად იყო, დღეს კი დაფარულია, ანუ აღიარებაა იმისა, რაც პირველადია, თვითონ კი – თხობა, პირველივითაა, პირველს მიმსგავსებულია და „იქიდან“ მოდის, „იმ“ პირველიდან..

რადგან „დედის ქვეყანა“ ახსენა ბატონმა კვაშილავამ, ერთი განსხვავებული, „მამის“ რუკის შესახებ ვთქვათ. ეს არის 1710 წლის ჰენსელიუსის რუკა, რომელიც ინახება პარიზში და სრულიად კავკასიას აწერია „Iberi - Georgica – „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი...“

მხოლოდ ერთი რამ აღვნიშნოთ – იესო ქრისტე ერთადერთი ღმერთია რომელმაც თვით განაცხადა რომ ღმერთია და მის გარდა არავის გამოუთქვამს „პრეტენზია“ მსოფლიო მხსნელობაზე. რატომ აღმოჩნდა აღნიშნულ რუკაზე მაინც და მაინც კავკასიაზე „მამაო ჩვენო“, თანამედროვე ვარაუდებზე უკეთ მის შემქმნელს ეცოდინებოდა, ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, რომ როგორც ათასწლეულებითა და როგორც გაყალბებული მსოფლიო ისტორიით დაფარული კვალი (უპირველესად გაყალბებული ძველი კოლხური ცივილიზაციის ისტორიის) როდესღაც სრულად გამოჩნდება.

ვისაც თურქული სერიალი „დიდებული საუკუნე“ აქვს ნანახი, აუცილებლად ემახსოვრება ფაშა, ადმირალი პირის (ხიზირ) რეისი (ჰაჯი მუჰიდინ პირი იბნ ჰაჯი მეჰმედ, „რეისი“ – ადმირალის წოდებაა), რომელიც თავდაპირველად მეკობრე იყო, შემდეგ ჩადგა სულთან სულეიმანის სამსახურში. (ფილმში მას რუსტემ ფაშა წამლავს თაფლით, მაგრამ რეალურად 90 წელი იცოცხლა და სრულიად ჯანმრთელი კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებდა სულთანს რომ თავი არ მოეკვეთა მისთვის 1554 წელს, არავინ იცის. სხვათაშორის, ასეთ ასაკამდე მიღწევა იშვიათობა იყო იმ ეპოქისთვის).

1929 წელს, როდესაც თოფქაფის სასახლე მუზეუმად გადაკეთდა და გადაიხედა სამუზეუმო ექსპონატები, ვიღაცის მახვილმა თვალმა შენიშნა, რომ ადმირალის მიერ 1513 წელს შედგენილ ერთ-ერთ რუკაზე (იგი მოყვარული კარტოგრაფიც იყო) გამოსახული იყო ამერიკის ორივე კონტინენტი და ანტარქტიდა, მატერიკის დღესდღეისობით ყინულით დაფარული ნაწილი. ეს არის პირველი ცნობილი თანამედროვე უტყუარი რუკა. რუკაზე უკიდურესი სიზუსტით და დაწვრილებით არის აღნიშნული ხმელთაშია ზღვის მნიშვნელოვანი ქალაქებისა და პორტების სანავიგაციო სქემები; ასევე უდიდესი სიზუსტით მოცემულია აფრიკისა და დასავლეთ ევროპის სანაპირო ზოლი. რუკაზეა ბრაზილიის სანაპირო და მთლიანად სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ ოკეანეა. რუკა შეიცავს ატლანტის ოკეანის კუნძულებს აზორის კუნძულებისა და კანარის კუნძულების ჩათვლით; მდინარე ამაზონი, ანდები, ფოლკლენდის კუნძულები, ვენესუელის ყურე...

ნავიგაციის კუთხით იმდენად ზუსტად არის შესრულებული „პირისის რუკა“, რომ ათეულობით წლობის შემდეგაც კი შეუძლებელი ჩანს პროპორციების დაცვა. (ზოგადად, პირველ რუკად ითვლება ხუან დე ლა კოსას რუკა რომელიც მადრიდის სამხედრო-საზღვაო მუზეუმში ინახება)

მეცნიერები დღემდე ვერაფრით ხსნიან, საიდან უნდა სცოდნოდა მეკობრე ადმირალს (ან ვინმე სხვას) განვლილ ეპოქებში და უკვე მისი სახით მე-16 საუკუნის დასაწყისში ის, რაც არავის და არანაირად არ შეიძლებოდა სცოდნოდა. კოლუმბის ამერიკის კონტინენტზე გამგზავრებიდან მხოლოდ 21 წელი იყო გასული, ანტარქტიდა კი, სულაც სამი საუკუნის შემდეგ 1820 წელს იქნა აღმოჩენილი.

საქმე რაშია – როგორც დღეს, ისე 10 000 წელია, სამხრეთ ამერიკის კონტინენტსა და ანტარქტიდას შორის 1000 კმ-იანი წყლის გამყოფი ზოლია, ადმირალის რუკაზე კი მატერიკებს შორის ხმელეთია გამოსახული. მართლაც, 10 000 წლის წინ ანტარქტიდა არ იყო ყინულოვანი საფარველით მოცული და მართლაც უკავშირდებოდა სამხრეთ ამერიკას ხმელეთით!

1953 წელს რუკის ასლი გადააგზავნეს აშშ-ის საზღვაო ფლოტის ჰიდროგრაფიულ ბიუროში, სადაც შეამოწმეს რუკის სიზუსტე და უარესი თავსატეხი გაჩნდა, რუკა ზედმიწევნით ემთხვევა თანამედროვე რუკას. კიდევ უფრო მეტი თავსატეხი გააჩინა იმან, რომ ასეთი სიზუსტისთვის აეროგადაღებაა საჭირო, სხვაგვარად, უბრალოდ, წარმოუდგენლად შეუძლებელია, პირველი აეროგადაღება კი, დაფიქსირდა მხოლოდ 1858 წელს დიდი ფრანგი გამომგონებლისა და „ფოტომემატიანეს“ სახელით ცნობილი გასპარ ფელიქს ტურნაშონის (ფსევდონიმით „ნადარი“) მიერ. მან პირველი აეროფოტო საჰაერო ბურთიდან გადაუღო პარიზს.

ამერიკელი სამხედროების დასკვნა რეისის რუკაზე: – „რუკის ქვედა ნაწილში გამოსახული გეოგრაფიული ელემენტები საგრძნობ მსგავსებას ამჟღავნებენ 1959 წლის შვედურ-ბრიტანული ექსპედიციის მიერ გაკეთებულ, ყინულოვანი საფარველის ქვეშ მყოფ გეოლოგიური რელიეფის სეისმოლოგიური სკანერების მონაცემებთან. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სანაპიროს კარტოგრაფირება მოხდა მანამ, სანამ ის ყინულით დაიფარებოდა. ყინულის სისქე ამ რეგიონში ამჟამად ერთ მილს შეადგენს.

ჩვენ არ გვაქვს იდეები იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება რუკაზე ასახული მონაცემების კორელაცია 1513 წლის გეოგრაფიული ცოდნის სავარაუდო დონესთან. ჰაროლდ ზ. ოლმეერი აშშ-ის საჰაერო სამხედრო ძალების სარდალი.“

კიდევ უფრო საკვირველი – ადმირალი რეისი წერს, რომ ამ რუკის შესადგენად მან რამდენიმე რუკა გამოიყენა, მათ შორის ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის რუკები (რომლებიც, სავარაუდოდ, ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ინახებოდა და იმ დროს ეგვიპტე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო). ადმირალი ახსენებს „კოლუმბის რუკასაც“, მაგრამ არა კოლუმბის მიერ შედგენილს, არამედ რუკას, რომელსაც კოლუმბი იყენებდა როდესაც ამერიკის აღმოსაჩენად გაემგზავრა. ადმირალის ჩანაწერების გარდა „კოლუმბის რუკის“ არსებობა არანაირად არ მტკიცდება.

განსაკუთრებული გაუგებრობისა და აქედან გამომდინარე, კამათის მიზეზი რეისის რუკაზე გამოსახული ანტარქტიდაა, რადგან მისი გამოსახულება გასაოცრად ემთხვევა თანამედროვე ტექნოლოგიებით კოსმოსიდან გადაღებულ სურათს.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: ვის შეეძლო ასეთი რუკის შექმნა?

პასუხი მხოლოდ ვერსიის დონეზე გაიცემა – თურქი ადმირალის რუკას საფუძვლად უდევს წინარეისტორიული ეპოქის ცივილიზაციების რუკები, თუმცა სადამდეც ისტორია წვდება, ვერაფერს იძლევა ათასწლეულების გადასახედი. ვთქვათ, თვით ალექსანდრე მაკედონელს (ან სხვას) საიდანღა შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე ისეთი რუკა, რომელიც ციდან იქნებოდა გადაღებული და მასზე ისეთი კონტინენტები იქნებოდა დატანებული, რომლის წარმოდგენა ყველაზე თამამ ფანტაზიებშიც კი წარმოუდგენელი იყო იმ დროს? სავარაუდო პასუხიც ერთია – „ციდან დაშვებულებისგან“ („აუნაკის“ „ანუნაკის“) უნდა ჰქონოდათ...

ჯერ კიდევ აპოლონიოს როდოსელი წერს: – „... კოლხებმა შემოინახეს თავიანთ მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირბებზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს, მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი... კირბები იყო ფირფიტები და მათ კოლხები იყენებდნენ“.



რეისის რუკა

ადმირალ პირისის რუკა თოფქაფის სასახლის მუზეუმშია დაცული და თურქულ ათ ლირაზე გამოსახეს...

რაც შეეხება საუბარს იდუმალებით მოცული ანტარქტიდის შესახებ, „ციდან დაშვებულებზე“ და სხვა წამოჭრილ კითხვებზე, რაც ძველ კოლხურ ცივილიზაციასთან და შესაბამისად, საქართველოსთან პირდაპირ კავშირშია, თანდათანობით მივყვეთ. ვისაც ყოველივე ზემოთთქმულის არ სჯერა, მან ზღაპრად ჩათვალოს ყველაფერი და ისიც, რასაც შემდგომში ვიტყვით, თუმცა რას ნიშნავს „ზღაპარი“, ესეც კი განმარტებულია უკვე...

**(გაგრძელება იქნება)**

# ვიცი, ბოზები და ნაბოზრები გამინაწყენდებიან, რა პონტში ჩაგვაბოზაო...







ჯაჯანიძის შოუში ქალბატონმა მარი ბაბეტამ განგვიმარტა: „უსიყვარულოდ კაცთან დავწოლილვარ, მხოლოდ ვნებით, მქონია ერთჯერადი ურთიერთობაც, მაგრამ მე არ ვარ ბოზი, მე ვარ მოცეკვავე“. ანუ ხედავთ, ერთჯერად ურთიერთობებს მოცეკვავე ჰქვია, რა ბოზი! (რას გადავეკიდე ამ კაცს, მაგრამ სექსი თუ ცეკვაა, რას ცეკვავს ჩვენი პრეზიდენტი თურმე, თვალს ვერ მოსწყვეტ). იგივე ქალბატონს საჯდომზე 69 აწერია, (იმათთვის, ვისაც კითხვა დაებადება, ამას საიდან იცის, თუ იმნაირი არ არისო, ეგ წარწერაც ჯაჯანიძის შოუში გამოფინეს თვალსაჩინოებად). ჰოდა, იმიტომ დავიხატე ტატუდ 69, რომ პოზაა ეგეთი და მიყვარსო.

რა „შპარგალკა“ აღარ გამიგია, მაგრამ ეგეთი? რათა ხართ ეს ახლაგაზრდები ასეთი გულმავიწყები, პოზასაც რომ ვერ იმახსოვრებთ, ჰა? საყვარელ პოზას თან...

კარგი, ბატონო, ჯაჯანიძეს გააგებინა ბაბეტამ, რა არ არის ბოზობა, მაგრამ ასათიანისთვისაც ხომ უნდა განემარტა ვინმეს? ჰოდა, გადაცემა „პროფილის“ საშუალებით მსახიობმა თინა მახარაძემ გაგვანათლა: “თუ ადამიანები ფიქრობენ, რომ ქალი, რომელიც მოქმედებს თავისი სურვილის და კეთილი ნების გათვალისწინებით, არის ბოზი, მაშინ მე ამაყი ვარ, რომ მეც ვარ ბოზი, იმიტომ რომ, მე ვიქცევი ისე, როგორც მე მინდა“...

ამასობაში სოციალურ ქსელში, კერძოდ facebook-ზე, რა მოდური გახდა სიტყვა ბოზი, იცით? რამდენი აქაუნთია შექმნილი ამ სიტყვის გამოყენებით, დაგითვლიათ? გთავაზობთ რამდენიმეს: „პატიოსანი დედების ბოზი შვილები“, „ბოზები და სხვა მრავალი“, „Bozi Mamida“, „მე ბოზი“, „bozi-TV“, „2 ბოზი ბორდელია? :)“, „მოკალი შენში ბოზი“, „მე მიყვარს ბოზი ციალა“, „ზეციური ბოზი“ და ა.შ.

ხვალ ნუ მომივარდებით და ჩამქოლავთ, მე არაფერს გიშლით, არც გკიცხავთ, მით უფრო, არც მშურს და არც გეცილებით. დიახ, ეს თქვენი პირადი ცხოვრებაა, ეს თქვენი გადასაწყვეტია, მაგრამ არ არის საჭირო რაღაცების მოფიქრება, არ არის საჭირო ტერმინების შეცვლა, არ გვითხრათ. რომ მეზობელ მანანას ჰგონიხართ ბოზი, იმიტომ რომ შურიანი ბებერია ან ბანძი სოფლელი (თუმცა, გეთანხმებით, შურიანი ბებრებიც არსებობენ და ბანძი ქალაქელებიც) - ბოზობა მანანასთვისაც, ნუგზარისთვის, ანისა და სანდროსთვისაც - ბოზობაა. იმიტომ რომ, იციან, ეს სიტყვა ლამაზს კი არ ნიშნავს, არამედ მრუშობას, სიძვას, როსკიპობას.

მეორე მხრივ, საოცარი ამბავია პირდაპირ, თუ ასე მოდაშია ბოზობა, რატომ უზის ამდენი ქართველი მამაკაცი სოციალურ ქსელს ვირტუალური სექსით დასაკავებლად? რეალური ურთიერთობის სურვილი და შესაძლებლობა არა აქვთ? ეჰ, საქმე ფასშია - ჩვენი საწყალი ქვეყნის მამაკაცების უმეტესობას არ აქვთ იმდენი ფული (იმდენი რა, ბინის საქირავებელი ფულიც არ აქვთ), არ ატარებენ კარგ მანქანას, არ აცვიათ ისე, ვერ სადილობენ ისეთ რესტორანში, ვერ დადიან კარგ კლუბში კი არადა, საერთოდ, კლუბში... არა, სულ ისეც კი არ არის, რომ ქალის ნაკლებობას განიცდიდნენ, უბრალოდ, ლამაზი, მოხდენილი, მოვლილი, გამოცდილი ქალების ნაკლებობას განიცდიან, თორემ გონიერი, ერთგული, მოსიყვარულე, მოუწესრიგებელი, დაღლილი ცოლები ყრია ოხრად...

დღეს ჩემი მეგობარი მეუბნებოდა და მენიშნა - პრობლემა იმაში კი არ არის, რომ ქართველ ბიჭებს თურქულ კლუბებსა და რესტორნებში არ აყოფინებენ ცხვირს, პრობლემა ისაა, რომ გაბრაზებული ქართველი ბიჭი, რომელიც თურქულ კლუბში იმიტომ არ შეუშვეს, რომ იქ მის უბნელ გოგოს, მის თანაკლასელ გოგოს, მის მოგვარე გოგოს აბახებენ, მოდის და ბინას აქირავებს თურქზე, კარგი გადამხდელიაო, მოდის და თურქულ მარკეტში ყიდულობს მდნარ ყველს და საერთოდაც მოდის და იკიდებს, მოდის და აღარ ეწვის ჯიგარი, მოდის და გული ყელში აღარ ებჯინება... აღარ არის გინების და ჩხუბის ხასიათზე. გადაუარა აღგზნებამ...

კიდევ უფრო დიდი პრობლემა ის არის, რომ ამ რესტორან-კლუბებს ამოფარებულ ბორდელებში, უმეტესად, არასრულწლოვანი გოგოები ეწევიან პროსტიტუციას, რადგან პატარა გოგოები უყვართ ჩვენს გემოვნებიან მეზობლებს... თუმცა ეს გოგონები ერთი შეხედვით არ გვანან 14-16 წლისას, იმიტომ რომ ბევრი საღებავი უსვიათ სახეზე, იმიტომ რომ მაღალ ქუსლებზე არიან შემდგარი, იმიტომ რომ გამომწვევად აცვიათ და კიდევ იმიტომ, რომ ეს ჩვენი გოგონები უკვე მერამდენე ღამეს ათევენ, უკვე მერამდენე კაცს ემსახურებიან - სვამენ და მერე, ეწევიან და მერე, თუ სტკივათ - იღიმიან, თუ არ ეცინებათ - იცინიან (ამაში უხდიან ფულს), ცხოვრებამ უკვე ბევრი რამ ასწავლათ: ფულის შოვნა არც ისეთი ადვილია, როგორც ეს გარედან ჩანს (მერე რა, რომ ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნა არ სჭირდება?) არც ორგაზმის გათამაშებაა მარტივი, ამიტომ საჯდომზე არ იწერენ 69-ს, რადგან არ აქვთ სამარიაჟო დრო და განწყობა...

პლეხანოვზე ყველა მეორე თურქული რესტორნის და ბარის შიგნით ბორდელია, ყველა მესამე მანქანაში თურქ კაცსა და ლამაზ ქართველ გოგოს ან გოგოებს დაინახავ... იგივე ხდება ელბაქიძეზეც...

ელბაქიძეზე ერთ-ერთ თურქულ რესტორანში, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ორი ქართველი გოგო შევიდა სასადილოდ. როცა მიირთვეს და ანგარიში მოითხოვეს, არა, თქვენ ვერ გადაიხდითო, აქ გოგო არ იხდის ანგარიშსო, მოახსენეს. აბა, ვინ იხდისო? – იკითხეს გაოცებულებმა. – მამაკაციო, უნდა დაელოდოთ, ვინმე შემოვა და გადაიხდის თქვენს მაგიდასო... შემოვიდოდა „ვინმე“ ბიძა-კაცი, ან კაცები, გადახედავდნენ გოგოებს, თუ მოეწონებოდათ კი არადა, მოეწონებოდათ, გადაუხდიდნენ და აიყვანდნენ ნომერში... (ვისაც ისტორიის დასასრული აინტერესებს, მათთვის ვიტყვი, რომ იმ გოგონებმა დიდი კამათის შემდეგ გამოაღწიეს იქედან). ვინმე აუცილებლად იკითხავს, რესტორანს რა მაქედან, თუ რომელიმე მამაკაცი, გინდ თურქი, გინდ ქართველი იქ ქალს დაკერავს და მოხსნისო, მაგრამ აქაც სქემაა და ამასაც მაგალითის სახით მოგახსენებთ: საბურთალოზე ჩემი მეგობრის კაფეში ორი გოგო მივიდა, მენეჯერი მოითხოვეს და უთხრეს: ჩვენ ჩვენი კლიენტები გვყავს, რომლებსაც თქვენთან მოვიყვანთ, ფულს დავახარჯინებთ, ძვირადღირეულ კერძებსა და სასმელებს შევუკვეთავთ, სამაგიეროდ, როცა კლიენტი არ გვეყოლება, ყავას დაგვალევინებთ და ქუჩაში არ ვიდგებითო...

აი, რესტორნის და კლუბის ინტერესიც, გავიგეთ, ბატონებო, ჰო?

არის თუ არა ეს ღია პროსტიტუცია? ჩაიარეთ ბელინსკზე, კაფე, მასაჟის სახლი, სასტუმრო, ბარი, სასტუმრო - პრინციპი იგივეა, კაფეში დაკერავ ქალს და სასტუმრო გჭირდება, ამიტომ გაქვს იქვე, ვერ დაკერავ და ახვალ მასაჟის სახლში...

ჰო, მასაჟის სახლები ის ადგილია, სადაც ქართველ გოგოებს არ უშვებენ, ბიჭებო, ასე რომ ბარი-ბარსა ვართ...

მასაჟის სახლებში გოგონებს იმიტომ არ უშვებენ, რომ სინამდვილეში არანაირი მასაჟი იქ არ კეთდება, ბორდელია, ბინძური, უსუფთაო, იაფიანი (40-ლარიანი) ბორდელი... და თითქოს ყველას ეთაკილება ამ „მასაჟის სახლში“ შესვლა, ყველა იფურთხება, ვიწროთვალება ჩინელთან რა დამაწვენსო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ეს ე.წ. „მასაჟის სახლები“ მრავლდება და ფართოვდება... მოგეხსენებათ, ბიზნესი, რომელსაც შემოსავალი არ მოაქვს, იხურება, არ ფართოვდება, ანუ ჰყოლიათ მომხმარებელი, ანუ ძალიანაც მოგწონთ ვიწროთვალება, უპრეტენზიო ჩინელთან და ძალიანაც გეიაფებათ...

კიდევ, ერთი, არ ვიცი, იქ, აღშფოთებულ ევროპაში შეიტყვეს ჩვენი „ნავაროჩენი“ გასაჭირი, თუ იქ აღიკვეთა პროსტიტუცია, მაგრამ როგორც ტურისტული კომპანიის მენეჯერმა მითხრა, ბოლო დროს ხშირად უსვამენ კითხვას, აქვთ თუ არა სექსუალური მომსახურების პაკეტიც, რაშიც იგულისხმება ის, რომ საქართველოში დასასვენებლად ჩამოსულ ქალბატონს თუ მამაკაცს თანხის სანაცვლოდ ტურისტულმა კომპანიამ, სტუმრის გემოვნების შესაფერი სექსმუშაკი უნდა დაახვედროს...

ისევ იმ ადამიანებს მინდა მივუბრუნდე, ვინც ტელევიზიით, რადიოთი თუ უბრალოდ სანაცნობო წრეში იმაზე ქადაგებენ, რომ ერთჯერადი გასართობი სექსი ვნების შედეგია, კეთილი ნების და სურვილების გამოხატვაა და არ ითვლება ბოზობად და ვუთხრა: ახლა, როცა ქალი, კაცი და ბავშვი ბოზობს საჭმელისთვის, ჩასაცმელისთვის, ფულისთვის და ბევრი ფულისთვის; ახლა, როცა ქალაქი ლამის ბორდელად გვექცეს, როცა არ კონტროლდება არასრულწლოვანთა პროსტიტუცია, რა დროს „სასვეცკაოდ“ ბოზობაა, რა დროს ტაკოზე 69-ს დახატვაა და საერთოდ, რა დროს თქვენი ჩვენებაა ტელევიზიით... ჯერ კიდევ, სანამ ვიცით, რას ნიშნავს სიტყვა ბოზი, პროსტიტუცია და ნაბოზარი, ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, მაგრამ თუ ამ სიტყვებმა მნიშვნელობა დაკარგეს და ერთჯერადი მამაკაცი და ქალი ჩაითვლება ნორმად, თუ მორალი კი არა, ინსტინქტები გახდება მთავარი, თუ ათ მცნებას გადავდებთ და საჯდომებზე დავიწყებთ წერა-კითხვას - მერე აღარ გვეშველება...

ვიცი, ბოზები და ნაბოზრები გამინაწყენდებიან, რა პონტში ჩაგვაბოზაო, მაგრამ, გამიგონია, ბოზის ბოზი ცხონდაო...

**თამო კუჭელავა**
555 46 08 04

# დასაკარგი ტერიტორიები საქართველოს აღარ აქვს

ამერიკული სამხედრო ტექნიკის შემოსვლა საქართველოს მოსახლეობამ მხოლოდ მას შემდეგ გავიგეთ, რაც მათი გემებიდან გადმოტვირთვა დაიწყეს. ამ გარემოებას რუსეთის ტელევიზიები ერთგვარი იუმორით და, შეიძლება ვთქვათ, დაცინვითაც შეხვდნენ. თუმცა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთა. მისი პოზიციის გათვალისწინება, ჩვენი მოკრძალებული აზრით, გასათვალისწინებელია, მით უფრო, როდესაც საქმე ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს ეხება.

გასულ კვირას ევროპაში ორი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ქართულ-ამერიკული ერთობლივი წვრთნები, შეიძლება ვთქვათ, დაჩრდილა. რუმინეთსა და სლოვენიაში განალაგეს ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტები. ამ მოვლენამ, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის მხარის გაღიზიანება გამოიწვია. რაკეტების განლაგება რუსეთის პირველმა პირებმა მათი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ აქტად შეაფასეს. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ“. ეს კი ფართომასშტაბიანი ცივი ომის დაწყებას ნიშნავს, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდოს.



ნატო და რუსეთი ერთმანეთთან ურთიერთობას თავად როგორმე მოაგვარებენ. ჩვენთვის მთავარი საკითხია, რას მოიმოქმედებს ასეთ დაძაბულ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება. თუმცა, აგერ უკვე 25 წელია, ჩვენი ქვეყანა დანის პირზე დადის და, შედეგად მხოლოდ დაკარგული ტერიტორიები გვაქვს. ნუ დავიწყებთ დათვლას, რამდენი ჰექტარი თუ კვადრატული კილომეტრი გვაქვს ჩამოჭრილი, რადგან ერთი გოჯის დაკარგვაც კი ქვეყნისთვის ზარალია.

გასულ კვირას ამერიკელმა კონგრესმენმა პომ საქართველოს მხარდამჭერი განცხადება გააკეთა კონგრესში სიტყვით გამოსვლისას. ჩვენ ერთი ზარზეიმი მოვაწყეთ, ნახეთ, ამერიკელი პოლიტიკოსები მხარს როგორ გვიჭერენო. რატომღაც გვავიწყდება, რომ იგივე ამერიკის კონგრესში საქართველოს საწინააღმდეგო განცხადებებიც კეთდება. კონგრესმენ რასელის გამოსვლა რატომ დაგვავიწყდა, გაუგებარია.

მხარდამჭერი განცხადებებით შორს რომ ვერ წავალთ და ვერც ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ, ქართველმა ხალხმა კარგად დაინახა. თუნდაც 1993 წლიდან მოყოლებული, იმდენი მხარდამჭერი განცხადება გაკეთდა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ალბათ, ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც ზუსტად გვეტყვის მათ რაოდენობას. მაგრამ შედეგიო, იკითხავს ნებისმიერი ადამიანი და სამართლიანადაც. ჩვენდა სამწუხაროდ, შედეგი ნულის ტოლია.

საომარი რიტორიკით ვერაფერ კარგს რომ ვერ მოვიმკით, შლეგიანმა სააკაშვილმაც დაგვანახა. დავუშვათ, რომ საქართველო მართლა გახდა ნატო-ს წევრი და ამ ორგანიზაციამ ომი გამოუცხადა რუსეთს. მერე? შედეგს რას მივიღებთ, დავფიქრებულვართ ამაზე? სამწუხაროდ, საქართველო სამხედრო პოლიგონად გადაიქცევა და ადვილი შესაძლებელია, სრულ კატასტროფამდე მივიდეთ. გადავხედოთ, როგორ გარემოცვაშია ჩვენი ქვეყანა, რომელსაც საფრთხე, ფაქტობრივად, ყველა კუთხიდან ელოდება და მოსალოდნელი შედეგების გათვლა საღად მოაზროვნე ადამიანს არ გაუჭირდება.

საქართველოს მთავარი იარაღი, გნებავთ, კოზირი, ასეთ ვითარებაში დიპლომატია უნდა იყოს. სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ, პროფესიონალი დიპლომატების დეფიციტიც გვაქვს ქვეყანაში. გავიხსენოთ საქართველოს ისტორია. ჩვენი მეფეები გამორჩეულები იყვნენ თავიანთი დიპლომატიით. ქვეყნის საკეთილდღეოდ პირსისხლიან ტირანებს პირადად ესაუბრებოდნენ. მაგალითები უამრავი გვაქვს ისტორიაში.

მოქმედი ხელისუფლება, კერძოდ, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი არ გამორიცხავს რუსეთის პირველ პირებთან შეხვედრას იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ წინაპირობა იქნება. ჩვენი მოკრძალებული აზრით, ბატონო გიორგი, საამისო წინაპირობა დიდი ხანია არის და ამას საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება ჰქვია. ქვეყნისთვის ზოგჯერ რაღაც პიროვნული უკანა პლანზე უნდა გადავიტანოთ. დარწმუნებული ვართ, ყოველივე ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ, შეგახსენეთ, რადგან, რაც მეტი დრო გავა (ისედაც ბევრი გვაქვს დაკარგული), უფრო და უფრო გაძნელდება ტერიტორიების დაბრუნება.

დარწმუნებული ვართ, გამოჩნდებიან ოპონენტები და შემოგვეკამათებიან ჩვენი მეფეები მედგრადაც იბრძოდნენო. მართლებიც იქნებიან, მაგრამ მათ შევახსენებთ, რომ იმ დროს ხმალ-დახმალ იბრძოდნენ მეომრები. დღევანდელი ჩინოვნიკებისგან განსხვავებით, არც იმას ამბობდნენ, რომ შვილებს იმიტომ არ ვზრდით, საქართველოს შევწიროთო. პირიქით, ჩვენი მეფეები ოჯახის წევრებთან ერთად იყვნენ ლაშქარში. არც ბრძოლის ველიდან გარბოდნენ ქართველი სარდლები, როგორც 2008 წელს იყო, როდესაც მაღალჩინოსანი ოფიცრები ისე გარბოდნენ ბრძოლის ველიდან, ომიდან, რომ არც ხალხის და არც ჯარისკაცების ბედი არ ანაღვლებდათ, გარდა საკუთარი ტყავის გადარჩენისა.

თანამედროვე სამხედრო ტექნიკა მსოფლიოში ისეთ დონეზეა განვითარებული, რომ მათ დაუფლება-შესწავლას წლები სჭირდება. ორკვირიანი ერთობლივი წვრთნების ჩატარება და მერე იმის თქმა, ჩვენი ჯარი საუკეთესოდ არის მომზადებულიო, უბრალოდ, საკუთარი თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. თუ არ იცი, სად და როგორ გამოიყენო ესა თუ ის ტექნიკა, მის ქონას აზრი ეკარგება. სწორედ ამიტომაც დაანგრიეს სექტანტმა ნაციონალებმა (დიახ, „ნაცმოძრაობა“ სექტანტური ორგანიზაციაა და არა პოლიტიკური პარტია) განათლების სისტემა საქართველოში, რათა ქვეყანა ადვილად გაეჩანაგებინათ.

რა შედეგებს მოგვიტანს მიმდინარე ერთობლივი წვრთნები, ამას მომავალი გვიჩვენებს, საერთოდ კი სხვის იმედზე ყოფნა ვერაფერი კარგის მომტანია, თუმცა დღემდე არც არაფერი მოუტანია. ისევ ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს საქმეს. არც სხვების წამბაძველობაა ხეირის მომტანი. რუმინეთს და სლოვენიას ტერიტორიები დაკარგული არ აქვთ, დიპლომატიურადაც შეუძლიათ ლავირება, ანუ ორ სკამზე ჯდომა. ჩვენ კი ვებრძვით როგორც გარეშე, ასევე შინაურ მტრებს, რაც კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. სამწუხაროდ, ჩვენი ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსი, იგივე „პოლიტტუტკები“, ხელისუფლებაში მოსასვლელად ყველაფერს იკადრებენ, ქვეყნის საწინააღმდეგო ბრძოლასაც კი. ამიტომაც ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა ვიღაცების ამბიციებს ქვეყანა არ გადავაყოლოთ.

**გია ბურდული**
551 712 707

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**— რა არის მეუღლეთა თანასაკუთრება?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158–ე მუხლის 1–ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას / თანასაკუთრებას/, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე მუხლის მე–2 ნაწილის მიხედვით, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ–ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ამავე კოდექსის 1159–ე მუხლის მიხედვით, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

* * *

**— განვქორწინდი მეუღლესთან. გვყავს არასრულწლოვანი შვილები. როგორ მოხდება მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201 -ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

* * *

**— როგორია სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი?**

— სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის კოდექსის მე–4 მუხლის შინაარსს.

**მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა**

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

* * *

**— ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. ქმრის ოჯახმა ბავშვი წაართვა და ნახვის საშუალებას არ აძლევს. როგორ მოვიქცეთ?**

- მიმართეთ სასამართლოს და სარჩელით მოითხოვეთ, რომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს თქვენი საცხოვრებელი მისამართი. სანამ ეს მოხდება, თქვენ შეგიძლიათ, ასევე, მიმართოთ განცხადებით სასამართლოს, განგისაზღვროთ ბავშვის ნახვის დღეები და საათები.

* * *

**— რას ნიშნავს ცრუ მეწარმეობა? როგორ ისჯება?**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის მიხედვით, ცრუ მეწარმეობა არის საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების ანდა აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სანქცია: ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ჩვენთვის ცნობილი გახდა ტურისტებისთვის განკუთვნილი გზამკვლევის შესახებ, რომელშიც ნახევრად შიშველი „ქართლის დედა“ ტურისტებს თვალის ჩაკვრით საქართველოში ეპატიჟება. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ტურისტის თვალში ვაგზლის მეძავივით „გამოწყობილი“ ეროვნული სიმბოლო სექს-ტურიზმის ქვეყანას განასახიერებს, თუმცა ვის და რაში დაჭირდა ამის გაკეთება, ჯერჯერობით უცნობია. „საერთო გაზეთს“ “ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის“ ლიდერი **თამარ დადიანი** ესაუბრა:

– სამწუხაროდ, საქართველოში მოდად იქცა ეროვნული სიმბოლოებზე, ფასეულობებზე და ტრადიციებზე ქილიკი და თავდასხმა, თუმცა ის, რაც რამდენიმე დღის წინ ვნახეთ, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ჩვენს კავშირს გადმოსცეს მხატვრულად გაფორმებული ტურისტული გზამკვლევი სახელწოდებით „TBILISI“, რომელშიც ერის სიმბოლო ნახევრად შიშველი მეძავის სახითაა წარმოდგენილი და კლიენტებს თვალის ჩაკვრით და ღიმილით ეპატიჟება. ეს სამარცხვინო რუკა ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ტურისტებს




წარმოუდგენს, თითქოს საქართველო ერთი დიდი ბორდელია. მერწმუნეთ, ამ რუკის მნახველს სხვა შთაბეჭდილება არ დარჩება. ყველაზე აღმაშფოთებელია, რომ ტურისტულ გზამკვლევში მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყანაა შეტანილი, თუმცა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ფორმით მხოლოდ საქართველო და მისი დედაქალაქია წარმოდგენილი. ჩვენ, „საუდაკელებს“ გვაინტერესებს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ერის სულისა და ფასეულობების გაბახების პროცესი? რას ემსახურება გაშიშვლებული და შეურაცხყოფილი „ქართლის დედის“ სურათების ტურისტების ხელით გავრცელება? რატომ არ დგამს ხელისუფლება და სახელმწიფო სტრუქტურები შესაბამის ნაბიჯებს და რომელ ქვეყანაში ხდება ისტორიული ფასეულობების ამ დონეზე დაკნინება? ან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია რას აკეთებს, ან უშიშროება რას უყურებს? აქ ხომ მთელი ჩვენი წარსული და მომავალია მიწასთან გასწორებული? ასეთი ეროვნული სიმბოლოს წარმომადგენელმა მსოფლიო ბაზარზე რა ღირებულებებზე უნდა ილაპარაკოს? წარმომიდგენია, საქართველოს მიმართ რამხელა ზიზღით და სიძულვილით არის გაჟღენთილი ადამიანი, რომელმაც ეს რუკა შექმნა.



– **ტურისტული გზამკვლევის შესახებ რომელიმე სახელმწიფო უწყებას თუ მიაწოდეთ ინფორმაცია და რა პასუხი მიიღეთ?**

– 11 აპრილს წერილით მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ–მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს და მოვითხოვეთ, რომ საკითხის სათანადოდ შესწავლის შემდეგ, მოხდეს აუცილებელი რეაგირება და მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილება.

# „ეს სამარცხვინო რუკა ისე წარუდგენს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს, თითქოს საქართველო ერთი დიდი ბორდელია“

## ვინ რა მიზნით ავრცელებს ეროვნული სიმბოლოების შეურაცხმყოფელ ტურისტულ გზამკვლევს?

საბედნიეროდ, პარლამენტი მყისიერად გამოეხმაურა ჩვენს წერილს. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ჩოგოვაძის სახელზე პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ივანე კიღურაძის გაგზავნილ წერილში წერია: „გიგზავნით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონი დავით უსუფაშვილის სახელზე შემოსულ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის წერილს, რომლის ავტორებიც აღშფოთებას გამოთქვამენ ტურისტთა სახელმძღვანელო რუკაზე ქართლის დედის შეურაცხმყოფელი ფორმით გამოსახვის გამო. მიმაჩნია, რომ წერილში მოყვანილი ფაქტი გულდასმით შესწავლას და სათანადო რეაგირებას საჭიროებს.“ ჯერჯერობით არ ვიცით, რა რეაგირება ექნება ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას მომხდარზე, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოსა და მისი ეროვნული სიმბოლოს შეურაცხყოფის ფაქტი უპასუხოდ არ დარჩება.

როგორც გავარკვიეთ, გაშარჟებული ეროვნული სიმბოლოთი „დამშვენებული“ ახალგაზრდა ტურისტებისთვის განკუთვნილი რუკის უკან ტურისტული რუკების და ბუკლეტების მწარმოებელი ფირმა „USE IT“ დგას. დავინტერესდით, არსებობს თუ არა რაიმე სახის სამართლებრივი ბერკეტი უცხოური კომპანიების მხრიდან ქართული ეროვნული სიმბოლოების შეურაცხოფისას, რა კონკრეტული ზომების გატარება იგეგმება ამ კონკრეტულ შემთხვევაში და კომენტარისთვის საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დავუკავშირდით. უწყების იურისტმა ოლეგ თორთლაძემ განგვიმარტა, რომ საქართველოს პარლამენტიდან წერილი ნამდვილად მიიღეს და ამჟამად ფაქტის შესწავლა და დამუშავება მიმდინარეობს.

– დიახ, ჩვენთან ნამდვილად შემოვიდა წერილი საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტიდან. მიმდინარე კვირას ბევრი არასამუშაო დღე იყო, ამიტომ სწრაფად პასუხის გაცემა ვერ მოხერხდა. ამჟამად ჩვენი იურიდიული სამსახური მუშაობს ამ ინფორმაციაზე. მოხდება ფაქტის შეფასება ყველა, მათ შორის, სამართლებრივ ასპექტში და უახლოეს დღეებში საპასუხო წერილი მზად გვექნება, რომელსაც, სურვილის შემთხვევაში, თქვენც გადმოგიგზავნით.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ცნობილი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის 20-მეტრიანი სკულპტურა სოლოლაკის ქედზე 1958 წელს, თბილისის 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაიდგა. თავიდან ფიქრობდნენ, რომ ხის ალეგორიული ქანდაკება, რომელიც მტრის დასახვედრად მუდმივ მზადყოფნას და მოყვასის სიყვარულს განასახიერებს, დედაქალაქს დროებით დაამშვენებდა. მოგვიანებით, ეს გადაწყვეტილება შეიცვალა და 1963 წელს ხის ფაქტურა ალუმინით დაიფარა. 1966 წელს ქანდაკების შექმნისთვის მის ავტორს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

**ნელი თორდია**
571 35 36 88




ISSN 2233-3983
9 772233 398001
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com